ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 11 აპრილი, 2013 | №85 (6086) | ფასი: 30 თეთრი

11 აპრილიდან!
„ახალ თაობასთან“
ერთად
„რჩეული ქართული ზღაპრების“
პირველი ტომი
3 ლარად




# ბიძინა ივანიშვილი: „სახელმწიფო ეკლესიის საქმეებში არ უნდა ჩაერიოს“



## რას პასუხობს პრემიერს მეუფე სერაფიმე

გვ.2



## ზაზა დავითაია: „თუ ხელისუფლება არ აღადგენს სამართალს, ამას ხალხი გააკეთებს“



ბაჩო ახალაიას ბრალმდებელი მისი მარჯვენა ხელი იყო

გვ.3

## აკაკი ასათიანი: „მრცხვენია, რომ 9 აპრილს ცოცხალი გადავრჩი“

გვ.2





## ნანა დევდარიანი: „ნაციონალებს იმიჯს ვანო მერაბიშვილი ულახავს“

გვ.4



## რა შანსები აქვს ვალერი ხაბურზანიას

გვ.5

## არმაზ ახვლედიანი ნაციონალებს კანონის დაცვისკენ მოუწოდებს

გვ.7

## მანანა ნაჭყებია: „მეოცნებეები დაპირებებს კარგად ვერ ასრულებენ“

გვ.4



2 აპრილიდან!
„ახალი თაობა“
+
ილია II
ოქროს ხანა
სამტომეულის მესამე ტომი
8 ლარი




ISSN 1987-9385

**7** ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებები სერიოზულად ირღვევა

**6** მეხანძრე-მაშველები: „ჩვენ მონები არ ვართ“

**3** მიმდინარე წლის სამ თვეში დანაშაულის რიცხვის ზრდის დინამიკა 50%-ით შემცირდა

**6** მხედველობაშეზღუდულები საარჩევნო ბიულეტინის ადაპტირებული ჩარჩოთი ისარგებლებენ

# ბიძინა ივანიშვილი: „სახელმწიფო ეკლესიის საქმეებში არ უნდა ჩაერიოს“

## რას პასუხობს პრემიერს მეუფე სერაფიმე

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი პრესისთვის ჯერ ისევ ხელმისაწვდომია. გუშინ ის მედია-საშუალებებს კიდევ ერთხელ შეხვდა და მათ კითხვებს უპასუხა. პრემიერის პრესკონფერენცია 2 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. მისმა პასუხებმა როგორც მოსალოდნელი იყო ნაციონალები გააღიზიანა.

ოქტომბრის თვეში საქართველო ახალ პრეზიდენტს აირჩევს. რამდენიმე პოლიტიკურმა ძალამ უკვე დაასახელა პრეზიდენტობის კანდიდატი. ხალხს ყველაზე მეტად ის აინტერესებს ვინ იქნება ნაციონალების და მეოცნებეების ფალავანი. კანდიდატის დასახელებას არცერთი ძალა არ ჩქარობს.

საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით რამე კონკრეტული არც ბიძინა ივანიშვილს უთქვამს. მისი თქმით, საპრეზიდენტო კანდიდატის შესახებ საზოგადოების ინფორმირება მაისისთვის გახდება მოსახერხებელი.

– ბევრი პრობლემა გვქონდა და ვერ მოვითავეთ. ვიმედოვნებ, ჩვენს კანდიდატზე საზოგადოებისათვის ინფორმაციის გაცნობას მაისისთვის მოვახერხებთ. მე მყავს ჩემი კანდიდატი, რომელიც ჩვენმა გუნდმა უნდა დაამტკიცოს. საბედნიეროდ, გვყავს ღირსეული კანდიდატები, შეგვიძლია შეთანხმება და გვაქვს არჩევანი, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

სასამართლოს დამოუკიდებლობის აუცილებლობაზე დღეს ყველა საუბრობს. პარლამენტმა სასამართლოების შესახებ კანონში ცვლილებები შეიტანა. სააკაშვილი ამ ცვლილებებს ვეტოს დადებით ემუქრება. სააკაშვილი და მისი გარემოცვა ამტკიცებენ რომ საქართველოში სასამართლო სისტემა ინგრევა. ივანიშვილის მტკიცებით კი საქართველოში ყველაფერი გაკეთდა ისე, რომ სასამართლო იყოს დამოუკიდებელი.

– ამ ადამიანებს ჰყოფნით სინდისი, თქვან, რომ საქართველოში დამოუკიდებელი სასამართლო ინგრევა. ბოდიში და, საზოგადოება არ არის ისეთი დებილი, რომ არ იცოდეს, როგორი იყო სასამართლო და ვის გავლენას განიცდის ის. ჩვენ არაფერს ვანგრევთ. მხოლოდ ვეხმარებით მას. ნორმალური კანონით, რეფორმით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სასამართლო დამოუკიდებელი იყოს. საოცარი ხალხია –– ბოლომდე ომობენ იმისთვის, რაც საზოგადოებისათვის ისედაც გასაგებია, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერი ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ მომზადებულ კანონპროექტსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე საუკეთესო პროექტია გატანილი. რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმებთან დაკავშირებულ პროექტს, ივანიშვილის თქმით, ის ჯერ უწყების სტრუქტურებში ყალიბდება და მთავრობის დონეზე განსახილველად ამის შემდეგ იქნება გატანილი.

გუშინდელ შეხვედრაზე 19 აპრილისთვის დაგეგმილ აქციას ჟურნალისტებმა გვერდი ვერ აუარეს. ივანიშვილი ამ აქციას სერიოზულად არ აღიქვამს. ამ ღონისძიებას ის, ნაციონალური მოძრაობის მიერ ღია კარის მტვრევას უწოდებს და აცხადებს, რომ მათ თვითონაც არ იციან, რას ითხოვენ.

– ყველასთვის ყველაფერი გასაგებია. პარლამენტმაც მიიღო დეკლარაცია ევროპული ორიენტაციის შესახებ და ჩვენც ვერცერთ სიტყვაში ვერ შეგვედავებიან, რომ ჩვენ ევროპულ ფასეულობებზე უარს ვამბობთ. ევროპარლამენტარები მიგვანიშნებენ, რომ გაცილებით ადვილია მუშაობა ახალ მთავრობასთან. ღია კარის მტვრევა მიდის. გასაგებია, რომ დიდი აქვთ შიში. მერაბიშვილი რომელ ფასეულობებზე მიგვითითებს, როგორ წარმოგიდგენიათ? 7 ნოემბერი, 26 მაისი, სამამულო ომის ინვალიდებიც კი დაარბიეს. შეკრების საშუალებას არ აძლევდნენ ხალხს. ვისი ხელითაც მოხდა ეს, ის მიგვანიშებს, რომ ევროპული ფასეულობები დავიცვათ. ეს ანეკდოტურია. აქციის ორგანიზატორები ცდილობენ თავი დააღწიონ 19 აპრილის აქციას და არ იციან, როგორ გამოძვრნენ აქედან, რადგან თვითონაც კარგად იციან, რა ეფექტსაც მიიღებენ და რაც იქნება. აბსოლუტურად აბსურდულია ეს აქცია, არ იციან, რა უნდათ და რა არ მოსწონთ. თუ არ მოსწონთ ხელისუფლება, მათ ლიდერს –პრეზიდენტს დღესაც აქვს უფლება, რომ დაითხოვოს მთავრობა და მიაყოლოს პარლამენტიც. გამოიყენონ ეს, რატომ გამოდიან ქუჩაში? აპრილის ბოლომდე შეუძლია დაგვითხოვოს პრეზიდენტმა. საზოგადოების რაღაც ნაწილს ვალი აქვს მერაბიშვილის და მათი მობილიზება უნდა. მეორე ნაწილს ახლა ურიგებენ ფულს რეგიონებში და ხელისუფლება არ უშლით ხელს. სამართალდამცავ სტრუქტურებს მივუთითე, რომ არ ჩაერიონ. ვისაც უნდათ, დაურიგონ. ყველაფერს გავაკეთებ, რომ მივცეთ გამოხატვის საშუალება, მაგრამ რა უნდა გამოხატონ, თვითონ იფიქრონ. მერაბიშვილისთვის მამამისს არაფერი დაუტოვებია, გაღლეტილი მოვიდა, ეს პრეზიდენტმაც თქვა. რა თქმა უნდა, ხალხის ფული აქვს, რომელსაც იღებდა უკანონოდ. ევროპულ ფასეულობებთან მათ აქვთ პრობლემები და ამ შეკრებით თავის თავს მოუწოდებენ, რომ როგორმე პატივი სცენ ამ ღირებულებებს. მერაბიშვილმა იქნებ გაიგოს, რა არის ევროპული ღირებულებები და ამით იქნებ რაიმე პოზიტიური მივიღოთ, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.





საქართველოში პოლიტიკურ ასპარეზზე დღეს მხოლოდ 2 პოლიტიკური ძალაა – მეოცნებეები და ნაციონალები. ივანიშვილი ამტკიცებს, რომ მას მესამე ძალის გაჩენის დიდი სურვილი აქვს.

– ჩემი ძალიან დიდი სურვილია, რომ მესამე ძალა გაჩნდეს. ამისათვის გასაგებია, რომ სურვილი საკმარისი არ არის. არსებობენ პარტიები, რომლებთანაც შეხვედრაც მქონდა და მე ამას არ ვმალავ. თუნდაც სალომე ზურაბიშვილთან და ირმა ინაშვილთან. მათ აქვთ პარტია და კარგი იქნება, თუ განავითარებენ და გააქტიურდებიან. ნინო ბურჯანაძესაც შევუთვალე, რომ კარგი იქნება, თუ თავის პარტიას გააძლიერებს და გაააქტიურებს. ჩემი სურვილი ნაციონალური მოძრაობის განადგურება არ არის, მისი სურვილი ახალი, მესამე ძალის შექმნაა. ოპონენტი უნდა გიყვარდეს. თუ არ გყავს ისეთი პიროვნება, რომელსაც შეუძლია გითხრას ის, რაც შენში ნაკლია, დაღუპულია საქმე. ოპონენტს აქვს დიდი მნიშვნელობა. ,,გიყვარდეს მტერი შენი“– შემთხვევით არ წერია ბიბლიაში. გვჭირდება კონსტრუქციული ოპონირება, რასაც სამწუხაროდ, ნაციონალური მოძრაობა ვერ ახერხებს. ამიტომ საჭიროა ჯანსაღი ძალა, რომელიც კონსტრუქციულ ოპონირებას მოახერხებს. ესენი კრიტიკას ფასს უკარგავენ, – აღნიშნა ივანიშვილმა.

საქართველოს პრემიერმა გუშინ ეკლესიაში და მის გარშემო არსებულ ვითარებაზეც ისაუბრა. საკმაოდ ხშირად პოლიტიკოსები ეკლესიის შიდა საქმეებში ყოფენ ცხვირს. საქართველოს პრემიერი ამბობს, რომ ეკლესიაში პრპბლემები არსებობს.

– როგორც არ უნდა ვმალოთ და როგორც არ უნდა ვეფერებოდეთ ჩვენს ეკლესიას, კარგად ვიცით, რომ იქაც არსებობს პრობლემები და ზოგიერთ შემთხვევაში, საზოგადოების წარმომადგენელი ამაზე რეაქციას ახდენს. ეს ნორმალურია და ტაბუდადებული თემები არ უნდა არსებობდეს. კითხვის დასმის საშუალება ყველას უნდა ჰქონდეს. ჩემი დამოკიდებულება ეკლესიასთან დაკავშირებით არის ისეთი, როგორიც სახელმწიფოსი, რომ ეკლესია უნდა იყოს დამოუკიდებელი. არ ვმალავ, რომ ქრისტიანობას აქვს ძალიან დიდი როლი, რომ დღეს ჩვენ ვარსებობთ. სახელმწიფოს დამოკიდებულება უნდა იყოს ისეთი, რომ ეკლესია უნდა იყოს გამიჯნული და დამოუკიდებელი სახელმწიფოსგან. ის აუცილებელი თანხა, რაც სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის დასახმარებლად არის საჭირო, ერთხელ უნდა გადაირიცხოს. სახელმწიფო არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეცადოს, რაიმე ბერკეტით მოახდინოს კონტროლი ეკლესიაზე, – აღნიშნა პრემიერმა.

ბორჯომ-ბაკურიანის მიტროპოლიტი, მეუფე სერაფიმე პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის გუშინდელ განცხადებას „საფუძველს მოკლებულად“ მიიჩნევს და აცხადებს, რომ „ეკლესიაში არანაირი პრობლემა არ არის, სახელმწიფო კი იგივე მრევლია“.

როგორც მეუფე სერაფიმემ ,,პირველ რადიოსთან“ საუბრისას აღნიშნა, ,,გარკვეული ძალები ცდილობენ, დაძაბონ ურთიერთობა ეკლესიასა და საზოგადოებას შორის, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეკლესია დამოუკიდებელია და სახელმწიფოსთან კარგი ურთიერთობა აქვს.

– საკითხის ასე დაყენებას მართებულად არ ვთვლი. არანაირი პრობლემა დღეს ეკლესიაში არ არის. „პრობლემა“ მაშინ ითქმება, როდესაც ვინმე ან რამე არ აკეთებს რაიმე საქმეს. ეკლესია არის ერთ-ერთი პირველი და მთავარი გარანტი ჩვენი ქვეყნის ერთიანობისა. ვფიქრობ, რომ პრემიერის განცხადება საფუძველს მოკლებულია. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დღეს ძალიან კარგი ურთიერთობაა. მე ვფიქრობ, რომ ეს კავშირი უფრო გაუმჯობესდება, – ამაში დარწმუნებული ვარ. არიან გარკვეული ძალები, რომლებიც ცდილობენ, დაძაბონ ურთიერთობა და ცდილობენ, ეკლესიასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობა გააფუჭონ. რა თქმა უნდა, ეკლესია დამოუკიდებელი უნდა იყოს. ფაქტია, რომ ეკლესიას სჭირდება დახმარება. სახელმწიფო იგივე მრევლია და იგივე მოვალეობა აქვს ერისა და ღვთის წინაშე. ეკლესია დამოუკიდებელი უნდა იყოს, თუმცა ურთერთდახმარება აუცილებელია. სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს შიდა საქმეებში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოს არ აქვს ვალდებულება ეკლესიის წინაშე. სახელმწიფომ ასევე უნდა უზრუნველყოს ეკლესიის, დაცვა და არ უნდა დაუშვას ეკლესიაზე თავდასხმა – განაცხადა მეუფე სერაფიმემ.

# აკაკი ასათიანი: „მრცხვენია, რომ 9 აპრილს ცოცხალი გადავრჩი“

გულიკო ბალაძე

ტრადიციონალისტთა ლიდერი აკაკი ასათიანი აცხადებს, რომ ქვეყანაში თანდათანობით ვითარების ნორმალიზაცია ხდება. ამის ერთ-ერთი ნიშანი ისიცაა, რომ ახალი ხელისუფლების მიერ 9 აპრილის მნიშვნელობის სათანადოდ შეფასება ხდება და პარლამენტის შენობაში პარლამენტისა და მთავრობის ორგანიზებით უზენაესი საბჭოს დეპუტატებისთვის მიღება რომ გაიმართა.

აკაკი ასათიანი მიიჩნევს, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა ჩვენი ხალხის ბრძოლით მოიპოვა 9 აპრილის წყალობით. ამიტომ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობისაგან განსხვავდებით, მართლაც სამარადისო მონაპოვარია.

– სიმართლე გითხრათ, 9 აპრილის დამოუკიდებლობა მართლაც საამაყო დღეა. ის აერთიანებს სევდასაც, წუხილსაც... ვერასოდეს მოვინელებ იმას, რომ ჯანღონით სავსე კაცი (მაშინ 35 წლის ვიყავი) ცოცხალი გამოვედი, ხოლო 19 ადამიანი, მათ შორის, 16 ქალი დავტოვეთ ბრძოლის ველზე. თუმცა, დილამდე არ ვიცოდი, მაგრამ ეს მე არ მამართლებს. პოლიტიკურად რამდენად მიზანშეწონილი იყო? რაღაც ტრაგიკული კანონზომიერება ამაში უთუოდ იყო. ის მარადიული ჟინი თავისუფლებისა, რაც ჩვენს ერშია, საუკუნეების მანძილზე მოგვყვებოდა და რაღაც ფორმით თავს იჩენდა. თავისუფლებისთვის ბრძოლაში ჩვენ მარტო არ ვყოფილვართ – ლიტველები, აზერბაიჯანელები და სხვები იყვნენ. ყველას გადახდა რაღაც ასეთი. საბჭოეთი ისეთი იმპერია იყო, გველვეშაპი რაღაც ფორმით სისხლს მაინც ითხოვდა. ის 10 ათასი კაცი, რომელიც რუსთაველის პროსპექტზე იყო 1989 წლის 9 აპრილის ღამეს, მოწინავე რაზმი გახლდათ. მეამაყება, რომ ის 10 ათასი კაცი ვნახე აქ. რაც 9 აპრილის შემდეგ 2 თვის განმავლობაში იყო, შემდეგ ისეთი საქართველო აღარ ყოფილა. როდის იქნება მომავალში ისეთი ერთსულოვნება, ისეთი საყოველთაო გაცნობიერება ჩვენი ვინაობისა, შემდეგ არ მომხდარა. თუნდაც ამისთვის ღირდა ის დღე და დამოუკიდებლობისთვის, რომელიც ამას მოჰყვა. ერთი რამ შემიძლია გითხრათ – ხელისუფლებაში რომ მოვედით და უზენაეს საბჭოში დამოუკიდებლობის გამოცხადების დრო დადგა, არ ვმალავ, 9 აპრილს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინააღმდეგი ვიყავი. ვამბობდი, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება დავამთხვიოთ 26 მაისს, გაორება არ მოხდეს-მეთქი. გამსახურდიამ თქვა ძალიან მარტივი რამ (შემდეგ უზენაესი საბჭოს სხდომაზეც გაიმეორა) – ეს არის ყველაზე მცირე რამ, რითაც ჩვენ შეგვიძლია პატივი მივაგოთ 9 აპრილს დაღუპულ ადამიანებს, მე რომ ცოცხალი ვარ და შენ რომ ცოცხალი ხარო. მართლაც ასეა – ეს მართლაც ხარკის გადახდა იყო, – განაცხადა აკაკი ასათიანმა.

აკაკი ასათიანი ქუთაისში პარლამენტის გადატანის შესახებ სააკაშვილის ხელისუფლების გადაწყვეტილებას იუნკერებისა და 9 აპრილს დაღუპულების შეურაცხყოფად აფასებს.

– იუნკერებისა და 9 აპრილს წამებული ადამიანების უპატივცემულობაა პარლამენტის თბილისიდან გადატანა. შეიძლება ასეთ ადგილას არ იყოს ქვეყნის უმაღლესი ორგანოს კერა? ქუთაისს კი არ ებრძვის ვინმე.

***– ბატონო აკაკი, მოგეხსენებათ, პარლამენტი წარმომადგენლობითი ორგანოა და ისედაც დედაქალაქში არ უნდა იყოს?***

– რა თქმა უნდა. თუ ნაციონალების ლოგიკით ვიმსჯელებთ, მაშინ პარლამენტი ხაშურში გადავიტანოთ, რადგან საქართველოს გეოგრაფიული ცენტრი ხაშურია. სააკაშვილს რომ დაუჩემებია, დეცენტრალიზაციას ვახდენთო.

***– ურემი რომ გადაბრუნდა და ყველაფერი გამოჩნდა, ახლა ხშირად მესმის, რომ სისხლის გარეშეც მოიპოვებდა საქართველო დამოუკიდებლობას, როგორც დანარჩენმა რესპუბლიკებმაო. თქვენი აზრი როგორია ამასთან დაკავშირებით?***

– ვინმეს ჰგონია, რომ ეს ვაშლივით დამწიფდებოდა და თავში დაგვეცემოდა? ეს ისეთი დამოკიდებულებაა, ან სულელი უნდა იყო კაცი,



ან რაღაცას თვალთმაქცობ. არ მოხდებოდა სხვანაირად, თუ არ იბრძოლებდი. ეს ერთხელ მოხდა 1918 წელს. თუ ვინმეს აინტერესებს, წაიკითხოს 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტი – ბოდიშს იხდიან.

***– მე მგონი, ძალით გამოაცხადებინეს დამოუკიდებლობა.***

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ზაზა დავითაია: „თუ ხელისუფლება არ აღადგენს სამართალს, ამას ხალხი გააკეთებს“

## ბაჩო ახალაიას ბრალმდებელი მისი მარჯვენა ხელი იყო

შორენა მარსაგიშვილი

ახალი ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენას ომახიანად დაგვპირდა. საქმე საქმეზე როცა მიდგა, სამართალი ურემზე შესვა. ნაციონალები დარწმუნებული არიან, რომ მათ ხელს ვერავინ ახლებს. ნაციონალების დაუსჯელობა საზოგადოებაში დიდ პროტესტს იწვევს. პროტესტის გრძნობა უჩნდება ყოფილ პოლიტპატიმარს, უფლებადამცველს, „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტ ზაზა დავითაიასაც, რომელმაც სააკაშვილის რეჟიმის „დემოკრატიულობა“ საკუთარ თავზე იწვნია.

ამოიღებს თუ არა ხმას ნაციონალების უფლებების შელახვის გამო, რატომ ეცემა ახალი ხელისუფლების რეიტინგი, რატომ უნდა ვიფრთხილოთ 19 აპრილს და ვინ ვერ იმეტებს 60 ადამიანისთვის პოლიტპატიმრის სტატუსს, ამის შესახებ ზაზა დავითაია „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***— ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ყოველთვის ძალიან აქტიური იყავით. არჩევნების შემდეგ თითქოს არ ჩანხართ. რა ხდება, აღარ ირღვევა საქართველოში ადამიანის უფლებები?***

— მე ისევ ისეთი აქტიური ვარ, როგორც აქამდე ვიყავი. საქართველოში ადამიანის უფლებებიც ისევ ირღვევა. ამ მხრივ განსაკუთრებით რთული ვითარება პენიტენციალურ სისტემაშია. არადა, სოზარ სუბარმა ამ უწყებაში რევოლუციური გარდაქმნები მოახდინა. სააკაშვილის მიერ დაგმანული სისტემა საზოგადოებისთვის გამჭვირვალედ აქცია. ამის მიუხედავად, ციხეებში კვლავ მუშაობენ ძველი, ჯალათი ჩინოვნიკები. ისინი ამ ეტაპზე არიან გარინდული. აუცილებელია ძველი დანაშაულობებისთვის მათი მხილება. ეს პროკურატურამ უნდა გააკეთოს. თუ ცხელ ხაზს ადევნებთ თვალს, ნახავთ, რომ უფლებების დარღვევის უამრავი ფაქტი ფიქსირდება. ვთანამშრომლობ სასჯელაღსრულების სისტემასთან, პროკურატურასთან. ამ დარღვევებს სათანადო ორგანოებს წარვუდგენთ.

***— სათანადო ორგანოები ახდენენ ამ ფაქტებზე რეაგირებას?***

— ახდენენ. რიგ შემთხვევაში სასჯელაღსრულების მაღალჩინოსნები გათავისუფლდნენ სამსახურიდან. ზოგიერთ მათგანზე სისხლის სამართლის საქმეც არის აღძრული. არც ერთი დარღვევისთვის არ წაგვიყრუებია.

***— ნაციონალების უფლებების დარღვევებზე თუ ახდენთ რეაგირებას? ვანო მერაბიშვილი ორ დღეში ერთხელ მართავს პრესკონფერენციას და ჩივის, რომ ნაციონალებს აწიოკებენ.***

— ჩემთვის ხელისუფლების ცვლილება არაფერს არ ნიშნავს. ნამდვილი უფლებადამცველისთვის ყველაზე წმინდა ღირებულება არის ადამიანის უფლება, განურჩევლად მისი სქესობრივი, რასობრივი, პოლიტიკური კუთვნილებისა.

***— ნაციონალების უფლებების დარღვევაზე რას გვეტყვით, ირღვევა თუ არა მათი უფლებები?***

— ნაციონალების უფლებების დარღვევის შემსწრე ჯერ არ გავმხდარვარ. აქვე გეტყვით იმასაც, რომ ნაციონალები იქით არღვევენ ადამიანების უფლებებს. შეიცვალა რეჟიმი, მაგრამ არ შეცვლილა დაზარალებული მხარე. დაზარალებულ მხარედ კვლავ რჩება ქართველი საზოგადოება. დღეს სწორედ ქართველი საზოგადოების უფლებები არის დარღვეული. ე.წ. კოჰაბიტაციის პროცესი გახლავთ ძალიან მავნე მიმართულება.

***— რატომ არის მავნე?***

— შესაძლოა ჩემი ნათქვამის გამო სიმკაცრეში დამადანაშაულონ, მაგრამ სათქმელს მაინც ვიტყვი. იქ, სადაც კანონი არ კანონობს, სადაც სისხლის სამართლის დანაშაული შესაბამისად სასჯელით არ გვირგვინდება, იქ სამართლებრივ სახელმწიფოზე ფიქრიც კი შეუძლებელია. დამნაშავე ჩინოსნები დღეს ისევ მაღალ თანამდებობებზე სხედან და ისევ ისეთი გონორით ელაპარაკებიან ხალხს. ასეთ პირობებში ძალიან ძნელია იმის დაჯერება, რომ ნაციონალების უფლებები ირღვევა. გიმეორებთ, დღეს ისევ ქართველი საზოგადოების უფლებები ირღვევა და ამას კვლავ ნაციონალური მოძრაობა აკეთებს. თუ დავინახავ, რომ რომელიმე ნაციონალის უფლება დაირღვა, პირობას გაძლევთ რომ მის უფლებებსაც დავიცავ. საბედნიეროდ, ჩვენი ხალხი საკმაოდ ტოლერანტულად არის განწყობილი. ამასთან დაკავშირებით ერთ მაგალითს მოვიყვან. რამდენიმე თვის წინ მე გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოვაქვეყნე გლდანის მერვე დაწესებულების თანამშრომელთა სია და მათი მისამართები. ამის გამო ძალიან ბევრმა გამაკრიტიკა. ამბობდნენ, რომ მოხდებოდა ამ ადამიანებზე შურისძიება. როცა ამ სიას ვაქვეყნებდი, ზუსტად ვიცოდი, რომ შურისძიებას ადგილი არ ექნებოდა, ასეც მოხდა.

***— ამ სიამ მართლაც დიდი აურზაური გამოიწვია. ბევრმა ბოლომდე ვერ გაიგო, რა მიზანს ემსახურებოდა თქვენი ქმედება.***

— ამ სიის გამოქვეყნება იყო ციხეში წამების აღკვეთის ყველაზე ქმედითი საშუალება. როგორც უკვე გითხარით, ამ ადამიანებს არავინ არ მივარდნია. არადა, მათ დიდ ნაწილს პატიმრების წამებაში აქვთ მონაწილეობა მიღებული. სხვათა შორის, ეს ადამიანები არც სამსახურიდან გაუშვიათ. მათი უმეტესობა კვლავ რჩება თანამდებობებზე. ასეთ ვითარებაში უხერხულია, ნაციონალები მათი უფლებების დარღვევაზე რომ საუბრობენ. სამწუხარო ის არის, რომ ნაციონალებისგან დაჩაგრული ადამიანები სამართლის დადგენას ვერ ახერხებენ. სამაგიეროდ ნაციონალები ცდილობენ, ჩაგრულის იმიჯი მოირგონ. მიაჩნიათ, რომ ჩაგრულის პოზა არის მომგებიანი. საქართველოში მათი არავის სჯერა. ჩაგრულის პოზაში დასავლეთის დასანახად ჩადგნენ. იმედი აქვთ, რომ იქიდან მათ მხადასაჭერად განცხადებები წამოვა. იმედი აქვთ, რომ რეაბილიტაციას შეძლებენ.

***— მათი რეაბილიტაცია შესაძლებელია?***

— გამორიცხულია. დასავლეთმაც და ქართველმა საზოგადოებამაც გააცნობიერა, როგორი ცრუები არიან ნაცები და მათი ლიდერები. ასე რომ, თავი დაანებონ უფლებების დარღვევებზე საუბარს. მე თუ მკითხავ, დღეს მათ მიმართ გაუგონარ ხელშეუხებლობას აქვს ადგილი.

***— ეს გაუგონარი ხელშეუხებლობა რისი ბრალია, დასავლეთიდან თავსმოხვეული კოჰაბიტაციის?***

— რა თქმა უნდა. მე როგორც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი, ვამბობ, რომ ხელისუფლება უშვებს მიუტევებელ შეცდომას, როცა არ ახდენს სამართლიანობის აღდგენას. დასავლეთიდან ნაკარნახევი კოჰაბიტაცია „ქართულ ოცნებას“ აუცილებლად საზიანოდ შემოუტრიალდება. თუ სამართალი არ აღდგა, ნაციონალებისგან დაჩაგრული ადამიანები შესაძლოა უკონტროლო მასად გადაიქცნენ. მოსახლეობამ ბიძინა ივანიშვილი და მისი გუნდი აირჩია იმიტომ, რომ მათ სამართლიანობის აღდგენის პირობა დადეს. როცა ამდენი ხნის მანძილზე ხელისუფლება სამართლიანობას ვერ აღადგენს, ეს არის მისთვის ძალიან დიდი მინუსი. ეს დროულად თუ არ აღმოიფხვრა, ძალიან ცუდ შედეგს გამოიღებს. მოსახლეობა არა ძველი რეჟიმის, არამედ ახალი ხელისუფლების მიმართ განიმსჭვალება უნდობლობით. ზიზღს, რომელსაც ჯალათი ნაციონალების მიმართ განიცდის, მეოცნებეებზე გადაიტანს. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები სწორედ ამის თავიდან აცილებას ვცდილობთ. კეთილმოსურნის პოზიციიდან ვურჩევთ ოცნებას, რომ სამართლიანობის აღდგენაზე უარი არ თქვან. პირადად მე ვაწვდი ათობით პროკურორის ვინაობას, რომლებიც ადამიანებს საქმეებს „უკერავდნენ“. ისინი ციხის ჯალათებთან ერთად აწამებდნენ პატიმრებს. ეს პროკურორები და გამომძიებლები კვლავ თანამდებობებზე რჩებიან.

***— კონკრეტული მაგალითის დასახელება შეგიძლიათ?***

— კი ბატონო. მაგალითად, ბაჩანა ახალაიას ბრალმდებელი გახლავთ ლევან ბაჩიაშვილი. ლევან ბაჩიაშვილი ბაჩანა ახალაიას მარჯვენა ხელი იყო. ლევან ბაჩიაშვილი ციხეების ზედამხედველი პროკურორო იყო. ლევან ბაჩიაშვილი გახლდათ ის პიროვნება, რომელიც პატიმრების წამებას აფარებდა ხელს. პატიმრების უამრავი საჩივარი მას თაროზე ჰქონდა შემოდებული. მე მაინტერესებს, ლევან ბაჩიაშვილმა რანაირად უნდა დასდოს ბრალი ბაჩანა ახალაიას, მისი ბრალდება რამდენად სამართლიანი იქნება, როცა იმ რეჟიმის შემქმნელი თავად იყო ბაჩიაშვილი. ბუნებრივია, ისმის კითხვა, ვინ მოაწერა ხელი ბაჩიაშვილის ბრალმდებლად დანიშვნას. ასეთი ფაქტები, სამწუხაროდ, ძალიან ბევრია. სავლეს პავლედ გადაქცევა სახარებისეული ჭეშმარიტება გახლავთ, ნებისმიერ ადამიანს აქვს იმის უფლება და პერსპექტივა, რომ ცოდვებისგან განიწმინდოს. მე მეეჭვება, ნაციონალებმა მართლა მოინანიონ ცოდვები და როცა ასეთი ფარისევლები დაუსჯელები რჩებიან, საზოგადოება რჩება იმედგაცრუებული. მიუხედავად იმისა, რომ ხალხს ნაციონალები ეზიზღება, „ქართული ოც-



ნება“ ელვის სისწრაფით კარგავს რეიტინგს. სამწუხაროდ, ბიძინა ივანიშვილის რეიტინგიც ეცემა. ეს ძალიან საწყენია, რადგანაც ივანიშვილი დიდ პატივისცემას იმსახურებს. მან საქართველოს უახლეს ისტორიაში უზარმაზარი ფუნქცია შეასრულა, როცა ბინძურ დიქტატურას და ბინძურ რეჟიმს დაუსვა წერტილი. ეს დიდი გამარჯვებაა, რომლის მოპოვებაც იყო საკმაოდ რთული. გაცილებით რთულია გამარჯვების შენარჩუნება.

***— შეძლებს ივანიშვილი გამარჯვების შენარჩუნებას?***

— უნდა შეძლოს. ეს თუ არ გააკეთა, ისტორიაში დადებით ადგილს ნამდვილად ველარ დაიმკვიდრებს. არადა, ეს ძალიან საწყენი იქნება.

***— დღეს ყველა 19 აპრილის აქციაზე საუბრობს. ზოგი იცინის ამაზე, ზოგი შიშით უყურებს. მე პირადად მეშინია, რომ ნაციონალების მიერ დაჩაგრულმა ხალხმა თავად არ მოინდომოს იმ დღეს მათთან ანგარიშის გასწორება. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?***

— ანგარიშსწორების საფრთხე მართლაც არსებობს. ეს საფრთხე იარსებებს მანამ, ვიდრე სახელმწიფო ინსტიტუტები თავად არ განახორციელებენ დანაშაულის აღკვეთას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ იქ, სადაც წესრიგს არ ამყარებს ხელისუფლება, წესრიგს ამყარებს ხალხი.

***— ეს კი ძალიან ცუდი შედეგით სრულდება ხოლმე.***

— ასეა, მაგრამ ხალხს სხვა გზა არ რჩება. ამიტომ, უმჯობესია, სამართლიანობა თავად ხელისუფლებამ აღადგინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე შესაძლოა ლინჩის წესით გასამართლებამდე მივიდეს. ეს უპრეცედენტო რეჟიმი იყო და არა მხოლოდ საქართველოს ისტორიაში. ასეთი რეჟიმი, მგონი, არავის არ ახსოვს. ეს ის რეჟიმი იყო, რომელიც საკუთარ მოსახლეობაზე ფსიქოლოგიურ და სამედიცინო ექსპერიმენტებს ატარებდა. საქართველო მათ საცდელ პოლიგონად აქციეს. უახლოეს მომავალში საზოგადოება ამ რეჟიმის მიერ ჩადენილი სისასტიკის შესახებ შეიტყობს. და თუ სახელმწიფო არ აღადგენს სამართლიანობას, ამას გააკეთებს ხალხი. თანაც არ დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ქართველები ვართ და სამართლიანობის განცდა ჩვენთვის მთავარია. სხვა ერებისგან განსხვავებით არც უსამართლობას და დამცირებას ვიტანთ იოლად.

***— ამის მიუხედავად, ეს უსამართლო რეჟიმი დიდი ხნის მანძილზე ავიტანეთ.***

— გეთანხმებით, მართლაც დიდხანს ვიტანდით ამ რეჟიმს. არ დაგვავიწყდეს, რომ ისინი ქვეყანას სატანური მეთოდებით მართავდნენ. გამოიყენებოდა მეცნიერულ დონეზე დამუშავებული მეთოდები. არ შეიძლება ისეთ ცვედან ხელისუფლებას. როგორიც სააკაშვილის რეჟიმია, მითითებების გარეშე მოეხერხებინა ამდენი ხანი საზოგადოების ხელში დაჭერა. კი დიდხანს ვითმინეთ ეს რეჟიმი, მაგრამ საწინააღმდეგო გამოსვლებიც ხომ იყო. ეს გამოსვლები სააკაშვილი სისხლში ჩაახშო. ესეც მოწმობს იმაზე, რომ რეჟიმი არაორდინალური მეთოდებით იმორჩილებდა საზოგადოებას. საზოგადოება განცვიფრდება, როცა ეს მეთოდები გამოაშკარავდება. ამიტომ ხელისუფლებას უჯობს სამართალი თავად აღადგინოს.

***— მოდით, ისევ 19 აპრილის აქციას დავუბრუნდეთ. რა შეიძლება მოხდეს ამ დღეს?***

— ამ დღეს პოლიცია უნდა იყოს მობილიზებული, რადგანაც ნაციონალებმა შესაძლოა თავად მოაწყონ პროვოკაცია. ამაში ისინი კარგად არიან მომზადებულები. ნაციონალებმა წამებულის გვირგვინი არ უნდა დაიდგან. ამიტომ ყველას სიფრთხილისაკენ მოვუწოდებ.

***— თქვენ და თქვენთან ერთად კიდევ რამდენიმე ათეული ადამიანი პოლიტპატიმრის სტატუსს ითხოვდით. რა ეტაპზეა ეს საქმე? ისევ არ გაძლევენ ამ სტატუსს?***

— ეს სტატუსი ისევ არ მოუციათ. ამის გამო მე ახალ ხელისუფლებაზე ვარ ძალიან ნაწყენი. ჩვენი დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ ციხეებიდან მანამ გავთავისუფლდით, ვიდრე პარლამენტი ამ ჰუმანურ აქტს მიიღებდა. ჩვენ ადრე იმიტომ გავთავისუფლდით, რომ ყველაზე პირველები ჩვენ დავუპირისპირდით ამ რეჟიმს. ჩვენ რამდენიმე ორგანიზაციამ გვაღიარა პოლიტპატიმრებად. ჩვენ არც ცრუ აღიარება მიგვიცია და არც მოგვინანიებია. იმაში, რომ სააკაშვილის, როგორც დემოკრატის, იმიჯი დაიმსხვრა, ჩვენი დიდი წვლილია. ამიტომ არის საწყენი, რომ ჩვენთვის ეს სტატუსი არ გაიმეტეს. ეს არის დიდი უსამართლობა. ჩვენ ჩვენი სტატუსისთვის ბრძოლას ვაგრძელებთ.

# მიმდინარე წლის სამ თვეში დანაშაულის რიცხვის ზრდის დინამიკა 50%-ით შემცირდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო — ანალიტიკურმა დეპარტამენტმა, გუშინ, რეგისტრირებული დანაშაულის ერთიანი კვარტალური ანგარიში და აღრიცხვის ახალი მეთოდოლოგია წარადგინა, რომელსაც სამინისტრო 2013 წლის იანვრიდან იყენებს.

როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, დანაშაულის სტატისტიკის ახალი მეთოდოლოგია თანამედროვე, ევროპული სტანდარტების მიხედვით შემუშავებული მოდელია, რომელსაც მსოფლიოს წამყვანი ევროპული ქვეყნები იყენებენ.

ქვეყანაში საზოგადოებრივი უშიშროებისა და უსაფრთხოების მაღალი დონე მთლიანობაში შენარჩუნებულია, ხოლო კრიმინოგენური ვითარება 2010 წელს არსებული ვითარების თანაზომადია და ხარისხობრივად 2009 და ადრეული წლების მდგომარეობას აღემატება.

„ზოგადად, კრიმინოგენური ვითარება დამოკიდებულია მთელი რიგი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთზემოქმედებაზე, როგორიცაა: სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, მასშტაბური ამნისტია და შეწყალება, სამართალდამცავ უწყებათა პირადი შემადგენლობის როტაცია და ასე შემდეგ. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ მოსალოდნელი რისკ-ფაქტორების შეფასებისა და პროგნოზირების შესაბამისად, დაგეგმილი და ოპერატიულად გატარებული ღონისძიებების შედეგად, ამნისტიით გამოწვეული უარყოფითი დინამიკა და საერთო კრიმინალურ სიტუაციაზე მისი ნეგატიური ზეგავლენა, დღევანდელი მდგომარეობით შესაძლო პრაქტიკულ მინიმუმამდეა დაყვანილი“ — აღინიშნა პრეზენტაციაზე.

შსს ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციით, განსხვავებები ძველ და ახალ მეთოდოლოგიას შორის არსებითია.

კონკრეტულად კი, წარმოებით შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმეები, მიუხედავად შეწყვეტის საფუძვლისა, სტატისტიკურ მონაცემებში 2013 წლამდე არ აისახებოდა, იმავე პერიოდისათვის, საქმის გახსნილად გამოცხადების ერთადერთ საფუძველს ბრალის წარდგენის შესახებ დადგენილება წარმოადგენდა.

თუმცაღა, ვინაიდან 2013 წლამდე მოქმედ საალრიცხვო სისტემას არ გააჩნდა ბრალის კომპონენტის გარეშე საქმის გახსნილად ჩათვლის მექანიზმი, რათა არ მომხდარიყო გაუხსნელი საქმეების რიცხვის გაუმართლებელი გაზრდა, ასეთი დანაშაულობები ერთიანი კონსოლიდირებული რაპორტის ფორმაში საერთოდ არ აისახებოდა.

რაც შეეხება სტატისტიკურ მონაცემებს, სტატისტიკის თანახმად, წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით, დანაშაულის გახსნის მაჩვენებლები გაზრდილია და ის მარტის თვეში 21,9-დან – 25,53%-მდე, ხოლო იანვარ-მარტის პერიოდში კი 28,8-დან – 32,75%-მდე გაიზარდა.

კრიმინალური ელემენტების გააქტიურების ტენდენცია შეინიშნება ბოლო ორი წლის განმავლობაშიც. 2011 წლის იანვართან შედარებით 2012 წლის იანვარში დანაშაულის საერთო რაოდენობა 10,6%-ით, თებერვლის თვეების შედარებისას 19,5%-ით, 2012 – 2011 წლების მარტის თვეებში 4,7%-ით, ხოლო იანვარ-მარტში 20,2%-ით გაიზარდა.

მხოლოდ შეწყვეტილ სისხლის სამართლის საქმეთა ხვედრითი წილი, რომელიც ადრინდელ ანგარიშში არ ხვდებოდა, ხოლო მიმდინარე წლის კონსოლიდირებულ მონაცემებში უკვე აღირიცხება, საშუალოდ, რეგისტრირებული მონაცემის 5-6%-ს წარმოადგენს, რაც, ახალი მეთოდოლოგიის შემთხვევაში, შესაბამისი თანაფარდობით ზრდის დანაშაულის საერთო რაოდენობასაც. აღნიშნული კოეფიციენტის გათვალისწინებით, 2013 წლის პირველ კვარტალში წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან მიმართებაში მხოლოდ 10,3%-იანი ზრდა ფიქსირდება.

ვინაიდან 2012, 2011, 2010 და ა.შ. წლებში სამინისტრო ძველი მეთოდოლოგიის გამოყენებით აწარმოებდა სტატისტიკას, 2013 წლიდან ახალ მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე გადასვლამ ამ პერიოდების ერთმანეთთან შედარების პრინციპი მიზანშეუწონელი გახადა, რადგან განსხვავებული მეთოდოლოგიით დაანგარიშებული მონაცემების პირდაპირი ურთიერთშედარება გარკვეულ ფარგლებში ყოველთვის ამახინჯებს სურათს დანაშაულის მატება-კლების დინამიკისა და ტენდენციების შესახებ“ — აღინიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ პრეზენტაციაზე.

სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის უფროსის მოადგილის, დავით ალავერდაშვილის განცხადებით კი, მიმდინარე 2013 წლის პირველ 3 თვეში, დანაშაულის რიცხვის ზრდის დინამიკა 50 %-ით შემცირდა.

„რეალურად, მიმდინარე 2013 წლის პირველ 3 თვეში, საანგარიშო პერიოდში დანაშაულის რიცხვის ზრდის დინამიკა 50 %-ით გვაქვს შემცირებული. გარდა ამისა, ყველა მიმართულებით, დანაშაულის გახსნის პროცენტიც დაახლოებით 4-5 ერთეულითაა გაზრდილი, რაც საუკეთესო პრევენციული მექანიზმია და პოტენციური დამნაშავეებისათვის შემაკავებელი ეფექტი აქვს“ — განაცხადა დავით ალავერდაშვილმა.

ნიუსპრესი

# ნანა დევდარიანი: „ნაციონალებს იმიჯს ვანო მერაბიშვილი ულახავს“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ევრაზიის ინსტიტუტის ექსპერტ ნანა დევდარიანთან

***— ქალბატონო ნანა, თეა წულუკიანის განცხადებამ, რომ შესაძლოა მიხეილ სააკაშვილი დაიკითხოს, ნაციონალებში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ხომ არის პრეცედენტი სხვა ქვეყნებში, რომ პრეზიდენტები თანამშრომლობენ გამოძიებასთან. რატომ ქჰონდა ნაციონალურ მოძრაობას ასეთი რეაქცია?***

— საერთოდ, ყოველთვის ასეთი აღელვება მეტყველებს შიშზე, იმ შიშზე, რომ რაღაცის საფუძველი არის. რა შორს მივდივართ, თვითონ არ გამოცხადდა დავითაიას კომისიაში და ჩვენება ხომ მისცა? ახლა ახსნა ძალიან გაუჭირდება, იქ რატომ მივიდა საპარლამენტო კომისიაში და დავუშვათ, გამოძიებას რატომ არ უნდა გასცეს კითხვებზე პასუხი?! ეს ერთი, და მეორე, თეა წულუკიანმა ისიც თქვა, რომ შეიძლება დაიკითხოს მაშინ, როცა პრეზიდენტი აღარ იქნება. ამაში უცნაური არაფერია, ძალიან მალე გავიდა რამდენიმე თვე, რაღა დარჩა უკვე ოქტომბრამდე, არც არაფერი, ხომ?

***— თქვენ ფიქრობთ, რომ მათი ნერვიულობის მიზეზი სწორედ ის არის, რომ დამნაშავეები არიან?***

— ყოველთვის, როცა ასეთ ამბავს ტეხ, ეს უფრო აჩენს ეჭვებს. მართალი კაცი ასე არ გადაირევა. შევარდნაძეზე როგორც კი თქვეს, რომ უნდა დავკითხოთ, დაწერა ჩვენება და მისცა. თუმცა, შეეძლო არ მიეცა. არაფერი ამაში უცნაური არ არის, მით უფრო, კაცი ამტკიცებს, რომ ცამდე მართალია 2008 წლის ამბებში, ხომ ასეა? მაშინ რა უდგას წინ იმას, რომ რა კითხვებიც გაუჩნდა გამოძიებას, იმაზე პასუხი გასცეს.

***— ტალიავინის დასკვნაში ყველაფერი ნათლად წერია და ახალი ხელისუფლება თავიდან ცდილობს ამოქექოს და ბრალი სააკაშვილის ხელისუფლებას დასდოსო... თქვენ როგორ ფიქრობთ, არის რამე ისეთი რაც არ ასახულა ტალიავინის დასკვნაში და რისი გარკვევისაც ასე ძალიან ეშინია ყოფილ ხელისუფლებას?***

— ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია საერთოდ ამ ომის ანატომია. სხვა თუ არაფერი, აქ ხომ ვინმეს დაჭერაზე არ მიდის ლაპარაკი. ომი ისეთი რამ არის, რომ ერთი მხარე იგებს, მეორე — აგებს. აქ საუბარი სხვა რამეზეა, ჩვენ უნდა გავარკვიოთ, სად გვაქვს შეცდომები დაშვებული, რომ ჯერ ერთი, არ გავიმეოროთ ეს შეცდომები და მეორეც, ყველა კითხვას, რაც ამ ომთან დაკავშირებით გაჩნდა, პასუხი გაეცეს. იმიტომ, რომ ელემენტარული ლოგიკის დონეზე, როგორ წარმოგიდგენიათ, ჭკუათმყოფელი ადამიანი, იმხელა სახელმწიფოს, როგორიც არის რუსეთი, მისი სამხედრო მანქანით, პირდაპირ ასე ომს დაუწყებს? ის სარკოზიც მერე კი არ უნდა ჩამოეყვანა, თუ ასეთი შეშფოთებული იყო იმ ინციდენტებით, რაც კონფლიქტის ზონაში ხდებოდა, მანამდე უნდა შეეყარა საქართველოს მეგობარი ქვეყნების ხელმძღვანელები. ეს ხომ ელემენტარულია? თუ ამის გაკეთება შეიძლებოდა ერთი კვირის შემდეგ, შეიძლებოდა ერთი კვირით ადრეც. ამიტომ ამ კითხვებზე პასუხი უნდა გაეცეს. ათასი ვერსია ტრიალებს, რომ წააქეზეს ამერიკელებმა, მეორე ვერსია ამბობს, რომ არ წამოიწყო, თორემ მარტო დარჩები, ეს ხომ უნდა გაირკვეს, არა?!

***— უკვე მოვისმინეთ განცხადებები ამ ომში მონაწილეებისგან, რომ რაც უფრო მეტი იქნებოდა მსხვერპლი ქართულ მხარეს, ეს სააკაშვილისთვის და მისი ხელისუფლებისთვის უფრო მომგებიან სიტუაციას შექმნიდა და ამას დაუფარავად აცხადებდნენო...***

— აი, სწორედ ამიტომ, ამ ყველა კითხვას პასუხი უნდა გაეცეს. აღარ არის ლაპარაკი იმაზე, რომ იგივე ტალიავინის დასკვნაში წერია, რომ ისეთი იარაღი იყო გამოყენებული, რომლის გამოყენებაც არ შეიძლებოდა. ამ იარაღის წარმომავლობაც საინტერესოა. ახლა ასეთ სახელმწიფოში, სადაც 600 ათასი ადამიანი უმწეოა და შემწეობას ითხოვს სახელმწიფოსაგან, ამდენი მილიარდის დახარჯვა შეიარაღებაში, საერთოდ ლოგიკას ექვემდებარება?

***— ფიქრობთ, რომ ამერიკასაც დიდი წვლილი მიუძღვის ამ საქმეში?***

— აი, ესეც უნდა გაირკვეს. მე, მაგალითად, რასაც ვუყურებ ამერიკის საგარეო პოლიტიკას და მის ინტერვენციებს, როდესაც ის შედის ამა თუ იმ ქვეყანაში დემოკრატიის სახელით, ეს ძალიან ბევრ ვარაუდს და საფუძვლიან ეჭვს აჩენს. ჩვენს შემთხვევაში იმდენი ტრაგიკული მომენტებია, რომ ამ კითხვებზე გაცემულმა პასუხებმა, შეიძლება ჩვენ რაღაცა შანსი გაგვიჩინოს, რომ გადაიხედოს იგივე აფხაზეთის და ოსეთის აღიარების საკითხი.

***— ესე იგი თქვენც ფიქრობთ, რომ არის რაღაც ისეთი, რაც შეიძლება გაირკვეს ახალი ხელისუფლების პირობებში და რამაც შეიძლება შეცვალოს ვითარება?***

— რა თქმა უნდა, არის და ამას გარდა მინდა გითხრათ, რომ არც ერთი ადამიანი არც მე, არც თქვენ და არც მიხეილ სააკაშვილი არ ნიშნავს მეტს, ვიდრე საქართველო მთლიანად.

***— თუკი მართლაც მიუძღვით წვლილი ამერიკელებს ამ საქმეში, რამდენად დაუშვებენ და მისცემენ უფლებას, რომ თავიდან დაიწყოს აგვისტოს ომის გამოძიება? ხომ ვხედავთ, რომ ისინი ელემენტარულ საკითხებში ერევიან, რაც ჩვენი ქვეყნის შიგნით ხდება...***

— საერთოდ, ასეა, ნებისმიერი სახელმწიფო, შენს შიდა საქმეში ჩაერევა დიდი სიამოვნებით, თუ შენ თვითონ მისცემ ამის საშუალებას, მაგრამ იგივე ტალიავინის დასკვნაში არის კიდევ ბევრი კითხვა, რომლებიც მოითხოვს პასუხებს. ეს ყველაფერი უნდა გაირკვეს, რაც ორ ადამიანს შორის ხდება, ან ორ სახელმწიფოს შორის, ორივე ბოლომდე მართალი, ან ორივე ბოლომდე დამნაშავე, არასოდეს არ არის. ამიტომ ვის რა წვლილი მიუძღვის, ეს გარკვევით და ნათლად უნდა ითქვას.



***— ე.ი. თქვენ დადებითად შეხვდით იუსტიციის მინისტრის ამ განცხადებას?***

— იცით, რა არის, ჩვენ ხშირად ვუშვებთ ერთ შეცდომას, ვთქვათ, რაღაც ბრიფინგია და რომელიმე ჟურნალისტმა დასვა შეკითხვა და ამ კითხვაზე პასუხობს თეა წულუკიანი და მერე ხდება ამის ტირაჟირება და გამოდის, რომ თეა წულუკიანმა თავისი ინიციატივით რაღაცა საკითხები დასვა. არადა, შეიძლება ამ დროს ვიღაცამ უბრალოდ ჰკითხა, რომ დადგეს საკითხი, დაიკითხება თუ არა სააკაშვილი? ამდენად, ამას არ უნდა შევხედოთ როგორც ინიციატივას, ეს არის პროცესის ნაწილი და პროცესის ნაწილიდან ამოგლეჯილად, ეს არ უნდა განვიხილოთ ხოლმე. დღესვე რომ აპირებდნენ სააკაშვილის დაკითხვას, ამის ანონსს არავინ გააკეთებდა წინასწარ. აქ საუბარი იყო იმაზე, რომ შესაძლებელია და ასე შემდეგ. ეს არის იმ პიარის ნაწილი, რომ გამოიყვანონ ახალი ხელისუფლება, როგორც ვამპირი, მონსტრი, თითქოსდა ღამე ეარ სძინავს და იმას ფიქრობს, როგორ დაიჭიროს ეგენი ყველანი. დამჭერი რომ ყოფილიყო, პირველივე დღეებში გააკეთებდა ამას.

***— სხვათა შორის, გამახვილდა ყურადღება, რომ არა მარტო აგვისტოს ომი, იქ არის ჟვანიას საქმე, ტელეკომპანია იმედის საკითხი და ასე შემდეგ...***

— დიახ, იმედთან დაკავშირებული ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები, რომ იძახიან, ჩვენ ნებაყოფლობით ოჯახს გადავეცითო, გადასცეს, არჩევნები რომ წააგეს იმის შემდეგ. თორემ რამდენი წელი გაგრძელდა ეს ყველაფერი? 2007-დან გასულია ექვსწელიწად— ნახევარი. ამ პერიოდში ნებაყოფლობით დამბრუნებელი მანამადე დააბრუნებდა, მაგრამ ეს გააკეთეს მხოლოდ არჩევნების წაგების შემდეგ. ახლა ძალიან დიდი პრობლემებია ოფშორულ ზონებთან დაკავშირებით, ივანიშვილზე რომ წერენ, რომ ოფშორულ ზონებში კაპიტალი აქვს და კომპანიები აქვს, ამაში გასაკვირი არაფერი არ არის, ეს აკაცი იყო მილიარდელი, იყო ბიზნესმენი და სადაც უნდოდა, იქ განათავსებდა თავის კაპიტალს. მაგრამ აი, წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს რომ აქვთ გატანილი ოფშორულ ზონებში კაპიტალი, ის იწვევს ძალიან დიდ ინტერესს. იმის გამო, რომ ევროპაში არის ძალიან დიდი კრიზისი და არა მარტო ევროპაში, მსოფლიოშია კრიზისი, ამ ოფშორული ზონების საკითხი დგება ძალიან მძაფრად და უახლეს მომავალში მე ვვარაუდობ, რომ ოფშორული ზონებიდან ძალიან ბევრი რამ გამომჟღავნდება და არა მარტო ჩვენი წინა ხელისუფლების, სხვა ქვეყნებისაც.

***— ასევე სასამართლოების შესახებ მინდა, რომ ვისაუბროთ, საუბარია, რომ სააკაშვილი ამ კანონს ვეტოს დაადებს. მით უმეტეს, რომ ასე ეშინიათ ახალი ხელისუფლების, რამდენად მარტივად დათმობენ სასამართლოს?***

— ეს არის უბრალოდ დროის გაჭიანურება. ვიმეორებ, ოქტომბერი ძალიან მალე მოვა, იმაზე უფრო მალე, ვიდრე ზოგიერთს ჰგონია ნაციონალური მოძრაობიდან. კარგი, დღეს დაადებს ვეტოს, ოქტომბერში რაღას დაადებს? აირჩევა ახალი პრეზიდენტი და მორჩება ეს ყველაფერი. ბოლოს და ბოლოს ვეტოს დაძლევს პარლამენტი, ერთხელ დაძლია უკვე. დროის გაჭიანურებაა და მხოლოდ იმის დემონსტრირება, რომ ჯიბისაა ეს სასამართლო და არ უნდა ჯიბიდან ამოიღოს. რაც მეტ ასეთ საქციელს ჩაიდენს, მით უარესია მისთვის. მე უბრალოდ მეცინება იმაზე, რომ კაცი, რომელიც აღიარებული იყო პიარის დიდოსტატად, ისეთ შეცდომებს უშვებს პაირში, რომ დამწყები პოლიტიკოსი არ დაუშვებს, აი ახლა, ამ კრიტიკულ ვითარებაში.

***— კონკრეტულად რაზე გაამახვილეთ ყურადღება?***

— აი, სასამართლოზე თუნდაც. მაგას იგივე ინტუიცია რომ ჰქონდეს შემორჩენილი, როგორიც ჰქონდა რამდენიმე წლის წინ, წინსწრებით იტყოდა, რომ ვეტო, მზად ვარ და ეხლავე, თუ რეფორმა სჭირდება მართლმსაჯულებას, მზად ვარ და ახლავე დავიწყოთ.

***— იმდენად შოკირებულია, რომ განჭვრეტის უნარი დაკარგა?***

— მარტო შოკირებული არ არის, რა ასაკი აქვს, მგონი, 46 წლის არის და 46 წლის ასაკში, პოლიტიკურ პენსიაზე გასვლა მას არ უნდა, რა თქმა უნდა. უნდა გითხრათ, რომ ცოდვებმა უწია, მაგან მაგ ასაკში იმდენი ადამიანი გაუშვა პოლიტიკურ პენსიაზე, რომ არაფერი გასაკვირი არ არის, თვითონაც მოუწიოს. ამის გამო ფაფხურობს, რომ არ უნდა პოლიტიკურ პენსიაზე გასვლა.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ შანსიც აღარ რჩება იმის, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ დაბრუნდეს პოლიტიკაში?***

— ეს ისტერიული შეძახილები, რომ მე ვერავინ ვერ გამიყვანს პოლიტიკური ბრძოლიდან, სწორედ ამას მეტყველებს, რომ ეშინია სწორედ ამის, დარჩება პოლიტიკური არენის მიღმა. იცით, სიდინჯე არასოდეს ყოფილა მისი ღირსება, მაგრამ ამ ვითარებაში მან ძალიან დინჯად უნდა შეხედოს ვითარებას. თუ მართლა უნდა იმის შანსი, რტომ იყოს პოლიტიკურ პროცესში. არ ყოფნის ეს სიდინჯე და ჰე...

***— რაც შეეხება ვანო მერაბიშვილის ბოლოდროინდელ განცხადებებს, რომ გვავიწროვებენ, გვჩაგრავენ, ჩვენ ამას განვაცხადებთ ამერიკაში, დაგასმენთ და ასე შემდეგ... რა ხდება ახალ ხელისუფლებას ამერიკით აშინებენ? თუ როგორ იგებთ თქვენ მის მიერ გაკეთებულ განცხადებებს?***

— მე საერთოდ ძალიან სკეპტიკურად შევხედე გენერალურ მდივნად ვანო მერაბიშვილის დანიშვნას. ყოფილი მმართველი პარტიის გენერალურ მდივანს, სულ სხვა თვისებები ესაჭიროება. ახლა ის ვითარებაა, რომ ვანო მერაბიშვილი რაც მეტს ილაპარაკებს და მეტჯერ გამოვა საჯაროდ, მით უარესი ნაციონალური მოძრაობისთვის. ამას თუ ვერ ხვდებიან ეგენი ნაცმოძრაობაში, ეგ არის ძალიან სერიოზული პრობლემა მაგათთვის. ვანო მერაბიშვილი, რომელიც ქვეყნის ხერხემალი იყო, სააკაშვილს თუ დავუჯერებთ და ყველაფერი მასზე იყო ჩამოკიდებული, დღეს არის დაცაგრულის როლში, რომ ჩვენ გვჩაგრავენ და გვავიწროვებენ, ძალიან სასაცილოდ გამოიყურება. ამას არ შეიძლება, რომ თვითონაც არ ხვდებოდნენ ნაცმოძრაობაში. იქ არიან სტაჟიანი პოლიტიკოსები, რომლებსაც ბევრი რაღაცა აქვთ გავლილი. ცოტა გარეშე თვალით რომ შეხედონ ამას, უბრალოდ, მიხვდებიან, რომ სასაცილოდ გამოიყურებიან.

***— ანუ ვანო მერაბიშვილი ნაციონალების იმიჯს ლახავს?***

— ლახავს კი არადა და მერაბიშვილი აჩვენებს ნამდვილ შინაარსს ნაციონალური მოძრაობისას. აი ეგეთები არიან სინამდვილეში.

***— სერიოზულად აწიოკებენ საბავშვო ბაღებსო და ცდილობენ, რომ ბაღის მასწავლებლებით და დირექტორებით შეავსონ რუსთაველი?***

— ეჭვი მეპარება, რომ ამაზე წამოიკიდონ ბევრი. ის ადამიანებიც ხომ ხვდებიან, რომ სააკაშვილის ტერმინოლოოგიით რომ ვთქვათ, ჩავლილი მატარებელია უკვე. 2003-ში რომ იძახდა, შემოახტით ჩემს მატარებელსო და ბევრმა იჩქარა და შეახტა... დღეს უკვე დეპოშია მაგათი მატარებელი და აწი თუ ვინმე შეახტება, ეს მისი პირადი პრობლემაა, მეტი არავისი.

# მანანა ნაჭყებია: „მეოცნებეები დაპირებებს კარგად ვერ ასრულებენ“

შორენა კოწოწაშვილი

რომელი მინისტრის და რომელი უწყების მიმართ გააჩნია პრემიერს კითხვები, რატომ აყვა უმრავლესობა ნაციონალების დღის წესრიგს და შეიძლება თუ არა ექვსი თვის მონაცემებით ივანიშვილის მთავრობის წარმატებულობაზე ლაპარაკი? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთ ლიდერ მანანა ნაჭყებიასთან.

***— ქალბატონო მანანა, დღევანდელი გადასახედიდან, რას იტყვით სამართლიანობის აღდგენის პროცესზე, რომელიც საზოგადოებაში აშკარად უკმაყოფილებას იწვევს?***

— ცხადია, საზოგადოებას მოლოდინი ჰქონდა, მას ამის უფლებაც ჰქონდა, რომ სამართლიანობის აღდგენა მომხდარიყო ამ ქვეყანაში, მაგრამ, ამავდროულად, მესმის ხელისუფლების სიფრთხილისაც. ტოტალურად სამართლიანობის აღდგენა სახელმწიფოს კოლაფსს გამოიწვევს იმიტომ, რომ ძალიან ბევრი ადამიანი თვლის თავის თავს უსამართლოდ და უსაფუძვლოდ დაჩაგრულად. ამიტომ ყველა ამ ადამიანის განცხადებისა და სასამართლოში ამ საქმეების განხილვა, ბუნებრივია, ერთდროულად ვერ მოხდება. თუმცა, მე ჩემი პრეტენზიები მაქვს თვითონ ამ პროცესთან დაკავშირებით. ვფიქრობ ამაში, ამ ხნის განმავლობაში ხელისუფლება და პროკურატურის ორგანოები არიან დამნაშავე, ვერც ერთ საქმესთან დაკავშირებით ვერ დადო ისეთი მტკიცებულებები, რომელიც კითხვის ნიშნებს გამორიცხავდა და არავის საზოგადოებაში ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას არ მისცემდა.



ერთი-ორო მაგალითიც რომ ყოფილიყო იმისა, რომ დამნაშავეები დაისჯებოდნენ უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე, ეს ძალიან კარგ პრეცედენტს შექმნიდა. ჩვენ დღესდღეობით, ერთადერთი, ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესის მომსწრენი ვართ, სადაც, როგორც ჩანს, პროკურატურა ჯერ კიდევ ვერ ახერხებს, რომ სათანადო მტკიცებულებები დადოს. დანარჩენ შემთხვევაში საზოგადოება ხედავს, რომ არის პროკურატურაში დაბარებები და მერე ეს ადამიანები ისევ უკან ბრუნდებიან. რა თქმა უნდა, მე არავის უსამართლოდ დასჯის მომხრე არა ვარ და, საერთოდ, არ მსიამოვნებს ადამიანების ციხეში ხილვა, მაგრამ თუ საზოგადოებამ არ დაინახა, რომ დამნაშავე დაისაჯა და იმათაც თუ არ დაინახეს, ვინც უსამართლობას სჩადიოდა, რომ ამისთვის ვიღაც დაისაჯა და კანონი მუშაობს ასეთ შემთხვევაში, ცხადია, შემდგომ ვიღაცებსაც გაუჩნდებათ სურვილი, რომ ადამიანები უსამართლოდ დაჩაგრონ. ისეთი დიდი რაოდენობით ირღვეოდა ადამიანის უფლებები, რომ ვფიქრობ, შეუძლებელიც კი იქნება ყველას უფლებების აღდგენა.

***— არასწორად მიდის კოჰაბიტაციის პროცესიც?***

— კოჰაბიტაცია სახელმწიფო აზროვნების ნაწილია და მე არ მესმის იმ ადამიანების, ვინც დღევანდელ ხელისუფლებას უკიჟინებს, რომ რატომ ხდება კოჰაბიტაცია მათთვის მისაღები. ცხადია, ეს აუცილებელი იყო და ქვეყანას სტაბილური განვითარებისთვის სჭირდება, მაგრამ ამავდროულად კოჰაბიტაცია იმას არ ნიშნავს, რომ მართლაც ყველაფერზე თვალები დახუჭო. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, პრეცედენტი იმისა, რომ უტყუარი მკიცებულებები დაიდოს და არა ისე, რომ ისევ კითხვის ნიშნები დარჩეს, აუცილებლად სჭირდება ჩვენს ქვეყანას. თუნდაც ერთიორი გახმაურებული საქმე, იგივე გურამ შარაძის, ზურაბ ჟვანიას მე აღარ ჩამოვთვლი, იგივე გირგვლიანის საქმე — ეს ხომ მაინც ყველამ იცის და ბოლომდეა მიყვანილი. რა უდგას წინ ამის გაკეთებას, რომ აქ საბოლოოდ დაისვას ყველა წერტილი ისე, როგორც იტყვიან და ადამიანებმა გაიგონ საბოლოო პასუხი, რეალურად რა მოხდა, ვინ არის დამნაშავე და დაინახონ, დამნაშავეები როგორ დაისჯებიან.

***— როგორ შეაფასებდით იმ პროცესს, რომელიც მეზობელი თურქეთის ინტერესებს უკავშირდება და რომელიც ქართული კულტურის ძეგლების აღდგენა-რესტავრაციის პარალელურად იკვეთება? რაბათთან დაკავშირებით საკმაოდ სერიოზული ხმაურია...***

— მე მაინც მგონია, რომ რაბათის საკითხი და ვთქვათ, იგივე იშხანთან დაკავშირებით დღეს რაც ხდება, არის ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკებების თემა. ჩვენ იგივე რაბათის მშენებლობის დროს უნდა მიგვეღწია იმისთვის, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო თურქეთის მხარის ინტერესები, ისევე, როგორც ჩვენ ვითხოვთ, რომ ქართველი სპეციალისტების მონაწილეობის გარეშე არ მოხდეს „იშხანის“, „ოშკის“, „ზარზმის“ და სხვა ჩვენი ისტორიული ძეგლების აღდგენა. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ბუნებრივია და ჩვეულებრივი, როცა ამას ვითხოვთ. ყველა მხარეს აქვს სურვილი თავისი ძეგლის რესტავრაციაში მიიღოს მონაწილეობა და გააკეთოს ისე, როგორც მისი ქვეყნის კულტურისთვის არის დამახასიათებელი. ამიტომ აქ, ალბათ, კომუნიკაციის პრობლემაც იყო, ალბათ ნაჩქარეობასაც ჰქონდა ადგილი. მე ვფიქრობ, დაუყოვნებლივ უნდა გადაიდგას ნაბიჯები იმისთვის, რომ ეს ყველაფერი დროულად აღმოიფხვრას. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე შეიძლება აღდგეს ისლამური ან სხვა ძეგლების იერ-სახე და გამოუსწორებელი შედეგებიც კი მივიღოთ. სხვა ქვეყნების ტერიტორია-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# რა შანსები აქვს ვალერი ხაბურზანიას

თამარ ნინიძე

მმართველი კოალიცია უკმაყოფილოა იმით, რომ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში მხოლოდ ერთი ოპოზიციაა ნაციონალური მოძრაობის სახით და ისიც ოპონირების ფუნქციას ვერ ასრულებს. პოლიტიკურ სივრცეში გაჩნდა იმის აუცილებლობა, რომ მესამე პოლიტიკური ცენტრი შეიქმნას. ამის პოტენციალი ნამდვილად არსებობს, თანაც, რომ გადავხედოთ არასაპარლამენტო პარტიების რიცხვს, ამის რესურსი არსებობს. რაც უფრო ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები, მით უფრო აქტიურდება ლიდერების პიროვნული თვისებების შესახებ დისკუსია. თავის დროზე, როცა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია პარლამენტში არ შევიდა, მას კონკრეტული მიზანი ჰქონდა, ის ქვეყნის პრეზიდენტობისთვის ემზადებოდა, ამის შესაბამისი პოტენციალიც გააჩნდა და გუნდიც ჰყავდა. რომ დასცლოდა, მისგან შესანიშნავი ლიდერი ჩამოყალიბდებოდა. ქვეყნის მეთაური იქნებოდა გამოკვეთილად დასავლური ორიენტაციის, მართლმადიდებლობის ქომაგი და ქართული ტრადიციების მცოდნე და მიმდევარი.

ეროვნული ფორუმის ლიდერი კახა შარტავა დღეს ისევ ჩრდილშია და უამრავ კითხვას უპასუხოდ ტოვებს, ის არ ჩანს აქტიურ პოლიტიკაში და ტოვებს ინერტული ფიგურის შთაბეჭდილებას, არადა, რამდენიმე წლის წინ, ერთ-ერთი გავლენიანი პოლიტიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი გარკვეულ იმედებს იძლეოდა. ვერავინ გაიგო, რატომ არის ის მდუმარე პოზაში, არც ოპოზიციური ნიშა აქვს და პოლიტიკიდან საბოლოოდ წასვლის განცხადებასაც არ აკეთებს, როგორც ეს დავით გამყრელიძემ გააკეთა. გამყრელიძემ პირობა დადო, მარცხის შემთხვევაში, ის პოლიტიკიდან წავიდოდა და ეს პირობა შეასრულა კიდეც, შარტავას არანაირი პირობა არ დაუდია. ის უბრალოდ არ ჩანს. მისი პარტიის წევრები აცხადებენ, რომ ის პარტიის ოფისში ზის, მაგრამ მისგან არანაირი კომენტარები, განცხადებები და მოსაზრებები არავის გაუგია. მოკლედ, მისგან საპრეზიდენტო კანდიდატურის გამოძერწვა რომც მოინდომოს მედიამ, ამის საშუალება არ ექნება.

სამაგიეროდ, თავის უცვლელ ამპლუაშია შალვა ნათელაშვილი, ჯერ კონკურენტების ვინაობა არ იცის, მაგრამ უკვე ყველას დაასწრო და განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობს. ამით, როგორც ჩანს, იმის დამტკიცება სურს, პირველ რიგში თანაპარტიელებისთვის, რომ პოლიტიკიდან არსად წასვლას აპირებს და იბრძოლებს სააკაშვილისა და ივანიშვილის წინააღმდეგ, რომლებიც, მისი აზრით, ქვეყანას ღუპავენ.

კოალიცია ქართული ოცნების ლიდერმა ივანიშვილმა ტელევიზიებისა და გაზეთების ხელმძღვანელებთან შეხვედრის დროს აღნიშნა, რომ ქვეყანაში უნდა იყოს რეალური ოპოზიცია, რომელიც ქართულ ოცნებას ეიფორიაში ყოფნის საშუალებას არ მისცემს და კონსტრუქციულად გააკრიტიკებს. ნაცმოძრაობას ამ როლში ის ვერ ხედავს. ამიტომ მესამე ცენტრის ჩამოყალიბების კონტურების გამოკვეთაზე ამახვილებს ყურადღებას. მან ისიც აღიარა, რომ სალომე ზურაბიშვილს, ნინო ბურჯანაძეს და ირმა ინაშვილს სთხოვა ამ კუთხით კიდევ უფრო მეტად გააქტიურება. ირმა ინაშვილი პატრიოტთა ალიანსის წარმოადგენს, ის ამ ახალი პარტიის ერთ-ერთი ლიდერია, ამ პარტიას პროპაგანდისტული რესურსი გააჩნია, ტელევიზიას ფლობს, თანაც საკრებულოებში ცდილობს თავისი გავლენის გაძლიერებას; სალომე ზურაბიშვილი, ცოტა ხნის წინ გავრცელებული ინფორმაციით, ქართული ოცნების საპრეზიდენტო კანდიდატებს შორისაც იყო დასახელებული; ბურჯანაძეს პოლიტიკური პარტიაც აქვს და საზოგადოებრივი ორგანიზაციაც სახალხო კრების სახით.



მორატორიუმის დასრულების შემდეგ ბურჯანაძემ აქცენტი უკვე გააკეთა მმართველი კოალიციის საყურადღებოდ და სამართლიანობის აღსადგენად უფრო ეფექტური ქმედებებისკენ მოუწოდა, ამით დაიწყო მან ხელისუფლების კრიტიკა. როგორც ბოლო დროს გამოიკვეთა, დემოკრატიული მოძრაობა საგარეო კურსში ე.წ. ცენტრისტული პოზიციის მომხრეა, ანუ ის დასავლურ ღირებულებებს აღიარებს, მაგრამ ამავე დროს ცდილობს დააფიქსიროს იმის აუცილებლობა, რომ საქართველოს მეზობელ სახელმწიფოსთანაც უნდა ჰქონდეს ნორმალური ურთიერთობა.

კუკავა და მისი თავისუფალი საქართველო, ეს ბოლო დროს ძალიან საინტერესო ოპოზიციური არასაპარლამენტო პარტიაა, ის მორატორიუმს არ ცნობდა და არჩევნებიდან მალევე დაიწყო კოალიცია ქართული ოცნების კრიტიკა. კუკავა თვალსა და ხელსშუა იზრდება პოლიტიკურად, ის მზარდი პოტენციალის პოლიტიკოსად ყალიბდება. ჩემი აზრი შეიძლება ბევრს არ აინტერესებდეს, კუკავას რუსულ ორიენტაციას არ ვიზიარებ, მაგრამ მისი პარლამენტში მოხვედრა თვითონ საპარლამენტო უმრავლესობისთვისაც იქნებოდა კარგი. ნაცმოძრაობის გარდა, პარლამენტში იქნებოდა პოლიტიკოსი, რომელიც არავის კრიტიკას არ ერიდება.

ბეჭდურ მედიაში საუბრობენ ირაკლი ალასანიას საპრეზიდენტო ამბიციებზე. გამოითქვა ვერსია, რომ ის შეიძლება ახალი გაერთიანების ლიდერი გახდეს, ოღონდ არა კოალიციის შიგნით, არამედ გამოეყოს კოალიციას და შემოიკრიბოს დასავლური კურსის პოლიტიკური პარტიები. მაგალითად, ახალი მემარჯვენეები, ქრისტიან-დემოკრატები და ნაცმოძრაობის გარკვეული დაჯგუფებაც კი. ახლები და ქდმ ამ გაერთიანების შექმნას უარყოფენ, მაგრამ არაფერს გამორიცხავენ. ნაციონალები ალასანიას კრიტიკას ერიდებიან, ეს კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვებს, რომ ალასანია ფარულად ხვდება ნაცმოძრაობის ლიდერებს.

სახალხო კრების წევრი ირაკლი ბათიაშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ასეთი ალიანსის ჩამოყალიბების შესაძლებლობა არ უნდა გამოირიცხოს. მას მიაჩნია, რომ ნაცმოძრაობის საპრეზიდენტო არჩევნებზე სერიოზული კანდიდატურა არ ეყოლება, მერაბიშვილის დასახელება კი ნაციონალებისთვის ამ პოსტზე დიდი სირცხვილი იქნება. ნაციონალებს გამარჯვების იმედი არ აქვთ, ამიტომ კოალიციის შიგნით ალასანიას ფაქტორის ალტერნატიულ ძალად ჩამოყალიბება მათთვის ხელსაყრელი იქნება, პირველ რიგში იმიტომ, რომ გააჩინონ საზოგადოებაში კოალიციის დაშლის მოლოდინი და მეორეც, ალასანიაზე გააკეთონ ფსონი იმიტომ, რომ ის დასავლურ კურსს არ ღალატობს. თანაც ალასანია მარგინალად არ მოიაზრება, მისი აკადემიურობა, არარადიკალურობა და ზოგ შემთხვევაში პოზიციის მერყეობა ნაციონალებისთვის კარგი შესაძლებლობაა, მოახერხონ ახალი პოლიტიკური ცენტრის შიგნით ლიდერი პოლიტიკური ძალის ეფექტი შექმნან. სხვა საკითხია, მოუნდება თუ არა ალასანიას ამ ცენტრის ლოკომოტივის როლის შესრულება. დღეს ალასანიას ის სტატუსი აქვს, რაც ბევრი პოლიტიკოსისთვის სასურველია. ის საკვანძო სამინისტროს ხელმძღვანელობს, მისი ავტორიტეტი ამ სამინისტროში, ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთაც, უფრო და უფრო ძლიერდება, ხოლო საზოგადოებისგან უარყოფილი ნაცმოძრაობის გვერდით გამოჩენა, არა მგონია, მისი პოლიტიკური მომავლისთვის ეფექტური აღმოჩნდეს. გარდა ამისა, საზოგადოებას ბევრი კითხვა აქვს ქდმ-სა და ახალი მემარჯვენეების მიმართ, ეჭვები დღესაც არის იმასთან დაკავშირებით, რომ ეს პარტიები ნაცმოძრაობასთან ფარულ ალიანსში იმყოფებოდნენ. დიდი დრო უნდა გავიდეს, რომ ეჭვები ამასთან დაკავშირებით გაიფანტოს.

ირაკლი ბათიაშვილი ფიქრობს, რომ ასეთ მყიფე ვითარებაში ქვეყნისთვის სასურველია პრეზიდენტი იყოს არა ფორმალური სიმბოლური სუსტი ფიგურა, არამედ სერიოზული, გადაწყვეტილებებზე ორიენტირებული, რომელიც ხელისუფლებას ჯიბრში კი არ ჩაუდგება, არამედ დაეხმარება ვითარების სტაბილიზებასა და პრობლემების მოგვარებაში. ალასანიას ბათიაშვილი დადებითად აფასებს, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო მისგან, სახალხო კრების ლიდერის სიმპათიები უფრო ბურჯანაძისკენ იხრება. მისი აზრით, ბურჯანაძე საკვანძო ფიგურაა, რომლის საპირწონე ქართულ ოცნებას საპრეზიდენტო პოსტზე არ ეყოლება.

საპრეზიდენტო ამბიციები არა მგონია ამ ეტაპზე ჰქონდეს გიორგი თარგამაძეს ან ფიქრია ჩიხრაძეს, საპარლამენტო არჩევნებში მარცხის შემდეგ ისინი უფრო გარედან აკვირდებიან მოვლენებს, მორატორიუმის დასრულების შემდეგ მმართველი კოალიციის კრიტიკა მათაც დაიწყეს, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ მზად არ არიან. მიუხედავად ამისა, გამორიცხული მაინც არ არის, დასავლური კურსის ძალებმა მესამე პოლიტიკური ცენტრის ჩამოყალიბების იდეის განხორციელებაზე იფიქრონ, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა პრორუსული ძალები გააქტიურდნენ.

ხაბურზანია ერთ-ერთი იმათგანია, ვინც არ მალავს პოლიტიკურ სიმპათიებს რუსეთისადმი, ჯერ გამოკვეთილი არ არის, ის საპრეზიდენტო არჩევნებში მოინდომებს თუ არა მონაწილეობას, გამოჩნდა თუ არა განაცხადა, რომ ის პოლიტიკურ პარტიას შექმნის, მაგრამ საპრეზიდენტო მარათონში ჩაებმება, თუმცა ვერავინ გამორიცხავს იმას, რომ ხაბურზანიამაც სცადოს არჩევნებში მონაწილეობა. მისი უცნაური განცხადებები მიუღებელია საზოგადოების დიდი ნაწილისთვის და გამარჯვების შანსი მას არა მარტო საპრეზიდენტო, არამედ სხვა სახის არჩევნებშიც, სავარაუდოდ, არ ექნება.


# თიბისი ბანკის იპოთეკური სესხი ლარში ყველაზე დაბალ პროცენტში: 10.75%-დან!

დაივიწყეთ ვალუტის კურსის მოულოდნელი ცვალებადობა! დღეიდან თიბისი ბანკი გთავაზობთ იპოთეკურ სესხს ლარში, თანაც ყველაზე დაბალი – 10.75%-იანი განაკვეთით.

თუ გსურთ ბინის, აგარაკის ან მიწის ნაკვეთის შეძენა, თიბისი ბანკის იპოთეკური სესხი ლარში სწორედ თქვენთვისაა. ეს არის სესხი, რომელსაც არ ახლავს არანაირი სავალუტო რისკი, აქვს ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი და არის ყველაზე მოსახერხებელი მათთვის, ვისაც შემოსავალი ეროვნულ ვალუტაში აქვს.




იპოთეკური სესხი ლარში არის თიბისი ბანკისა და ეროვნული ბანკის ერთობლივი პროდუქტი, რაც ამ სესხის საპროცენტო განაკვეთის სიმცირეს განაპირობებს.

კერძოდ, ამ ტიპის სესხის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთისა და თიბისი ბანკის განაკვეთის ჯამის შესაბამისად.

ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთი ყოველთვიურად დგინდება. შესაბამისად, თიბისი ბანკის ლარის იპოთეკური სესხის საპროცენტო განაკვეთი შეიძლება შემცირდეს ან უმნიშვნელოდ გაიზარდოს, თუმცა ის, ზრდის შემთხვევაშიც, მკვეთრად დაბალი იქნება ბაზარზე არსებული იპოთეკური სესხების განაკვეთებთან მიმართებაში.

გახსოვდეთ, რომ თიბისი ბანკის იპოთეკური სესხი ლარში ყველაზე სტაბილური, იაფი და მოსახერხებელი სესხია ქართულ საბანკო სივრცეში!

ასე რომ, თქვენ აღარ ხართ დამოკიდებული ვალუტის კურსის არასასურველ ცვალებადობაზე, იხდით სესხს იმავე ვალუტაში, რომელშიც გაქვთ შემოსავალი და რაც მთავარია, სარგებლობთ ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით – 10.75 პროცენტი 2013 წლის აპრილის თვისთვის სესხის საუკეთესო განაკვეთია! იჩქარეთ!


# მანანა ნაჭყებია: „მეოცნებეები დაპირებებს კარგად ვერ ასრულებენ“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ზე არსებული ქართული ძეგლების იერ-სახე შეიძლება ისე დამახინჯდეს, რომ აქაც რაღაც გამოუსწორებელ შედეგებამდე მივიდეთ. მე ვფიქრობ, სასწრაფოდ უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები და ჩვენ არ უნდა დაველოდებოდით მოვლენების ასე განვითარებას. მე ვფიქრობ, კულტურის სამინისტრო საქმიანობის პირველი დღეებიდანვე უნდა შესდგომოდა ამ პროცესის ისე დარეგულირებას და განხილვას, რომ აქ არავის ინტერესები არ შელახულიყო.

— ***ნაცმოძრაობის ლიდერი ვანო მერაბიშვილი წარმოჩინდება, როგორც დღევანდელი რაბათის ციხის დამცველი და ის ამისთვის საზოგადოებრივი მოძრაობის შექმნასაც გეგმავს. რას ნიშნავს ყოფილი პრემიერის ეს პოზიცია და გააფუჭებს თუ არა ეს ტალღა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას?***

— ცხადია, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა პიარულად სათავისოდ გამოიყენა ის, რომ თურქული მხარე ჩვენ გვთხოვს ქრისტიანული ნიშნების მატარებელი ძეგლების გარეთ გამოტანას მუსლიმანური მეჩეთის ტერიტორიიდან და ვთქვათ, იგივე საკითხის სხვაგვარად შეღებვას. მე ვფიქრობ, ეს უფრო პიარი იყო მისი მხრიდან. რატომღაც არა მგონია, რომ დღეს ეს საფრთხე რაბათს ემუქრება, რომ იქედან ვინღაცამ მოითხოვოს ძალიან სერიოზული ცვლილებები, ისეთი, რომელიც გამოიწვევს აი, ამ მართლაც კარგად გაკეთებული ძეგლის ნგრევას. მე აბსოლუტურად მესმის არქეოლოგებისაც და სპეციალისტებისაც, მაგრამ მესმის ისიც, რა მდგომარეობაში იყო რაბათი, ეს მხოლოდ სპეციალისტებისთვის იყო საინტერესო და არამც და არამც ფართო საზოგადოებისთვის, ტურისტებისთვის. მე ძალიან ბევრი ადამიანი ვიცი, მათ შორის ჩემი მეგობრებიც, რომლებიც საგანგებოდ წავიდნენ ახალციხეში რაბათის სანახავად, მაშინ, როცა წლების განმავლობაში არავის მოფიქრებია იქ ჩასვლა. ამიტომ ასეთი ტიპის რეკონსტრუქცია, ძეგლის ასე გადაკეთება აუცილებელია. საუბარი იმაზე, რომ აქ რაღაც ტიპის შეცდომები იქნა დაშვებული, ყოველთვის იქნება იმიტომ, რომ ყველას სხვადასხვანაირი გემოვნება აქვს. ზოგს არ მოსწონს სახურავის ფერი, ზოგს – ცხაური. მაგრამ ფაქტია, რომ თვითონ პროცესი – მშენებლობა, გაკეთება, აღდგენა-რესტავრაცია კარგია და ჩვენ ეს უნდა გავაგრძელოთ. ამ მხრივ მე ვხედავ შეცდომებსაც რომლებიც დღევანდელი ხელისუფლების, ისე წინა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან. დღევანდელ ხელისუფლებას, უნდა თუ არ უნდა, თავისი რიტორიკა გამოსდის ისე, რომ თითქოს მშენებლობების წინააღმდეგია და წინა ხელისუფლების მიერ გაკეთებული არაფერი არ მოსწონს და არ უნდა დაინახოს და აღიაროს, თუ რამე კარგი იყო გაკეთებული. ხოლო ძველი ხელისუფლების თითოეულ ქმედებას ისე წარმოაჩენს, თითქოს ივანიშვილის ხელისუფლებას უნდა დანგრევა და არა რაღაც კორექტივების შეტანა. ამიტომ ეს ისეთი თემებია, რომლებიც სჭირდება სახელმწიფოებრივი, პატრიოტული მიდგომა.

— ***პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ერთ-ერთი მინისტრის მიმართ კითხვები არსებობს. რომელი უწყების სისუსტეზე ისაუბრებდით პირადად თქვენ? რაბათთან მიმართებაში საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ კულტურის სამინისტრო სუსტად წარმოჩინდა.***

— არა, მე არა მაქვს ასეთი განცდა, რომ კულტურის სამინისტრო სუსტად წარმოჩინდა.

— ***თქვენ რომელი სამინისტროს მუშაობასთან გაქვთ პრეტენზიები?***

— მე, ზოგადად, მთავრობის მიმართ მაქვს პრეტენზიები და ცალკეულ უწყებებს ვერ გამოვყოფდი. დღევანდელი მთავრობა და ხელისუფლება უფრო გართულია წინა ხელისუფლებასთან ანგარიშსწორებით, დავა-კამათით და ეს დავა არც ქვეყანას არგებს და არც ხალხს. ეს არც ამ ქვეყნის მომავალს არ სჭირდება. მიხეილ სააკაშვილმა რა დანაშაულიც ჩაიდინა და რა შეცდომებიც დაუშვა, ეს საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის. სწორედ ამიტომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სააკაშვილის ხელისუფლება წასულიყო საქართველოს ხელისუფლებიდან, მას ძალაუფლება ჩამორთმეოდა და ეს კოალიცია „ქართულ ოცნებას“ გადასცემოდა. ამიტომ, მე ვფიქრობ, ხელისუფლება ძალიან აჭიანურებს ამ პროცესს. ის ძალიან აყვა იმ დღის წესრიგს, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა სთავაზობს. მეტი ქმედითი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამ კუთხით ნაკლები აქტიურობაა. ცხადია, 6 თვე არ არის ის დრო, როდესაც შეიძლება რაღაც შედეგებზე ისაუბრო, მაგრამ ექვსი თვე არის საკმარისი იმისათვის, რომ რაღაც მიმართულებები გამოიკვეთოს და შედეგების პროგნოზირება იყოს შესაძლებელი. არა მგონია, ამ ექვსმა თვემ ისე გაიარა, რომ რაღაც განსაკუთრებულ წარმატებებზე შეიძლება იყოს საუბარი.

# მხედველობაშეზღუდულები საარჩევნო ბიულეტინის ადაპტირებული ჩარჩოთი ისარგებლებენ

მერი ნამორაძე

საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ცენტრალური საარჩევნო კომისია და კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მობილური ჯგუფების დახმარებას შესთავაზებს, რათა საარჩევნო უბნებზე მათ გამოცხადებას შეეწყოს ხელი.

გუშინ თბილისი მარიოტში კოალიციის და ცესკოს წარმომადგენლებმა საგანგებო ბრიფინგი გამართეს. პროექტის მხარდამჭერია საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი. პირველად პროექტი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მობილური ჯგუფებით საარჩევნო უბნამდე გადაადგილება“ 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს განხორციელდა. პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში კი მობილური ჯგუფების საშუალებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 98 ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა.

როგორც საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის წარმომადგენელმა ქეთევან მაისურაძემ აღნიშნა, მათ მრავალი პროექტი განახორციელეს შშმ პირთა ჩართულობის ხელშეწყობისთვის არჩევნებში. გამონაკლისი არც შუალედური არჩევნები იქნება, როცა ხელი შეეწყობა მობილური ჯგუფების შექმნას, რომელიც შშმ პირებს საარჩევნო უბნებთან მიიყვანს თავისუფალი არჩევნის გასაკეთებლად.

გუშინ პროექტი შეფასდა, როგორც ძალიან მნიშვნელოვანი და წინგადადგმული ნაბიჯი, რადგან სიახლე იქნება მხედველობაშეზღუდული მოქალაქეებისათვის, რომლებიც ისარგებლებენ ბიულეტინის ადაპტირებული ჩარჩოთი. კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ წარმომადგენელმა რატი იონათამიშვილმა აღნიშნა, რომ საინტერესო პრეცედენტი შეიქმნა იმისა, თუ როგორ უნდა თანამშრომლობდნენ სხვადასხვა ინსტიტუციები იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები დაცული იყოს ქვეყანაში:

– იდეა ასეთი იყო: ნებისმიერი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს საარჩევნო უბანზე მისვლით შეძლებოდა მიეღო არჩევნებში მონაწილეობა. ეს პრინციპი ჩვენთვის არის უალტერნატივო და წარმოადგენს ჩვენი სამოქალაქო ინტერესების ადვოკატირების პროცესს. არაერთ უნარშეზღუდულ ადამიანს მივეცით იმის საშუალება, რომ არჩევნებში მონაწილეობა საარჩევნო უბანზე მისვლით მიეღო და არა სახლში მიტანილი მოძრავი ყუთის მეშვეობით, რაც ჩვენთვის თავიდანვე მიუღებელი იყო, რადგან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსით ეს სერვისი არ უნდა ინერგებოდეს. მინდა მოვუწოდო ყველა შეზღუდელი შესაძლებლობის მქონე ადამიანს, ვისაც შუალედურ არჩვევნებში ეკუთვნის მონაწილეობის მიღება, არ დაიზარონ, დაგვიკავშირდნენ ცესკო-ს ცხელ ხაზზე ან კოალიციაში და ჩვენ უზრუნველვყოფთ იმას, რომ მათ დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში და დააფიქსირონ საკუთარი ხმა. ეს პრინციპი ხელს შეუწყობს ზოგადად თანაბარი პირობების დამკვიდრებას ქვეყანაში. 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში მობილური ჯგუფების დახმარებით 98-მა ადამიანმა ისარგებლა ამ სერვისით და ბევრმა მათგანმა მაშინ პირველად მიიღო მონაწილეობა, რადგან შინაგანი პროტესტი ჰქონდათ – არ სურდათ მოძრავი ყუთით მიეღოთ არჩევნებში მონაწილეობა. ეს იყო მათთვის პირველი არჩევნები, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ზრდასრულები იყვნენ, – აღნიშნა რატი იონათამიშვილმა.

კოალიციის წევრმა რევაზ მაისურაძემ მადლობა გადაუხადა ცესკო-ს და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდს თანადგომისათვის და აღნიშნა, რომ საკითხი ეხება უსინათლო ამომრჩეველს:



– დღევანდელი კანონმდებლობით, რომელიც არც შეცვლილა და არც იგეგმება, რომ შეიცვალოს, უსინათლო ამომრჩეველს უფლება აქვს, საარჩევნო კაბინაში შეიყოლოს მისთვის ნდობით აღჭურვილი პირი, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ კენჭისყრა ფარულია, ეს მთავარი პრინციპი დაცული მაინც არ არის. ჩვენ შევიმუშავეთ ბიულეტინის შესავსები ჩარჩო-ფორმა, რომლის მეშვეობით უსინათლო ამომრჩეველს დამოუკიდებლად, სხვისი დახმარების გარეშე შუძლია შემოხაზოს და აირჩიოს სასურველი კანდიდატი თუ პარტია. ჩარჩო ფორმა დამზადებულია პლასტმასის ფურცლით, შიგ იდება ზუსტად ის ბიულეტინი, რომელიც ყველასთვის მზადდება. ამოჭრილ წრეებში ემთხვევა ის ციფრები, სადაც კალმის წვერის შემოტარებით მოინიშნება სასურველი კანდიდატი, შემდგომ უსინათლო ამომრჩეველი თავისივე ხელით ფორმიდან გამოიღებს ბიულეტინს და მოათავსებს კონვერტში. უსინათლო ადამიანს საშუალება ექნება, ყოველგვარი დახმარების გარეშე აირჩიოს და საიდუმლოდ დატოვოს თავისი არჩევანი, – აღნიშნა მაისურაძემ.

წელს საპილოტე პროგრამა ხორციელდება და იმედოვნებენ, რომ იდეა გაამართლებს და უსინათლო ამომრჩეველი კმაყოფილი დარჩება. შესაძლოა თავდაპირველად საქართველოში მცხოვრებმა 5-6 ათასი უსინათლოდან მხოლოდ 100-მა ისარგებლოს შეთავაზებით, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს ყველაფერი საარჩევნო სისტემაში ფართოდ დაინერგება. მით უმეტეს, მარტოხელა უსინათლოებისათვის იქნება სიახლე სასურველი.

– მხოლოდ თბილისში ასეთი 100 ადამიანი ცხოვრობს, რომლებსაც არ ჰყავს ოჯახის წევრი და არჩევნებზე უწევს ხან მეზობლის, ხან უცხო ადამიანის დახმარება. პრაქტიკაში გვქონია შემთხვევები, როცა უსინათლოს ეჭვი გასჩენია, რომ მე ვუთხარი პეტრე და შემომიხაზეს პავლეო. ამიტომ ზუსტად ასეთებისთვის არის ეს გამოსავალი, – აღნიშნა მაისურაძემ.

ამ ეტაპზე ნაძალადევის რაიონში ყველა უბანზე თითო ადაპტირებული ბიულეტინი იქნება. მობილური ჯგუფებიც მხოლოდ ნაძალადევში იმუშავებენ. უბნების მოწყობა სწორედ მათი დახმარებით გაუმჯობესდება – პანდუსებით უბნები გახდება ადაპტირებული. ამაში მერიის სამსახურებიც ჩართვებიან. უბნებზე იქნება ასევე სპეცკაბინები ეტლით მოსარგებლეებისთვის. როგორც აღინიშნა, ნაძალადევში 78 ეტლით მოსარგებლე ადამიანია. მხედველობაშეზღუდულია 158. ამასთან, წინა არჩევნებზე კარდაკარ გადამოწმდნენ შშმ პირები ზუსტი რაოდენობის დასადგენად. ბაღდათსა და სამტრედიაში მათი სიმცირის გამო გადაწყდა, მობილურ ჯგუფებს მხოლოდ თბილისში ემუშავა. ბაღდათის რაიონში ეტლით მოსარგებლეა 17, სამტრედიაში – 32 პირი. რაც შეეხება მხედველობადაქვეითებულებს, ნაძალადევში არის 65, ბაღდათსა და სამტრედიაში ხუთ-ხუთი. რეგიონებში მხოლოდ ხელოვნური პანდუსებით დაეხმარებიან ასეთ პირებს. ნაძალადევში კი მობილური ჯგუფებიც მოემსახურებათ.

კოალიციის წარმომადგენელმა ირინე ინასარიძემ აღნიშნა, რომ თანამშრომლობა ცესკოსთან დაიწყო და შედგა: – პირველ ეტაპზე ჩვენ ვმუშაობთ მხოლოდ შშმ ადამიანების გააქტიურებაზე, როგორც ამომრჩევლებზე, მაგრამ ალბათ, მუშაობაა დასაწყები, რომ შშმ პირი იქნეს არჩეული. ესეც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია. როცა ვსაუბრობთ უფლებების გათანაბრებაზე, უნდა ვიზრუნოთ ყველა სფეროში უფლებების გათანაბრებაზე. მინდა მოვუწოდო ნაძალადევის რაიონში მცხოვრებ ყველა ამომრჩეველს, ნუ დარეგისტრირდებიან ბინაში ყუთების მისატანად, დარეკონ ცესკო-ს ცხელ ხაზზე, მოითხოვონ მობილური ჯგუფების მომსახურება და იყვნენ აქტიურები არჩევნების პროცესში.

# მეხანძრე-მაშველები: „ჩვენ მონები არ ვართ“

მერი ნამორაძე

წყალი მერიის გადაუდებელი სიტუაციების სააგენტოშიც აიმღვრა. ჯერ იყო და დასუფთავების სამსახურის მიმართ გაჩნდა ათასგვარი ეჭვი, რომლითაც საგამოძიებო ორგანოები დაინტერესდნენ. ახლა გადაუდებელი სიტუაციების სააგენტოს მიმართ მეხანძრე-მაშველებს გაუჩნდათ სერიოზული პრეტენზიები. გუშინ მერიის გადაუდებელი სიტუაციების სააგენტოს პროფკავშირებმა და საჯარო მოსამსახურეთა პროფკავშირმა საპროტესტო აქცია გამართა ტრანსფარანტებით: „პროფკავშირობის წევრობა დანაშაული არაა", „ჩვენ მონები არ ვართ", „ვემსახურებით ხალხს და არა ჩინოვნიკს". საპროტესტო აქციას პროფკავშირების სხვა გაერთიანებებიც შეუერთდნენ. აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ თბილისის მერიის გადაუდებელი სიტუაციების სააგენტოს მხრიდან პროფკავშირების წევრებზე ზეწოლა ხორციელდება. ამიტომ იმ პირების სამსახურიდან გათავისუფლებას ითხოვენ, რომლებიც მათი თქმით, პროფკავშირებში გაერთიანებულ მეხანძრე-მაშველებზე ზეწოლას ახორციელებენ.

პროფკავშირების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ზეწოლის ფაქტებთან დაკავშირებით საერთაშორისო პროფკავშირულმა მოძრაობამ თბილისის მერიას პასუხი მოსთხოვა. აქციის მონაწიელები ასევე მოითხოვენ ხელფასებისა და პრემიების გაცემის სისტემის გამჭვირვალობას. აქციის მონაწილეების თქმით, იმ შემთხვევაში, თუ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, კომიტეტს შექმნიან, რომელიც სამომავლო გეგმებზე იმსჯელებს.

საპასუხოდ მერიის გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოში აცხადებენ, რომ აქციის მონაწილეების პრეტენზიები უსაფუძვლოა.

ორიოდე დღის წინ მეხანძრე მაშველებმა სააგენტოს ხელმძღვანელი თემურ გიორგაძე თავისი ახლობლების დასაქმებაში, პრემიების არაგამჭვირვალედ გაცემაში და პირად აგარაკებზე სამუშაოდ გამოძახებაში დაადანაშაულეს. ადამიანთა დასაქმებაში ცუდი არაფერია, მაგრამ პრემიების მხოლოდ მათზე გამოწერა უკვე თანამშრომელთა არათანაბარ პირობებში ჩაყენების ტოლფასია. ჰოდა, მეხანძრეებიც ვეღარ ითმენენ ასეთ დამოკიდებულებას და სათანადო ორგანოებისგან ამ საკითხის გამოძიებას ითხოვენ. ითხოვენ ასევე, სამსახურიდან გათავისუფლდნენ პირები, რომლებიც პროფკავშირების წევრებზე ზეწოლას ახორციელებდნენ. საბედნიეროდ, მეხანძრეები გაფიცვაზე არ ფიქრობენ, რადგან საფრთხის წინაშე არ დადგეს საზოგადოების უსაფრთხოება.

# აკაკი ასათიანი: „მრცხვენია, რომ 9 აპრილს ცოცხალი გადავრჩი“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– ყველამ უნდა წაიკითხოს დამოუკიდებლობის აქტი, სადაც წერენ, რომ ვინაიდან რუსეთის იმპერიაში ბოლშევიკებმა აიღეს ძალაუფლება, ვინაიდან იქ აღარ არის დემოკრატია, იძულებული ვართ (ლამის წერია, დიდი ბოდიშიო) გამოვაცხადოთ დამოუკიდებლობაო. ის დამოუკიდებლობა 3 წელიწადში დავკარგეთ. დამოუკიდებლობის აღდგენა თავისთავად არ მოხდებოდა. რაც შეეხება უსისხლოდ დამოუკიდებლობის მოპოვებას – დაფიქრდით, რამხელა სისხლი აქვთ გაღებული სხვა ხალხებს თავისუფლებისთვის.

***– სისხლი რომ არ დაღვრილიყო, დამოუკიდებლობას ისედაც მოვიპოვებდითო.***

– მრცხვენია, რომ 9 აპრილს ცოცხალი გადავრჩი. ვის მოუწია და როგორ სიცოცხლის დათმობა ქვეყნისთვის, სხვაა. ეს შეიძლება ასწლეულები ათი ათასწლეულები გაგრძელებულიყო... სხვათა შორის, სწორედ 9 აპრილმა გადააწყვეტინა ზვიადს (რადიკალურ ფრთის წარმომადგენელი იყო) არჩევნების გზით წასვლა. მახსოვს, 9 აპრილის შემდეგ, ზაფხულში დავსხედით, ვსაუბრობდით ამ საკითხზე და ვთქვით, ახლა 19 კაცი დაგვეღუპა, შემდეგ შეიძლება 119 და 19 ათასი დაგვეღუპოს და რაღა დარჩება. ამიტომ უარვყავით მაშინ გავრცელებული თეორია, რომ არ შეიძლებოდა საბჭოურ უზენაეს საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა. აბა, რა უნდა გვექნა? ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვია ის, რომ შემდეგ ქვეყანა უსისხლოდ გათავისუფლდა.

***– ანუ ამ გზამ გაამართლა.***

– დიახ. ამიტომ ოპონენტების მხრიდან ასე საუბარი, შეურაცხყოფაა დაღუპული ადამიანებისა, შეურაცხყოფაა ომში დაღუპული ჩვენი ბიჭებისა. უნდა დაფიქრდეს ხოლმე ადამიანი, რას ლაპარაკობს.

***– თუმცა, 9 აპრილის დამოუკიდებლობის დღედ აღიარება არ უნდოდათ შემდეგ ხელისუფლებებს. ახლა კი, როგორც ჩანს, საქმე იქით მიდის, რომ მომავალში 9 აპრილი დამოუკიდებლობის დღედ აღიარებული იქნება.***

– ამ ხელისუფლებამ მხოლოდ ნაციონალები კი არ მოგვაშორა, ყველა მიმართულებით სწორი ნაბიჯები იდგმება.

***– ისე, ნაციონალები „გაკეთილშობილდნენ“. არასოდეს მოსულან აქ და ახლა, 9 აპრილის ღამეს მოვიდნენ გვირგვინებით. ეტყობა, ახლა ეს სჭირდებათ.***

– ახლა ივლიან. ვერ დავუშლით. ჩვენი დამოკიდებულება მათ მიმართ სხვაა, მაგრამ როგორ ეტყვი, არ გაბედო, არ მოხვიდეო. თვითონ არ უნდა მოვიდეს და თუ მოვიდა, კარგი, მოვიდეს. ახლა ხდება ქვეყნის ცხოვრების ნორმალიზაცია. აღარ არის ის ისტერიკული ტონი, გინდათ საშინაო პოლიტიკაში, გინდათ საგარეო პოლიტიკაში, გინდათ – სოციალურ პოლიტიკაში, რაც ნაციონალებს ჰქონდათ. ამას წინათ გამოდიოდა მარგველაშვილი, ფასანაურში სკოლის ბავშვებს ავტობუსი დაუნიშნა. ის ერთი ავტობუსი მირჩევნია, თუნდაც ცათამბჯენს, რაც ააშენა სააკაშვილმა. არ გირჩევნია, 10 ბავშვი რომ სკოლაში წაიყვანო? ამიტომ ვამბობ, რომ პროცესების ნორმალიზაცია ხდება-მეთქი.

***– რამდენიმე წლის წინ, საგარეჯოს ერთ-ერთ სოფელში ვიყავი, სადაც მოსახლეობამ შემომჩივლა, სოფელში სკოლა გაგვიუქმეს, მეორე სოფელში არსებული სკოლა ძალიან შორს არის და ბავშვებს სკოლაში ვეღარ ვატარებთო. ამის თაობაზე გაზეთში სტატია დავწერე. ოპტიმიზაციის მომიზეზებით ბავშვები განათლების გარეშე დატოვეს. გარკვეული პერიოდის შემდეგ მოვიკითხე და პრობლემა გამოსწორებული არ იყო. არ ვიცი, ახლა რა მდგომარეობაა, სკოლა აღადგინეს თუ არა.***

– სამი ბავშვიც რომ იყოს, სკოლა არ უნდა იყოს? ბავშვები დავტოვოთ განათლების გარეშე? ან 15 კილომეტრი იაროს ბავშვმა სკოლაში? იქნებ ის ბავშვი ვინ არის? როგორ გამოვიცნო? თუნდაც არავინ არ იყოს, ბავშვმა სკოლაში არ უნდა ისწავლოს? მე მგონი თანდათან ყველაფერი გამოსწორდება. ერთი მხრივ, ჩვენი ხალხისთვის დამახასიათებელი მაქსიმალიზმი, რადიკალიზმი გამოვლინდა. სამწუხაროდ, იმ მომენტში პოლიტიკური ელიტის კონსენსუსი ვერ მოხერხდა, საბჭოთა ნომენკლატურას, ეროვნულ მოძრაობასა და ჩვენს ინტელექტუალურ ელიტას შორის. მოდი, მაშინ ყველამ აიღოს თავისი წილი პასუხისმგებლობა.

***– გამოუცდელობის ბრალი ხომ არ იყო?***

– ეროვნულ ხასიათს აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. რაც ვართ, ეგ ვართ, ჩვენი ყველა კარგი და ცუდი თვისებით. მთავარი არის თავისუფლების ურყევი, უშრეტი ჟინი. ესაა გარანტია იმისა, რომ ეს ხალხი ნამდვილად კარგ ქვეყანას ააშენებს. ამისკენ თანდათანობით მივდივართ. გახსოვთ, სააკაშვილი რომ იძახოდა, მე ზვიადზე მეტი ხმა ავიღეო. ვინმე იტყვის ამას სადმე? დაანებე, რა, თავი. შენ რამე სხვა გააკეთე, შე კაი კაცო.

***– თუმცა, ზვიად გამსახურდია რომ გადმოასვენეს და აქ, პარლამენტის წინ სააკაშვილი გამოვიდა, ხალხმა უპასუხა, ვინ რამდენი ხმა აიღო.***

– დიახ, გამოჩნდა – გარდაცვლილი კაცის გადმოსვენებაზე რამდენი ხალხი იყო მოსული. ამან, სხვათა შორის, ჩვენი ოკეანისგაღმელი მეგობარიც შეაშინა, რომ ქართული ნაციონალიზმი ჯერ კიდევ არსებობსო.

## „ცენტრ პოინტის“ წარმომადგენელთა თაღლითობის ფაქტზე პროკურატურაში გამოძიება მიმდინარეობს

საქართველოს მთავარ პროკურატურაში სამშენებლო კომპანია „ცენტრ პოინტის“ წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი თაღლითობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო. ამის შესახებ მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი. „მთავარ პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება სამშენებლო კომპანია „ცენტრ პოინტი“-ს წარმომადგენლების მიერ განხორციელებულ თაღლითობის ფაქტზე. აღნიშნულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე 2012 წლის 22 ოქტომბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში აღიძრა. დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით. საქმე მთავარ პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს 2012 წლის დეკემბერში გადაეცა. იმის დასადგენად, რომ „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ სახელით განხორციელებული სხვადასხვა პროექტების მიმდინარეობისას, მასში შემავალი კომპანიების ხელმძღვანელი პირების მხრიდან ადგილი ჰქონდა თუ არა მენაშენეთა კუთვნილი თანხების არამიზნობრივად გამოყენებას და მითვისება-გაფლანგვის ფაქტებს, კომპანია „დექსუსი“-დან ამოღებულ იქნა „ცენტრ პოინტ ჯგუფში“ შემავალი ბინათმშენებლობის ამხანაგობების, შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებებისსაფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი სრული დოკუმენტაცია. 2013 წლის 25 იანვარს კი, ამოღებულ დოკუმენტებზე დაინიშნა რევიზია. ამჟამად დასრულებულია ერთ-ერთი კომპანიის, ს.ს. „ევრაზიის საინვესტიციო სააგენტო“-ს შემოწმება. მითითებულმა „სააგენტო“-მ, ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ის დაკვეთით, განახორციელა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის ფინანსირება გოთუას ქუჩაზე (სააკაძის მოედანთან, ქ.თბილისის მერიის მიმდებარედ). რევიზიის მიმდინარეობის პროცესში შემმოწმებლების მიერ გამოვლენილ იქნა დაახლოებით 20-მდე ფაქტი, აღნიშნული კომპანიის წარმომადგენელთა მხრიდან მენაშენეთა კუთვნილი თანხების არამიზნობრივ გამოყენებასთან დაკავშირებით“ ნათქვამია განცხადებაში. პროკურატურის ინფორმაციის თანახმადვე, მიმდინარეობს რევიზიის პროცესში გამოვლენილი ფაქტების შესწავლა, რის შემდეგაც ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები გაგრძელდება. დაიკითხებიან ის პირები რომლებსაც არამიზნობრივად გატანილი აქვთ დიდი ოდენობით თანხები.ამ ეტაპისათვის მოწმის სახით დაკითხულია 24 პირი, მათ შორის დაზარალებული მენაშენეები და ს.ს. „ევრაზიის საინვესტიციო სააგენტოს“ ხელმძღვანელი პირები. საგამოძიებო მოქმედებებისჩატარების შემდეგ რევიზიის პროცესში გამოვლენილ ფაქტებს სამართლებრივი შეფასება მიეცემა.

პარალელურად, სარევიზიო ჯგუფის მხრიდან, გრძელდება „ცენტრ პოინტ ჯგუფში“ შემავალი სხვა კომპანიების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შემოწმება.

**ნიუსპრესი**

# რა სარგებელს მოგვიტანს საქართველო-ჩეხეთის ბიზნესფორუმი

ნათია ხურცილავა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის განცხადებით, საქართველო-ჩეხეთის მიერ გამართული ბიზნესფორუმი მნიშვნელოვანი ეტაპია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავების საქმეში.

გუშინ სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ საქართველო-ჩეხეთის ბიზნესფორუმი გაიმართა. სწორედ ბიზნესფორუმის დასრულების შემდეგ განაცხადა ფანჯიკიძემ, რომ ამ მიმართულებით ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები გაღრმავ-



დება. ბიზნესფორუმს საგარეო საქმეთა მინისტრი თავის ჩეხ კოლეგასთან კარლ შვარცენბერგთან ერთად დაესწრო.

– საქართველო-ჩეხეთის ბიზნესფორუმი ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავების საქმეში. ძალიან სასიამოვნოა, რომ კარლ შვარცენბერგის თანხლებით 28 ბიზნესმენი ჩამოვიდა, ეს აჩვენებს, რომ მათი ინტერესი საქართველოს ეკონომიკის მიმართ დიდია. რამდენიმე ჩეხური კომპანია ძალიან დიდი წარმატებით მოღვაწეობს საქართველოს ბაზარზე და ახალი ბიზნესმენების ჩამოსვლა არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან მათ აქვთ კონკრეტული ინტერესი საქართველოში ინვესტიციების განხორციელების. აქედან გამომდინარე, გარდა პოლიტიკური კონსულტაციებისა, ამ ვიზიტის თანმხლები მოვლენა იყო სწორედ ბიზნესმენების აქტიურობა და ჩვენ ამას მხოლოდ მივესალმებით, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

ასევე გუშინ გახდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციიდან ცნობილი, რომ საქართველოს ახალი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე გაემგზავრა.

როგორც არჩილ გეგეშიძემ გამგზავრებამდე ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველოს არჩეული კურსი არ შეიცვლება და შეერთებული შტატების პარტნიორობა კვლავ პრიორიტეტული იქნება.

შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩის თქმით, საქართველოსა და ამერიკის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში მუშაობა გაგრძელდება და ქვეყნებს შორის ურთიერთობები უფრო გააქტიურდება.

– შეერთებული შტატები ჩვენთვის სასიცოცხლო ყველა მიმართულებით გვეხმარება. ის დრო დადგა, რომ ქარტიის ფარგლებში მიმდინარე დიალოგს ხორცი შევასხათ და მაქსიმალურად გარდავქმნათ ეს დიალოგი კონკრეტულ პროექტებად. ცვლილებები შეიძლება მოხდეს საელჩოს მუშაობაში, მაგრამ ზოგადი მიმართულებები დარჩება იგივე, – განაცხადა არჩილ გეგეშიძემ.

როგორც ცნობილია, 15 აპრილს არჩილ გეგეშიძე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რწმუნებათა სიგელს გადასცემს, რის შემდეგაც საქმიანობას ოფიციალურად შეუდგება.

# ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებები სერიოზულად ირღვევა

ნათია ხურცილავა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წარმომადგენლებს, საქართველოს საკითხზე თანამომხსენებლებს შეხვდა.

როგორც შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს დავით ზალკალიანმა განუცხადა, შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა და პოზიტიურად შეფასდა ის საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო.

მისივე თქმით, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წევრები დაინტერესებულნი იყვნენ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებით.

შეხვედრაზე ისაუბრეს ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ ვითარებაზე, განსაკუთრებით ადამიანის უფლების დარღვევის კონტექსტში. შეხვედრაზე საუბარი შეეხო იმ ვალდებულებებსაც, რომლებიც საქართველოს ევროსაბჭოსთან მიმართებაში აქვს.

ზალკალიანის განცხადებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებები სერიოზულად ირღვევა, საუბარია თავისუფალი გადაადგილების უფლებაზე.

შეხვედრას ევროსაბჭოს მხრიდან ესწრებოდნენ საქართველოზე თანამომხსენებელი დანიიდან მაიკლ ასტრუპ იენსენი, საქართველოზე თანამომხსენებელი ლატვიიდან ბორის სილევიჩი, მონიტორინგის კომიტეტის მდივანი ბას კლეინი და საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელი კატერინა ბოლონეზე.

# არმაზ ახვლედიანი ნაციონალებს კანონის დაცვისკენ მოუწოდებს

ნათია ხურცილავა

პარტია „ქართული ოცნების“ ახალ სახეს – არმაზ ახვლედიანს რამდენიმე ხნის წინ გავრცელებული ხმებით, პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატად წარადგენს. თუმცა აღნიშნულს უარყოფს ახვლედიანი და როგორც თავად ამბობს, ამის შესახებ მას არაფერი სმენია.

სანამ არმაზ ახვლედიანი „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი გახდებოდა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ის ჯერ პარტიის სახე გახდებოდა და შემდეგ საპრეზიდენტო კანდიდატი. კულუარული ხმების პირველი ნაწილი გამართლდა, მეორე ნაწილზე საუბარი, როგორც თავად არმაზ ახვლედიანი აცხადებს, ჯერ ნაადრევია.

ბიძინა ივანიშვილს ოქტომბრამდე ჯერ კიდევ დარჩა დრო, რომ საპრეზიდენტო კანდიდატი წარუდგინოს ამომრჩეველს. თუმცა, ეს არც ისე მარტივი საკითხია, რადგან, როგორც ამბობენ, აღნიშნულ საკითხზე კოალიციის შიგნით არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ამის მაგალითად ცოტა ხნის წინ ბიძინა ივანიშვილსა და ირაკლი ალასანიას შორის განვითარებული მოვლენებიც საკმარისია.

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივნის არმაზ ახვლედიანის განცხადებით, კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატის საკითხი ამ წუთას დღის წესრიგში აქტუალურად არ დგას.

დღეს არმაზ ახვლედიანს რა მთავარი ამოცანა აქვს? არის თუ არა ეს მხოლოდ ახლად დაფუძნებული პარტიის გამართვა, წმინდა პარტიული რუტინა თუ მზადება უფრო დიდი გეგმებისთვის?



მიუხედავად გავრცელებული ხმებისა, ახვლედიანმა „პირველი რადიოს“ პრეს-კლუბში სტუმრობისას პრესას განუცხადა, რომ შესაძლო საპრეზიდენტო კანდიდატად მისი დასახელების შესახებ არაფერი სმენია.

– ასეთი საუბარი არ შემდგარა და არაფერი გამიგია. მიმაჩნია, რომ ამ თემებზე საუბარი ახლა ცოტა სასაცილოა, რადგან ჩემი მხრიდან დღეს გაცილებით მეტი რამ არის გასაკეთებელი. მიდგომა მაქვს ასეთი, რომ სამსახური, თანამდებობა შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, თუ ის სიკეთისთვის გინდა, მაგრამ თუ სხვა ზრახვა გაქვს, მაშინ ყველაფერი ერთად მტკვარს წაუღია. პარტიაში საქმის კეთება იმდენად საპასუხისმგებლოა, რომ მე სხვა არაფერზე ფიქრი არ შემიძლია, – განაცხადა ახვლედიანმა.

როგორც ახვლედიანი ჟურნალისტებთან საუბრისას აცხადებს, საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად კოალიციას დრო ჯერ კიდევ აქვს.

– როგორც ვიცი, ეს საკითხი დღის წესრიგში ამ წუთას ასე აქტუალურად არ დგას. ბევრი ღირსეული ადამიანი არსებობს და დიდი სიხარულია, როდესაც ღირსეულთა შორის საუკეთესოს შეარჩევ, – აღნიშნავს ახვლედიანი.

რაც შეეხება მისი პარტიის აღმასრულებელ მდივნად დანიშვნის საკითხს, ახვლედიანის თქმით, შეთავაზება მან პირადად პრემიერ-მინისტრისგან მიიღო.

არმაზ ახვლედიანმა ჟურნალისტების კითხვებსაც უპასუხა. ერთ-ერთი კითხვა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაანონსებულ აქციას შეეხებოდა. როგორც ახვლედიანი აცხადებს, 19 აპრილი „ნაციონალური მოძრაობისთვის“ სერიოზული გამოცდა იქნება.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენელი ყოფილ ხელისუფლებას კანონის ფარგლებში მოქმედებისკენ მოუწოდებს.

– მე „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან სიურპრიზებს სიფრთხილით ვუყურებ, რადგან სიურპრიზი შეიძლება იყოს როგორც ცუდი, ასევე კარგი. არ მინდა, ვიფიქრო, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მესვეურები ისევ ჩვეული გზით ივლიან და მოსახლეობას ისევ ნალმებს მოუმზადებენ. რა თქმა უნდა, კანონით შეკრება დასაშვებია. მინდა, მოვუწოდო მათ, რომ კანონს არ გაცდნენ, რადგან ეს ძალიან სახიფათო იქნება. გარდა იმისა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ შეიძლება ამით პოლიტიკურად მართლაც წერტილი დაესვას, თუმცა ვფიქრობ, რომ ეს წერტილი მას ოქტომბერში დაესვა. 19 აპრილი „ნაციონალური მოძრაობისთვის“ სერიოზული გამოცდა იქნება, რომ ყველაფერი კანონიერების ფარგლებში იყოს და წესიერად, რადგან უწესობას საზოგადოება არავის აპატიებს, – განაცხადა ახვლედიანმა.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ახვლედიანმა ჟურნალისტებთან ისაუბრა, თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებს შეეხება. კონკრეტულად კი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, რომლებიც თურქეთის ტერიტორიაზეა.

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივანი დარწმუნებულია, რომ საქართველო-თურქეთს შორის სწორი კომუნიკაციის პირობებში, ბევრი მწვავე საკითხის მოგვარებაა შესაძლებელი.

– საქართველოს დღეს თურქეთთან ისეთი კარგი, მეზობლური ურთიერთობა აქვს, რომ დარწმუნებული ვარ, სწორი კომუნიკაციის პირობებში ამ და სხვა მწვავე თემების მოგვარება შესაძლებელია. ამ თემით სპეკულირებას ნურავინ შეეცდება. ეს არა უხერხული მდგომარეობა, არამედ შეცდომაა. მთავრობები შეძლებენ ამ საქმის ისე დასრულებას, რომ საბოლოო ჯამში, არც ერთი მხარის ინტერესი არ დაზიანდება და ჩვენი ქვეყნის ინტერესი სრულიად გათვალისწინებული იქნება, – განაცხადა ახვლედიანმა.

რაც შეეხება ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საკითხს, ახვლედიანის თქმით, ეს მგრძნობიარე თემა ისე უნდა გადაწყდეს, რომ საზოგადოებისა და ბათუმელების ინტერესი იქნას გათვალისწინებული.

– აჭარაში სხვადასხვა კონფესიებს შორის საუცხოო ურთიერთობებია და ვფიქრობ, რომ ეს საკითხი ამ კონტექსტში და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ გადაწყდება, – განაცხადა პრესკონფერენციაზე არმაზ ახვლედიანმა.

# ნიკა რურუა: „რუსეთი თავის პოზიციას არ შეცვლის“

შორენა გონგლაძე

„რაბათის ციხესთან დაკავშირებით ატეხილი მითქმა-მოთქმა არის პოლიტიზებული თემა, კამათის საბაბად გამოყენებული და კუნთების თამაშთან გვაქვს საქმე.“ – ეს განცხადება კულტურისა და ძეგლთა დაცვის ყოფილმა მინისტრმა ნიკა რურუამ გუშინ პრაიმტაიმის პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. ექს-მინისტრი მიიჩნევს, რომ რაბათის ციხის რესტავრაცია-რეაბილიტაცია საკმაოდ პროფესიონალურ დონეზეა ჩატარებული და მხოლოდ მცირედი შესწორებები შეიძლება შევიდეს.

„ეს არის მართლაც კარგად ჩატარებული რესტავრაცია-რეაბილიტაცია, ვისაც ნანახი აქვს ეს კომპლექსი მანამდე და რესტავრაციის შემდეგ ცვლილება არის რადიკალურად უკეთესობისკენ. ეს იყო მიტოვებული ძეგლი, საბჭოთა პერიოდის მინაშენებით და ფუნქციადაკარგული ბევრი შენობით. რესტავრაცია გაკეთდა რამდენიმე ჯგუფის მიერ. კულტურის სამინისტრო ამ საქმეში მაშინ პირადად არ იყო ჩართული, თუმცა კურირებდა თურქეთის მხარესთან ერთად. ტყუილია, თითქოს თურქული მხარე ძეგლის რეაბილიტაციის პროცესში ჩართული არ იყო. მე გავაგზავნე თურქეთის ელჩი იმ ადამიანთან, ვინც ორგანიზატორობდა ამ პროცესს, ეს იყო ვანო მერაბიშვილი. ასე რომ, ელჩი იყო ინფორმირებული ყველაფერ იმ პროცესების შესახებ, რომლებიც რაბათზე ხდებოდა. მან სპეციალისტებიც კი ჩამოიყვანა და მიმდინარე სამუშაოები გააცნო. მე არა მგონია, რომ ის მითქმა-მოთქმა და ხელების გადაწევა, რომელიც წილად ხვდა ამ კომპლექსს, იყოს საჭირო, კომპლექსი არის რესტრავრირებული და თუ იქ რაიმე პატარა ჩასწორებაა გასაკეთებელი, ამის გამოსწორებაც შეიძლება, მაგრამ არავინ არ ფიქრობს, ალბათ, იქ რაიმე დაენგრია ან გადაეკეთებინა, რადგანაც ეს არის დასრულებული კომპლექსი. ამიტომ, მე ვთვლი, რომ ეს არიოს პოლიტიზებული თემა, კამათის საბაბად გამოყენებული და კუნთების თამაშთან გვაქვს საქმე. – აცხადებს რურუა.

რაც შეეხება აზიზიეს მეჩეთთან დაკავშირებულ საკითხს, რურუას განცხადებით, თურქული მხარე მაშინვე აყენებდა საკითხს აზიზიეს მეჩეთის აღდგენასთან დაკავშირებით.



– მოლაპარაკებებში თურქული მხარე საკმაოდ მეთოდურად ითხოვდა განადგურებული აზიზიეს მეჩეთის აღდგენას იმ ადგილას, სადაც ჩვენ მივუთითებდით, რადგან, ორიგინალური ადგილი დაკავებულია, იქ სხვა შენობა დგას და ამაზე ჩვენ განვაცხადეთ თანხმობა, მაგრამ ესეც იქცა პოლიტიკური დავის საგნად და ამანაც შეაფერხა ქართული ძეგლების რესტავრაცია. მინდა გითხრათ, რომ ეს მეჩეთი არ ეკუთვნის არანაირ დამპყრობელს და ვინც ისტორია არ იცის, ამ ფაქტს ამახინჯებს, აზიზიე იყო პროდასავლური სულთანი, რომელიც ემსხვერპლა კარის ინტრიგას, ის მოკლულ იქნა თავისი პროდასავლურობის გამო, ის საქართველოს მტერი არ იყო. ჩვენ ვგეგმავდით მეჩეთის გახსნას, ოღონდ, ფუნქციის გარეშე, ეს იქნებოდა კულტურული ძეგლი, ახლანდელ მოლაპარაკებებში კი უკვე ფიგურირებს ძეგლი, რომელიც იფუნქციონირებს საკულტო დატვირთვით, თუმცა, ამაში მე ვერ ვხედავ პრობლემას, მე არ ვფიქრობ, რომ მეჩეთი საქართველოს ინტერესებს დააზარალებს. – აცხადებს რურუა..

რურუა ასევე ცოტა ხნის წინ, იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის მიერ აგვისტოს ომის საკითხის გადახედვის თემასთან დაკავშირებულ განცხადებასაც გამოეხმაურა. მისი თქმით, აგვისტოს იმის საკითხის გადახედვა, ხელისუფლების მხრიდან იქნება დიდი უგუნურება. რურუას თქმით. თუ ვინმეს ჰგონია. რომ რუსეთი შეცვლის თავის პოზიციას, ძალიან ცდება.

– იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებას აგვისტოს ომის მოვლენებთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრი დაეთანხმა. თუ ვინმეს ჰგონია, რომ რუსეთი შეცვლის თავის პოზიციებს და ის ამ ომის მოვლენების გამოძიების შემდეგ გავა ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ძალიან ცდება. რუსეთს არაერთი ტერიტორია ჰქონდა ოკუპირებული, მაგრამ ისტორია აჩვენებს, რომ საბოლოოდ წლების მერე ეს ოკუპაცია სრულდებოდა. ეს ოკუპაცია აუცილებლად დასრულდება, თუმცა ჩვენ მანამდე გვმართებს გონივრული პოლიტიკა“, – აცხადებს რურუა.

# ნიკო გომელაურის საღამო ქველმოქმედებისთვის გაიმართება

ეკა ირემაშვილი

**11 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ცნობილი მსახიობისა და პოეტის ნიკო გომელაურის ხსოვნისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო საღამო გაიმართება. „ოცნებები მცნებებივით ირღვევიან" – ასე უწოდეს მას ორგანიზატორებმა. ხსოვნის საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ნიკო გომელაურის ოჯახის წევრები და მეგობრები – მეუღლე ნინა ჩოდრიშვილი, მხატვარი გუგა კოტეტიშვილი, გიორგი გურაბანიძე, გიორგი გურული, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე და გიო ნაკაშიძე. საქველმოქმედო საღამოზე ნიკო გომელაურის მეგობრები და სტუდენტები მის ლექსებს წაიკითხავენ. საქველმოქმედო ხსოვნის საღამოზე შემოსული თანხა მთლიანად მსახიობ გიორგი ყორღანაშვილის დახმარების ფონდში გადაირიცხება.**



12 აპრილს სამეფო უბნის თეატრში პოეზიის საღამო გაიმართება, რომელსაც მისმა ორგანიზატორებმა „პოეტების სამეფო" უწოდეს. ღონისძიება ახალგაზრდა მსახიობის გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად ჩატარდება.

მსახიობი უკვე გაემგზავრა ისრაელში სამკურნალოდ, თუმცა მკურნალობისთვის საჭირო თანხა სრულად ჯერ კიდევ არ არის შეგროვილი. მთლიანობაში მსახიობს მკურნალობისა და ურთულესი ოპერაციისთვის – ძვლის ტვინის გადასანერგად ესაჭიროება 400.000 დოლარი, გიორგის მეგობრებმა კი სხვადასხვა აქციებით 321.000 დოლარის მოგროვება შეძლეს. მათი თქმით, ისინი სხვადასხვა აქციებს მომავალშიც გააგრძელებენ, რომ მეგობრის სიცოცხლე გადაარჩინონ და მისი სრულად გამოჯანმრთელება შეძლონ. აქციას შეუერთდნენ საქართველოს თეატრები, მსახიობები, სპორტსმენები, მხატვრები, რიგითი ადამიანები, რომ 24 წლის ახალგაზრდას გადარჩენაში თავისი მოკრძალებული წვლილი შეეტანათ. გიორგის გადასარჩენად ჩატარდა სხვადასხვა აქციები საქართველოს ფარგლებს გარეთაც, ოსლოში მცხოვრებმა ქართველმა ახალგაზრდებმა ქუჩის კულტურული აქციები გამართეს, სადაც გიორგის დასახმარებლად თანხის შეგროვება შეძლეს. გიორგი ყორღანაშვილის მეგობრების თქმით, ისინი მომავალშიც აპირებენ სხვადასხვა ღონისძიებების გამართვას, რომ მეგობრის გადასარჩენად დარჩენილი 88.000 დოლარი შეაგროვონ.

გიორგი ყორღანაშვილი მარჯანიშვილისა და სამეფო უბნის თეატრების მსახიობია. მისი ოპერაციისთვის ფულის შეგროვება 3 მარტს დაიწყო, რასაც წინ უსწრებდა საგანგებო პრესკონფერენცია მარჯანიშვილის თეატრში. კულტურის სამინისტრომ მსახიობის მეგობრებს ყველანაირი თანადგომა აღუთქვა, თბილისის მერიამ მის ანგარიშზე 50.000 დოლარი ჩარიცხა, ჯანდაცვის სამინისტრომ კი 10.000 ლარი. ქველმოქმედი ადამიანების შეწევნით, გიორგიმ საქართველოს დატოვება და მკურნალობის დაწყება შეძლო. შედეგებს კი მისი უახლოესი მეგობრები სოციალურ ქსელში „ფეისბუქი" ეტაპობრივად გამოაქვეყნებენ, სადაც სპეციალური გვერდია გახსნილი გიორგი ყორღანაშვილის დახმარების მსურველთათვის.

სამეფო უბნის თეატრში პოეზიის საღამოს ჩატარებამდე, მისმა ორგანიზატორებმა საგანგებო პრესკონფერენციაც მოიწვიეს, რომელსაც კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილიც ესწრებოდა. „ქართველ სტუდენტთა მსოფლიო გაერთიანების" წარმომადგენლებმა ანრი გუგეშაშვილმა და ნიკა მეშველიანმა კი იმ დეტალებზე ისაუბრეს, რომელიც 12 აპრილის საღამოსთვის არის დაგეგმილი. პოეზიის საღამოზე ასევე მიწვეული არიან ახალგაზრდა პოეტი ბიჭი ივანიშვილი და მუსიკოსი დავით ევგენიძე.

– ეს საქველმოქმედო პოეზიის საღამო 12 აპრილს სამეფო უბნის თეატრში „ქართველ სტუდენტთა მსოფლიო გაერთიანების" ინიციატივით ჩატარდება. ამ ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ სამი თაობის ქართველი პოეტები ჯანსუღ ჩარკვიანი, ვახტანგ ჯავახაძე, ბესიკ ხარანაული, ლია სტურუა, ეთერ თათარაიძე, დავით ევგენიძე, ბიჭი ივანიშვილი, გიორგი არაბული, სანდრო ლორთქიფანიძე, ბაქი ლორთქიფანიძე, ოთო გურგენიშვილი და ზაზა ნოზაძე, – განაცხადა პრესკონფერენციაზე „ქართველ სტუდენტთა მსოფლიო გაერთიანების" წარმომადგენელმა ნიკა მეშველიანმა.

როგორც პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი, ღონისძიება მიზნად ისახავს ახალი და ძველი თაობის შემოქმედების წარმოჩენასა და შედევრების გახსენებას. საღამო ხელს შეუწყობს თაობათა შორის ურთიერთობის გაღრმავებას.

– ამ საღამოს მუსიკალურად გააფორმებენ დავით ევგენიძე და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის სტუდენტები. ბილეთები კი გაიყიდება სამეფო უბნის თეატრის სალაროებში და მათი ფასი 5 ლარია. ამ პროექტის მხარდამჭერები არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და სამეფო უბნის თეატრი. ჩვენ თავიდანვე ვთქვით, რომ ახალგაზრდა მსახიობს მაქსიმალურად დავუდგებოდით გვერდში და სამინისტრო ყველაფერს გააკეთებდა იმისთვის, რომ გიორგი ყორღანაშვილის სიცოცხლეს საფრთხე არ დამუქრებოდა, – აღნიშნა კულტურის მინისტრის მოადგილემ.

როგორც პრესკონფერენციაზე პოეზიის საღამოს ორგანიზატორებმა განაცხადეს, შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხება გიორგი ყორღანაშვილის ანგარიშზე.


## განცხადება

ქ.კასპში, ზემო ჭალის მიმდებარედ შპს „ჯეოცემენტ გრუპი"-ს დაგეგმილი აქვს სამშენებლო მასალების საწარმოს მოწყობა. საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცნობა შესაძლებელია გორში, ბარნოვის ქ.№9ა.

მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში. 2013 წლის 5 ივნისს, დღის 12 საათზე კასპში, 9 აპრილის ქ.№3 შედგება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.


# ოქროს ფრთა საუკეთესოებს დააჯილდოვებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მჯერა, რომ ასეც იქნება. მინდა იცოდეს საქართველომ, რომ რეგიონებშიც არიან საკმაოდ პროფესიონალი ჟურნალისტები, უნიჭიერესი ჟურნალისტები არიან, რომელთა მიმართაც შეგვიძლია გამოვაცხადოთ ნდობა, რომ ქართული საზოგადოების დახვეწაში უდიდეს როლს ასრულებენ. მიგვაჩნია, რომ სწორად მოვიქეცით. ჩვენ რომ წელიწადში ერთხელ ვაჯილდოვებთ ჟურნალისტებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფონდი გაჩერებულია, ფონდი სულ მუშაობს. ვაკვირდებით ჟურნალისტების ნაშრომებს, რამდენად ეფექტურია მათი ნამუშევრები. ეს გვეხმარება იმაში, რომ მათგან ობიექტურად შევარჩიოთ საუკეთესოები. უპრიანი იქნებოდა და ვიმედოვნებ, რომ რამდენიმე წელიწადში ფონდს შეეძლება გამორჩეული ჟურნალისტების მატერიალური მხარდაჭერაც. იყო აზრთა სხვადასხვაობა, ყველაზე მეტი წინააღმდეგობა გოჩა კაპანაძემ გამიწია. წინასწარ ვულოცავ ყველა გამარჯვებულ ჟურნალისტს ამ ღონისძიებაში მონაწილეობას და თავის საქმიანობაში წარმატებებს ვუსურვებ. 15 აპრილს გამოჩნდება, ვინ აღმოჩნდა წარდგენილ ჟურნალისტთა ყულაბაში.

***თეონა დოლენჯაშვილი, მწერალი, კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი:***

– კულტურის სამინისტრო არის ამ პროექტის ერთ-ერთი მხარდამჭერი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია ჩვენთვის მსგავსი ღონისძიებები და ამიტომაც ჩავთვალეთ საჭიროდ, ამ პროექტისთვის გაგვეწია როგორც ფინანსური, ასევე მორალური მხარდაჭერა. ყველა ჟურნალისტს ვუსურვებ წარმატებას. ნებისმიერი ადამიანისთვის წახალისება და მისი საქმიანობის დაფასება დიდი სტიმულია.

***ნოდარ ტაბიძე, ჟიურის წევრი:***

– ჩვენ ნამდვილად დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ ქალბატონ ეთერ ჯიშკარიანს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამ მნიშვნელოვან დაჯილდოებას. იდეები ბევრს გვაწუხებს, მაგრამ ამ იდეების განხორციელება ყოველთვის ჭირს. ქალბატონმა ეთერმა კი ზუსტად 11 წლის წინათ ეს იდეა განახორციელა. „ოქროს ფრთასთან" დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს. პირველ და მეორე დაჯილდოებაზე გახლდით ჟიურის თავმჯდომარე და მახსოვს, როგორი სიფრთხილით ვარჩევდით თითოეულ კანდიდატს. მინდა წლევანდელ დაჯილდოებულებს მივულოცო და ვუსურვო მათ, რომ ახალი და ღირსეული სიტყვა ეთქვათ ქართულ ჟურნალისტიკაში.

***მარიკა დარჩია:***

– ჩემთვის დიდი პატივია ასეთ კონკურსში მონაწილეობა და რთულიც არის. უფრო მეტი იყო თავიდან კანდიდატები, იყო გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა და ამიტომაც არის ჟიური. მთლიანობაში ჩვენ შევარჩიეთ 20 ადამიანი. უპრიანია ეს 20 კანდიდატი, როცა ამ ჯილდოთი ეუბნები, რომ დაგინახე, შეგაფასე და ამ ეტაპზე მინდა, რომ დაგაჯილდოვო. ასეთ დიდ არმიაში, როგორიც ჟურნალისტიკაშია, 20-იც კი ცოტაა, თუმცა საბოლოოდ შევჯერდით, რომ ეს რიცხვი საკმარისია. ჩვენ გვინდა, რომ მათდამი სწორება იყოს კიდევ უფრო მაღალი თამასა. წელს უმრავლესობა რეგიონალური პრესაა, თუმცა სხვა წარმომადგენლებიც არიან. ყველას ვულოცავ წინასწარ და მომავალ წელს უკვე პრესის ჟურნალისტების დაჯილდოებას დაველოდებით. ეს იმის ნიშანია, რომ პრესაში მომუშავე ჟურნალისტებიც იყვნენ მომართულები და მზად, რომ გახდნენ მნიშვნელოვანი პრემიის ლაურეატები.

***ნიცა ჩოლოყაშვილი, კომპანია „ბორჯომის" წარმომადგენელი:***

– ჩვენ პირველი შემოთავაზებისთანავე ჩავერთეთ ამ საქმეში. „ოქროს ფრთა" უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა. ჟურნალისტის შრომა არის ძალიან დიდი და ამიტომაც მნიშვნელოვანია, ეს გახდეს კიდევ უფრო მეტად თვალსაჩინო. ვფიქრობ, რომ ყველა სიამოვნებით ჩაერთვება მსგავს ღონისძიებაში, რადგანაც ჩვენი კომპანიების წარმატება გარკვეულწილად მათ საქმიანობაზეც არის დამოკიდებული. ჩვენი კომპანია ყოველთვის მზად არის ასეთ საინტერესო პროექტებს მხარში დაუდგეს.

***თაკო როდონაია, „ჯეოსელის" წარმომადგენელი:***

– მთელი „ჯეოსელის" სახელით ყველა ნომინანტს წარმატებას ვუსურვებ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ასეთ სასიამოვნო გარემოში ჩატარდება უკვე მე-11 დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი. „ოქროს ფრთის" ორგანიზატორები ყოველთვის ცდილობენ წლიდან წლამდე სიახლეები შესთავაზონ ჟურნალისტიკის სფეროში მომუშავე ადამიანებს. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ადამიანები თითოეული ჩვენგანისთვის ძალიან საჭირონი არიან და ჩვენც ჩვენის მხრივ ვალდებულები ვართ მათი შრომა სათანადოდ დავაფასოთ.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერტიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაბრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# სასწაული დორტმუნდში

**დორტმუნდი – მალაგა 3:2**

0:1 ხოაკინი (25), 1:1 ლევანდოვსკი (40), 1:2 ელიზეუ (82), 2:2 როისი (90), 3:2 სანტანა (90)

**დორტმუნდი:** ვაიდენფელერი, პიშჩეკი, სუბოტიჩი, სანტანა, შმელცერი, გიუნდოგანი (ჰუმელსი 86), ბენდერი (შაჰინი 72), კუბა (შიბერი 72), გიოტცე, როისი, ლევანდოვსკი

**მალაგა:** კაბალიერო, გამესი, დემიკელისი, სანჩესი, ანტუნეში, ხოაკინი (პორტილიო სოლერი 87), ტულალანი, კამაჩო, დუდა (ელიზეუ 74), ისკო, ბაპტიშტა (სანტა კრუსი 83)

ეს მატჩი აუცილებლად შევა ჩემპიონთა ლიგის ისტორიის საუკეთესო მატჩების სიაში. ამ მატჩის მსგავსი 1999 წელს მოხდა ფინალში, როდესაც „მანჩესტერმა" 2 ბურთი მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში გაუტანა „ბაიერნს" და თასი მოიგო. ამჯერადაც იგივე განმეორდა, თუმცა – მეოთხედფინალში და ამჯერად გამარჯვებული გერმანული გუნდი გახდა.ს

„დორტმუნდსაც" და „მალაგასაც" დიდი მადლობა ასეთი წარმოდგენისთვის. ამ მატჩის დავიწყება მართლაც რთული იქნება.

პირველ ტაიმში გუნდებმა გოლები გაცვალეს. 25-ე წუთზე, მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან, ხოაკინმა ისკოსთან ბურთი გაითამაშა, ცრუ მოძრაობით შმელცერი უსაქმოდ დატოვა და კარში ზუსტად დაარტყა – 0:1.

„დორტმუნდს" გასათანაბრებლად 15 წუთი დასჭირდა. როისმა ქუსლით დიდებული პასი მისცა ლევანდოვსკის, რომელმაც მეკარე იოლად მოატყუა და გატანა არ გასჭირვებია – 1:1. თუმცა, „დორტმუნდს" ეს არ ჰყოფნიდა. გერმანელებს მოგება სჭირდებოდათ.

მე-2 ტაიმში მასპინძლები ინიციატივას კი ფლობდნენ, მაგრამ ხიფათი ორივე კართან იქმნებოდა. რამდენიმე სეივის გაკეთება ვაიდენფელერსაც მოუწია, ხოლო კაბალიერო საოცრებებს ჩადიოდა. თუმცა, უმთავრესი მოვლენები ,მატჩის ბოლოს განვითარდა.

82-ე წუთზე ისკოს ძალიან კარგი გადაცემის შემდეგ, მეკარესთან პირისპირ გასული ბაპტიშტა ურტყამდა, მაგრამ გზად ელიზეუ შეეხო, და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა და „მალაგამ" 1/2-ფინალისკენ ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგა.

თითქმის ყველაფერი მორჩა! თუმცა, ფეხბურთი იმით არის საინტერესო, რომ ნაადრევად ვერაფერს ირწმუნებ.

მსაჯის მიერ კომპენსირებული დროის პირველივე წუთზე, „მალაგას" მცველების შეცდომის შემდეგ სანტანა კარგ პოზიციაში დარჩა, მაგრამ მას გატანა არ დაანებეს, თუმცა იქვე გაჩნდა როისი და ანგარიში გაათანაბრა.

დრო ცოტა იყო, მაგრამ „დორტმუნდს" ისიც ეყო. მათი ბოლო შეტევა სანტანამ გოლით დაასრულა, მაგრამ იცის უნდა აღვნიშნოთ, რომ გამარჯვების გოლის ავტორი თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ასეა, თუ ისე, ნახევარფინალში „დორტმუნდი" გავიდა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – მარკო როისი

დორტმუნდელთა ნახევარმცველი, როგორც ყოველთვის, შეუდარებელი იყო. მთელი მატჩის განმავლობაში აქტიური იყო, რამდენჯერმე დაემუქრა კაბალიეროს კარს, არიგებდა ბასრ პასებს. მოკლედ, აკეთებდა ყველაფერს, რომ მისი გუნდი ნახევარფინალში გასულიყო. და ეს გამოუვიდა კიდეც – გაიტანა გოლი და გააკეთა საგოლე პასი.

**მატჩის შემდეგ**

***იურგენ კლოპი:***

– სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, რა მოხდა იმ წუთებში ჩემს გულში. შეიძლება, ექიმთან მისვლა და მკურნალობაც დამჭირდეს. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს უკვე მოვიგეთ ოქროს მედლები.

***მანუელ პელეგრინი:***

– გუნდი, რომელსაც წაგება მისჯილი აქვს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში ვერაფრით გავა. მთავარ მსაჯს გერმანული კლუბის ორი ფეხბურთელი უნდა გაეძევებინა. ამასთან, თამაშგარედან გასული გოლითაც დაგვსაჯა. როდესაც ასეთ უსამართლობებს აწყდები, წარმატებაზე ფიქრიც კი ძნელია.

**გალათასარაი – რეალი 3:2**

0:1 რონალდუ (7), 1:1 ებუე (57), 2:1 სნეიდერი (71), 3:1 დროგბა (72), 3:2 რონალდუ (90)

**გალათასარაი:** მუსლერა, ებუე (ელმანდერი 80), ზანი, კაია, რიერა, ალთინთოფი (ამრაბატი 46), მელუ, ინანი, სნეიდერი, ბულუთი (სარიოღლუ 63), დროგბა

**რეალი:** ლოპესი, ესიენი (არბელოა 31), პეპე, ვარანი, კოენტრაუ, ხედირა, მოდრიჩი, დი მარია, იოზილი (ალბიოლი 81), რონალდუ, იგუაინი (ბენზემა 73)

ხშირად ხდება, როდესაც ორმატჩიან დაპირისპირებაში წაგებული გუნდი უფრო ხარობს, ვიდრე – მოგებული. და ეს მატჩიც ასეთი იყო. „რეალს" პირველი შეხვედრა 3:0 ჰქონდა მოგებული და არაფერი სანერვიული, მაგრამ ოდნავმა მოდუნებამ მეტოქეს შანსი გაუჩინა. ერთია, მადრიდელებმა მალევე გამოასწორეს მდგომარეობა.

სტუმართა უპირატესობა მატჩის დასაწყისშივე გაიზარდა, როდესაც კრიშტიანუ რონალდუმ ანგარიში გახსნა. ეს ნიშნავდა, რომ შემდეგ ეტაპზე გასასვლელად, „გალათასარაის" 5 გოლის გატანა სჭირდებოდა.

სტუმართა უპირატესობით დაიწყო მე-2 ტაიმიც, მაგრამ 55-ე წუთზე ანგარიში მაინც გათანაბრდა. საჯარიმოს წინა ხაზიდან, ებუემ ბურთი შორეულ ზედა კუთხეში გაისროლა – 1:1.

71-ე და 72-ე წუთებზე, მოურინიოს გუნდს გოლები იმ ფეხბურთელებმა გაუტანეს, რომლებსაც პორტუგალიელი სპეციალისტი ადრე წვრთნიდა. თავი ჯერ უესლი სნეიდერმა გამოიჩინა, შემდეგ დიდიე დროგბამ. ახლა უკვე შემდეგ ეტაპზე გასასვლელად, თურქებს 2 გოლი სჭირდებოდათ, მაგრამ...

მსაჯის მიერ მე-2 კომპენსირებულ წუთზე რონალდუმ დუბლი გააფორმა და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა. ამასთან, „რეალი" ამ დროს მოედანზე კაცნაკლული იყო.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კრიშტიანუ რონალდუ

პორტუგალიელი ფეხბურთელი მშვენივრად უმკლავდებოდა მასპინძელთა დაცვას და მუდმივად ტერორის ქვეშ ჰყავდა. გაიტანა ორი ბურთი და ორივე მნიშვნელოვანი.

# ქართველმა ქალებმა კანადა ლიტვაში დატოვეს

**საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ნაკრებმა მსოფლიო 2015-ის შესარჩევი ეტაპი მესამე ადგილით დაასრულა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ჩემპიონატზე სათამაშოდ კანადაში ვერ გაემგზავრებიან. ნაკრებმა ბოლო შეხვედრა ფარერების კუნძულების ქალთა ნაკრებთან 1:2 დათმო.**

საბოლოო ჯამში ქართველმა ქალებმა მხოლოდ სამი ქულის მოპოვება მოახერხეს, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად.

საწყის ტურში ჩვენებმა მასპინძელ ლიტვას 4:3 მოუგეს. არადა, თავიდა 2 ბურთის ბალტიისპირელები დაწინაურდნენ, თუმცა ჩვენებმა მატჩის შემობრუნება მაინც მოახერხეს.

მომდევნო მეტოქე უკვე მაკედონიელები იყვნენ. ყოფილ იუგოსლაველებთან ჩვენებმა 2 უპასუხო ბურთი გაუშვეს და შემდეგ ეტაპზე გასვლის ბედი ფარერებთან მატჩს მიანდეს.

კუნძულელებთან კი, თეიმურაზ სვანაძის შეგირდებს პირველი გოლი 38-ე წუთზე ჰეიდი სევდალმა გაუტანა. ჭიჭინაძემ წონასწორობა 47-ე წუთზე აღადგინა, თუმცა ანგარიშის შენარჩუნება ქართველმა ქალებმა ვეღარ შეძლეს. სევდალმა 73-ე წუთზე კიდევ ერთხელ გაუტანა ჭკუასელს, მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა და ჩვენების ნაცვლად მსოფლიო ჩემპიონატზე ფარერების კუნძულები იასპარეზებს.

# ბექა ბურჯანაძე: კონტაქტური თამაში მიყვარს

19 წლის ბექა ბურჯანაძე ქართული კალათბურთის ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ კალათბურთელად ითვლება. ეს გასაკვირიც არ არის – ბექა უკვე მე-4 წელია ესპანეთში თამაშობს და იქაური „კახასოლის" წევრია. მართალია, მას სათამაშოდ დიდ დრო არ ეძლევა, მაგრამ ეს უფრო ასაკის ბრალია. როგორც ესპანელი სპეციალისტები საუბრობენ, მალე მისი სათამაშო პრაქტიკა გაიზრდება.

სავარაუდოდ, ბექას სლოვენიაში გასამართ ევრობასკეტზეც ვიხილავთ, თუმცა მანამდე მისი ინტერვიუ, რომელიც სევილიურ მედიაში გამოქვეყნდა.

***– როგორ მოხვდი „კახასოლში"?***

– მაშინ 15 წლის ვიყავი. საქართველოს ნაკრებთან ერთად 16-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში ვთამაშობდი. ჩემი თამაში არაერთმა სკაუტმა ნახა, მათ შორის, ესპანელებიც იყვნენ, შემდეგ ჩემს აგენტს დაუკავშირდნენ და სინჯებზე შეუთანხმდნენ. სევილიაში 4 დღის განმავლობაში ვიყავი, თამაშებიც ჩავატარე. შემდეგ შინ დავბრუნდი და მალე კონტრაქტის გასაფორმებლადაც დამირეკეს.

***– შენს ქვეყანაში სპორტი ადამიანს უკეთესი ცხოვრებისთვის ეხმარება?***

– ნამდვილად. სპორტი ახალგაზრდობას ქუჩას აცილებს. მეგობრები მყავდა, რომელთაც სხვა გზა აირჩიეს და საქმე კარგად ნამდვილად არ წასვლიათ.

***– საქართველოში ბავშვობა მძიმე გქონდა?***

– ალბათ, ისეთი, როგორც სხვაგანაა. მთავარია, მშობლები მიხსნიდნენ, რა არის კარგი და რა ცუდი. მათ სწორ გზაზე დამაყენეს.

***–და შენი გზა კალათბურთი იყო?***

– დიახ. თამაში ექვსი წლისამ დავიწყე და თხუთმეტ წლამდე „მართვეში" ვირიცხებოდი. საქართველოში ფეხბურთი და კალათბურთი ეროვნულ სახეობებად ითვლება, თუმცა, პირობები ძალიან ცუდი იყო. ხშირად ისეთ დარბაზებში ვთამაშობდით, სადაც პარკეტი იყო აყრილი და ბადეები დახეული. ინფრასტრუქტურის განვითარებაში ფულის ჩადება არავის უნდოდა. თითქოს, ყველაფერი გასულ საუკუნეში ჩარჩა.

***– შენს ქვეყანაში ვარსკლავი სპორტსმენები ვინ არიან?***

– კალათბურთში, ეს, უდავოდ ზაზა ფაჩულიაა, ჩემი ბიძა. იგი ნბა-ში, „ატლანტა ჰოუქსში" თამაშობს, ხშირად ვეკონტაქტები და ძალიან მეხმარება ხოლმე. გასულ ზაფხულს ერთად ვივარჯიშეთ და არაერთი საჭირო მოძრაობა მასწავლა. ფეხბურთელთაგან კახა კალაძე გამოირჩეოდა.

***– 15 წლის ასაკში ფიქრობდი, რომ ასეთ დონეზე თამაში მოგიწევდა?***

– ბავშობაში მხოლოდ კალათბურთით ვცხოვრობდი და მიზნებიც შესაბამისი მქონდა. თუმცა, მალევე მსოფლიოში სიძლიერით მეორე ლიგაში თამაში ნამდვილად ვერ წარმომედგინა. ასეთი წინსვლაში დედაჩემი ძალიან დამეხმარა.

***– როგორ?***

– ის ყოველთვის ძლიერი პიროვნება იყო და ახლაც ასეა. დედაჩემმა ძმა და ქმარი ნაადრევად დაკარგა, თუმცა ჩემთვის, ერთადერთი ვაჟისთვის ხელი არ შეუშლია, რომ ათასობით კილომეტრის დაშორებით წავსულიყავი. ჩემი წინსვლისა და ბედნიერებისთვის მან ეს ნაბიჯიც გადადგა.

***– დედაზე დიდი სიყვარულით საუბრობ.***

– ის ჩემთვის ყველაფერია.

***–საკუთარი თამაშის სტილს როგორ დაახასიათებდი?***

– იმ პერიოდში დავიბადე, როდესაც ჩვენთან ქუჩებში სროლა ისმოდა. ამდენად, მებრძოლი ხასიათი მაქვს და გუნდისთვის ვთამაშობ. მოხსენების მოგროვება მიყვარს და თანაგუნდელებისთვის ბლოკსაც კარგად ვაყენებ.

***– რომელ პოზიციაზე თამაში გირჩევნია?***

– კონტაქტური თამაში მიყვარს. 3 და 4 ნომერზე გარჯაც შემიძლია, თუმცა, ფარქვეშ ყოფნა უფრო მიყვარს, რადგანაც ბავშვობაში აქცენტს სწორედ ამაზე ვაკეთებდი.



***– მიმდინარე სეზონში საკმაო სათამაშო წუთებს გითმობენ.***

– ჩვენი მწვრთნელი აიტო რენესესი ახალგაზრდებთან მართლაც კარგად მუშაობს. თავიდანვე მენდობოდა და ეს, სეზონის დასაწყისში მაკვირვებდა კიდეც. ამიტომაც, ყოველ წუთს ისე ვუყურებ, როგორ საკუთარ შანსს. ვარჯიშებზეც ბოლომდე ვიხარჯები და ცდილობ, უკეთესი კალათბურთელი გავხდე.

***– „უნიკახასთან" მნიშვნელოვანი სამქულიანი ჩააგდე.***

– ეს ჩემი კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მომენტი იყო. პასის გადაწოდება მინდოდა, მაგრამ დავინახე, რომ თავისუფალი არავინ იყო. ამ დროს ჩემს წინ ენდი პანკო გახლდათ. ალბათ იფიქრა, ახალწვეულია და სროლას ვერ გავბედავდი, მაგრამ ვისროლე და როდესაც ბურთი კალათში ჩაეშვა, შვებით ამოვისუნთქე.

***– სადებიუტო მატჩი გახსოვს?***

– ცხადია. ეს ბილბაოში იყო. მოედანზე სულ 34 წამი დავყავი და თანაც ისე, რომ ბურთს საერთოდ არ შევხებივარ. ჯერ ჩვენი შეტევა იყო და მართალია, თავისუფალი ვიყავი, პასი არ მომსვლია, შემდეგ კი, მეტოქის შეტევა მოვიგერიეთ. მართალია, არაფერი გამიკეთებია, მაგრამ მატჩის დასრულების მერე გული მაინც გახეთქვაზე მქონდა.

***– აიტო რენესესსა და „კახასოლის" ყოფილ მწვრთნელ ჟოან პლაზას შორის რა სხვაობაა?***

– ორივე ჩინებული მწვრთნელია, თუმცა, ვფიქრობ, აიტოსგან მეტის სწავლა შეიძლება. მისთვის მთავარი გამარჯვებაა და ამისთვის, ყველაფერი უნდა იქნას გაღებული. ამასთან, იგი მოთამაშეების დონის ასამაღლებლად ყველაფერს აკეთებს. გადაწყვეტილებების მიღებაში გვეხმარება და შეცდომებზეც მიგვითითებს.

***– ტრევიზოში გამართული ევროთასის „ოთხთა ფინალიდან" რა გახსოვს?***

– წარუშლელი შთაბეჭდილებებია. ნახევარფინალში მასპინძელ „ბენეტონს" ვძლიეთ და მაშინ ბოლო შვიდ წამს ვითამაშე, ფინალში კი რუსულ „უნიქსთან" წავაგეთ. მახსოვს, ბიჭებმა მარცხი როგორ მძიმედ გადაიტანეს. გასახდელში ყველა დაღონებული იყო, კირკსეი საერთოდაც ტიროდა. მათ გასამხნევებლად ყველაფერი გავაკეთე.

***– ევროთასზე ამ სეზონშიც ითამაშე, თუმცა, სანკტ-პეტერბურგში გამართული მატჩი გამოტოვე, რადგანაც ვიზა არ მოგცეს.***

– ჩემს ქვეყანას და რუსეთს შორის ცუდი ურთიერთობაა. ჩვენს შორის ორი ტერიტორიისთვის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთისთვის ომი იყო. ვწუხვარ, რომ ეს სიტუაცია სპორტსაც გადმოწვდა. თუმცა, მოგვიანებით, კრასნოდარში გავემგზავრეთ და მაშინ პრობლემა არ ყოფილა. ამან ცოტა გამაკვირვა.

***– აღნიშნული კონფლიქტის დაწყება როგორ გახსოვთ?***

– ბულგარეთში საერთაშორისო ტურნირზე ვიყავით, როდესაც გავიგეთ, რომ ჩვენს ტერიტორიაზე ტანკები გამოჩნდნენ. ძალიან ავნერვიულდით და სახლში რეკვა დავიწყეთ. საქართველოში ჩასვლა ძალიან გართულებული იყო. მახსოვს, ავტობუსით წამოვედით და რადგანაც შემოვლითი გზებით ვმგზავრობდით, თბილისამდე მისვლას ორი დღე მოვუნდით.

***–ისევ კალათბურთს დავუბრუნდეთ. როგორც ცნობილია, საქართველოს ნაკრებში ტაირონ ელისსაც უთამაშია.***

– დიახ და ჩვენთან ის ძალიან უყვართ, რადგანაც ნაკრებს ა დივიზიონში გადასვლაში დაეხმარა. მახსოვს, როდესაც ბ დივიზიონში ბოლო საშინაო თამაში მოვიგეთ, გუნდი მოედნის შუაგულში იყო შეკრებილი, 5.000 გულშემატკივარი კი ელისის გვარს გაჰყვიროდა და ამით, გაწეული შრომისთვის მადლობას უხდიდა. მაშინ მეც დარბაზში ვიყავი, თუმცა, არავინ მიცნობდა. როდესაც ელისმა გაიგო, რომ „კახასოლში" ქართველი კალათბურთელი ჩაირიცხა, მაქსიმალურ დახმარებას მიწევდა. ნამდვილად სირცხვილია, რომ მას გასული სეზონის შემდეგ კლუბის დატოვება მოუხდა... სხვათა შორის, მე სწორედ ტაირონის 7-ნომრიანი მაისური ავიღე. ბავშვობიდან ამ ნომრით ვთამაშობდი და ჩემთვის იღბლიან რიცხვად ვთვლი.

***– 2013 წლის ევროპის ჩემპიონატზე ეროვნულ ნაკრებში თამაშის იმედი თუ გაქვს?***

– ამის უდიდესი სურვილი გამაჩნია. ევრობასკეტზე ესპანეთის წინააღმდეგ თამაში დაუვიწყარი იქნება. ამასთან, ჩვენი ერთ-ერთი მეტოქე ჩეხეთის ნაკრებიცაა, სადაც ჩემი თანაგუნდელები ბალვინი და სატორანსკიც ირიცხებიან.

***– სევილიის შესახებ რას იტყვი?***

– სევილია ჩემი მეორე სახლია. ეს ქალაქიც მიყვარს, ხალხიც და საკვებიც...

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| დორტმუნდი-მალაგა | 3:2 |
| გალათასარაი-რეალი | 3:2 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| კარდიფი-ბარნსლი | 1:1 |
| მილუოლი-უენსდი | 1:2 |

**დანია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| სონდერიისკე-ესბიერგი | 3:1 |

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ინდიანა-კლივლენდი | 99:94 |
| ბრუკლინი-ფილადელფია | 104:83 |
| მაიამი-მილუოკი | 94:83 |
| ნიუ იორკი-ვაშინგტონი | 120:99 |
| მემფისი-შარლოტი | 94:75 |
| ჰიუსტონი-ფინიქსი | 101:98 |
| ჩიკაგო-ტორონტო | 98:101 |
| იუტა-ოკლაჰომა | 80:90 |
| ლეიკერსი-ნიუ ორლეანი | 104:96 |
| გოლდენ სტეიტი-მინესოტა | 105:89 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| კაროლინა-პიტსბურგი | 3:5 |
| კოლამბუსი-სან ხოსე | 4:0 |
| აილენდერსი-ფილადელფია | 4:1 |
| მონრეალი-ვაშინგტონი | 2:3 |
| ტამპა ბეი-ოტავა | 3:2 |
| ვინიპეგი-ბუფალო | 4:1 |
| მინესოტა-ჩიკაგო | 0:1 |
| ნეშვილი-სენტ ლუისი | 0:1 |
| დალასი-ლოს ანჯელესი | 5:1 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ექვთიმე თაყაიშვილს კონსერვატორიაში გაიხსენებენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მარებოდა. ექვთიმეს რედაქტორობით „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ გამოსცა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა პირველი სრული კრებული. ექვთიმე ღვთისკაცი გიმნაზიაში ლათინურის გარდა უკვე ისტორიასა და გეოგრაფიასაც ასწავლიდა. დირექტორის ადგილი გათავისუფლდა და ექვთიმეს გიმნაზიის ხელმძღანელობა შესთავაზეს. იგი 10 წლის განმავლობაში განაგებდა თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიას, ყოველი საზაფხულო არდადეგების დროს კი აწარმოებდა არქეოლოგიურ გამოკვლევებს. მან სამგზის იმოგზაურა საქართველოს სამხრეთ ნაწილში (თურქეთის საქართველო). პირველ ექსპედიციაში მასთან ერთად მონაწილეობდნენ არქიტექტორი სიმონ კლდიაშვილი და ფოტოგრაფი ალექსანდრე მამუჩაიშვილი. ახალციხისა და ახალქალაქის ზოგ ძეგლთან ერთად მაშინ მათ გამოიკვლიეს არტაანის ოლქის ძეგლები და ოლთისის ოლქის ნაწილი. მეორე ექსპედიციის დროს მან ინახულა და აღწერა თორთუმის ხეობის ზემო წელში მდებარე ექექის ტაძარი, ამ ტაძრის სამხრეთით მდებარე სოფელ სოხროთის ტაძარი, ოთხთა ეკლესია, პარხალი და სხვა მნიშვნელოვანი ძეგლები. ამ არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიცა პარიზში. ექვთიმე თაყაიშვილი იყო არქეოლოგიური ექსპედიციის ორგანიზატორი ლეჩხუმსა და სვანეთში, მონაწილეობდა ვანის აკროპოლისის გათხრებში. მის ნაშრომს „მასალები კავკასიის არქეოლოგიისათვის“ მაღალი შეფასება მისცა რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიურმა საზოგადოებამ. იგი აღნიშნული საზოგადოების დიდი ოქროს მედლით დაჯილდოვდა. მის მიერ დაარსებულმა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ საქართველოს სამეცნიეროკულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. მისი მიზანი საქართველოს ისტორიის, მისი ხალხის ყოფაცხოვრების, ხელოვნების ძეგლების შესწავლა იყო. იგი იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში მისი ღვაწლი განუზომელია. იგი ივანე ჯავახიშვილთან ერთად იმთავითვე იყო არჩეული „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების“ კომისიაში. ის უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი პროფესორი იყო. თბილისის უნივერსიტეტის საბჭომ ექვთიმე თაყაიშვილს მიანიჭა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. იგი სამ სალექციო კურსს უძღვებოდა.

ბოლშევიკური რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად საქართველო დატოვა. ის დასახლდა თავდაპირველად პარიზში ლევილში და დროგამოშვებით სწავლობდა ოქსფორდში. საფრანგეთში თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. განაგრძობდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას. იგი ჯერ პარიზის ნუმიზმატთა საზოგადოების, ხოლო შემდეგ საფრანგეთის სააზიო საზოგადოების ნამდვილ წევრად აირჩიეს. იგი იყო მის მიერვე დაარსებული „ქართული კულტურული და საარქეოლოგიო მასალების გამოცემის ფონდის“ თავმჯდომარე და ასევე სამეცნიერო პერიოდული გამოცემის „გეორგიკა“ სარედაქციო საბჭოს წევრი. გახიზნულმა მთავრობამ თან წაიღო საქართველოს განძის ისტორიულად განსაკუთრებით ღირებული ნაწილი. მასში შედიოდა თბილისის მუზეუმების ძვირფასეულობა: ოქრო-ვერცხლის ხატები და თვალ-მარგალიტით მოოჭვილი სხვა საგანძური, ძვირფასი ხელნაწერები, ზუგდიდის დადიანისეული სასახლის განძეულობა, გელათისა და მარტვილის სამონასტრო ქონება, თბილისის სასახლის განძეულობა, ბორჯომის სასახლის ქონება. მიუხედავად იმისა, რომ განძის მესაკუთრედ, ოფიციალურად, საქართველოს მთავრობა ითვლებოდა, ფაქტობრივად, განძს ექვთიმე თაყაიშვილი მეურვეობდა. განძი, სულ 39 ყუთი, ექვთიმეს მარსელის ბანკში ჰქონდა შენახული. განძის ცალკეული ექსპონატების ყიდვა სურდათ ევროპის სხვადასხვა მუზეუმებს, მაგრამ იგი ამაზე არ თანხმდებოდა. მან სასამართლოში მოიგო საქმე გრაფ ალექსანდრე ობოლენსკის ქვრივის, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ნიკოლოზ დადიანის ასულის, სალომე ობოლენსკაიას წინააღმდეგ. ამ უკანასკნელს პრეტენზია ჰქონდა ზუგდიდის მუზეუმიდან გატანილ განძეულობაზე. საბოლოოდ დე გოლმა განკარგულება გასცა საქართველოს საუნჯის დაბრუნების თაობაზე.

1945 წლის 11 აპრილს ექვთიმე თაყაიშვილი თბილისში დაბრუნდა. ოთხ დღეში იგი დაინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორად. მას მიანიჭეს დამსახურებული პროფესორის წოდება, აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. იგი საჯაროდ წარდგა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა წინაშე მოხსენებით „ევროპაში ნახული ქართული ძეგლები და იქვე შეკრებილი ცნობები ქართული ძეგლების შესახებ“. ექვთიმე თაყაიშვილს ჰყავდა მეუღლე, ივანე პოლტორაცკის ასული ნინო და ქალიშვილი. რეჟისორმა რეზო თაბუკაშვილმა მის შესახებ დოკუმენტური ფილმი გადაიღო. დიდი მეცნიერი უკიდურეს გაჭირვებაში გარდაიცვალა. მის დაკრძალვას ვაკის სასაფლაოზე მხოლოდ ორმოცამდე ადამიანი დაესწრო. ამჟამად იგი გადასვენებულია საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში. 2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ ის წმინდანად შერაცხა და წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი უწოდა. ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმია განთავსებული მის უკანასკნელ საცხოვრებელ ადგილას, თბილისში, ვაშლოვანის ქუჩის 7 ნომერში. მისი მუზეუმია აშენებული თაყაიშვილის მშობლიურ სოფელ ლიხაურში, სადაც ყოველი წლის 16 იანვარს „ექვთიმეობას“ აღნიშნავენ. ექვთიმე თაყაიშვილის სახელს ატარებს გურიანთა-ვაშნარის მუზეუმ-ნაკრძალი გურიაში. 2013 წელი იუნესკოს ეგიდით ექვთიმე თაყაიშვილის საიუბილეო წლად გამოცხადდა.

11 აპრილს კონსერვატორიის დიდ დარბაზში მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სახალხო არტისტები, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტები, სიონის საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდი, ფოლკლორული ანსამბლი „ბასიანი“, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფოლკლორული ანსამბლი, თბილისის კონსერვატორიის სტუდენტები, კონცერტმაისტერები და ნიკო სულხანიშვილის სახელობის ეროვნული საგუნდო კაპელა. ექვთიმე თაყაიშვილის ხსოვნის საღამოს კი გივი მუნჯიშვილი გაუძღვება.

**ეკა ირემაშვილი**

# პოეზია ფრანგული შანსონის თანხლებით თბილისშია

**ეკა ირემაშვილი**

**პოეზია ფრანგული შანსონის თანხლებით უკვე თბილისშია. ფრანკოფონიის თვე 2013-სა და პოეტების გაზაფხულის ფარგლებში საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი ატარებს ფრანგული პოეზიის მოყვარული ფრანკოფონებისთვის სპეციალურ საღამოს.**

11 აპრილს ფრანგულ რესტორან „ტარტინ მეიდანში“ გაიმართება ქალაქ რენის თეატრალური დასის „ქარის სახელოსნოების“ პოეტური წარმოდგენა „აპეროეზია“. სამ განყოფილებიან საღამოზე წარმოდგენილი იქნება წაკითხული, ნამღერი და ზეპირად თქმული პოეზია ფრანგული შანსონის თანხლებით. მასში მონაწილეობას მიიღებენ მომღერალი სელინ ლე კორი, მსახიობები კრისტოფ ეკობიშონი, რეჟის გიგანი და ალენ ელუ. აღნიშნულ საღამოზე დასწრება მხოლოდ მოსაწვევებით არის შესაძლებელი.

— წარმოდგენა უფრო მეტად პოეტურ ინტერვენციას ჰგავს ვიდრე სანახაობას, აპეროეზია რამდენიმე 25 წუთიანი ნაწილისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთისგან აპერიტივითა და აფორიზმების დარიგებით არის გამოყოფილი. მსახიობები მსმენელებს შორის მოძრაობენ, ტექსტები დარბაზში მოგზაურობენ, რიკოშეტით გადაეცემიან ერთი ადამიანიდან მეორეს და ექოს იწვევენ. ვოკალური მასალა მდიდრდება სხვა ხმოვანი ფაქტურით — მიკროფონით, ეფექტებით. თითოეული ნაწილი გარკვეულ თემას ეთმობა და მოიცავს „კლასიკური“ პოეზიიდან — „ჩამოხრჩობილთა ბალადა“, „მთვრალი გემი“, ექსპერიმენტულ პოეზიამდე ჟანრებს, როგორც XX საუკუნის, ასევე XVI საუკუნის პოემებს. დღესდღეობით 8 სხვადასხვა ნაწილი არსებობს. 3 თავდაპირველი ნაწილი შექმნილია სიყვარულის, ცხოვრებისა და პოეზიის თემაზე, ერთი ახალი სიტყვებისა და ენის თემაზე, აპეროეზიის ახალი ვერსია კი მთლიანად მწერალ ჟორჟ პეროს ეთმობა. „აპე როეზიამ“ 2007 წლის პოეტების გაზაფხულის ლეიბლი მოიპოვა, — განაცხადა ფრანგული ინსტიტუტის წარმომადგენელმა თამარ კვესელავამ.




„ქარის სახელოსნოები“ 12 და 15 აპრილს თბილისის ექვს სკოლასა და უნივერსიტეტში ახალგაზრდა ფრანკოფონებს ახლებურად წარუდგენს ფრანგულ პოეზიას. ინტერაქტიული შეხვედრების დროს ქართველ ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ ჩაერთონ პერფორმანსში და გააცოცხლონ ფრანგული პოეზიის შედევრები.

# მიხეილ სააკაშვილი თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებას მიესალმება

თურქეთში ვიზიტის ფარგლებში გამართული შეხვედრებისას, საქართველოს პრეზიდენტმა სხვადასხვა ფესტივალებზე, არალეგიტიმური დროშით აფხაზური კოლექტივების მონაწილეობის საკითხზე ისაუბრა.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ის ემხრობა მსგავს ღონისძიებებში აფხაზების მონაწილეობას და მზად არის ხელიც შეუწყოს მათ გადაადგილებას, თუ ეს ყველა კანონიერი წესის დაცვით მოხდება.

პრეზიდენტი მიესალმა თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებას, რომელმაც გუშინ აფხაზური კოლექტივი საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეთა სიიდან იმის გამო ამოიღო, რომ ის არასწორი ფორმით იყო მიწვეული.

სააკაშვილი მიიჩნევს, რომ აფხაზეთში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა კულტურულ თუ სხვა ღონისძიებებში აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა, თუმცა მხოლოდ საქართველოს რეგიონის მკვიდრთა სახელით.

**ნიუსპრესი**

# დღეს წვიმაა მოსალოდნელი

დღეს საქართველოს უმეტეს რეგიონში წვიმა და ტემპერატურის კლებაა მოსალოდნელი.

როგორც გარემოს ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, დასავლეთ საქართველოს უმეტეს რეგიონში იწვიმებს. დაუბერავს დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი/წამში. ჰაერის ტემპერატურა ბარში 10-15 გრადუსი დაფიქსირდება, მთაში 7-12, მაღალ მთაში კი 3-8.

წვიმა და ქარია მოსალოდნელი აღმოსვლეთ საქართველოს უმეტეს რეგიონში. მაღალ მთაში მოსალოდნელია თოვლი. ქარის სიჩქარე 10-15 მეტრ/წამი იქნება. დაბლობში ჰაერი 10-15 გრადუსამდე გათბება, მთაში 8-13 გრადუსამდე, მაღალ მთაში კი 2-7 გრადუსამდე.

დღეს ხანმოკლე წვიმაა ნავარაუდევი თბილისშიც. აქაც დაუბერავს ჩრდილო-დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი წამში. ჰაერის ტემპერატურა კი 15 გრადუსამდე დაიკლებს.

**მედიანიუსი**

# „იშხნის ტაძრის საკითხი პრობლემურია იმითაც, რომ ის სხვა ქვეყანაში მდებარეობს“

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის მერაბ ბოჭოიძის განცხადებით, იშხნის ტაძრის საკითხი პრობლემურია იმითაც, რომ ის სხვა ქვეყანაში მდებარეობს და შესაბამისი სარესტავრაციო სამუშაოები ვერ უტარდება. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მერაბ ბოჭოიძემ განაცხადა, გაწმენდითი სამუშაოების დროს გამოჩნდა დეკორატიულ-ფერადოვანი იატაკი, რომელსაც ზედ დაყრილი მიწა იცავდა, როგორც კი დეკორატიული იატაკი გამოჩნდა, ეს სამუშაოები უნდა შეჩერებულიყო.

„რთული თემაა, ვინაიდან საქმე ეხება სხვა ქვეყანაში არსებულ ტაძარს. იშხნის გაწმენდითი სამუშაოები ზედამხედველობის გარეშე ისეთი რთული პრობლემების წინაშე დადგომას იწვევს, რაც უკვე ვნახეთ. დანაკარგები დიდია. გაწმენდითი სამუშაოების დროს გამოჩნდა დეკორატიულ-ფერადოვანი იატაკი, რომელსაც ზედ დაყრილი მიწა იცავდა. ახლა კი ეს იატაკი მექანიკური და ატმოსფერული დაზიანების წინაშე დადგა, რაც ამ დასუფთავებითი სამუშაოებითაა გამოწვეული. იქაც ალბათ, დასუფთავების სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ დაიწყო. ტენდერში კი ის იმარჯვებს, ვინც იაფად შეასრულებს ამ სამუშაოებს და ის არქიტექტორის ან ზედამხედველობის მეთვალყურეობით უნდა მომხდარიყო. როგორც კი დეკორატიული იატაკი გამოჩნდა, ეს სამუშაოები უნდა შეჩერებულიყო“, — განაცხადა მერაბ ბოჭოიძემ.

**მედიანიუსი**

# პოლიციის თანამშრომლები აქციაში „გაიღე სისხლი — გადაარჩინე სიცოცხლე“ მიიღებენ მონაწილეობას

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები ჩაერთვნენ საქველმოქმედო აქციაში „გაიღე სისხლი — გადაარჩინე სიცოცხლე“. დღეს, 11 აპრილს იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოსთან არსებულ „სისხლის ბანკში“ შსს-ს საპატრულო პოლიციის თანამშრომლები და დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ლევან მაჭავარიანი სისხლს ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის ჩააბარებენ.

**მედიანიუსი**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მშრომელი, დიდად ნატანჯი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 2. რბილი, ფერადი სახატავი ფანქრები; 3. სირიის პრეზიდენტი; 4. ქართლში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 5. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 10. ბულვარული ჟურნალ-გაზეთების სახელწოდება აშშ-ში; 11. ხელოვნური წყალსაცავი აზერბაიჯანში; 12. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 15. ამერიკული ატომური წყალქვეშა ნავების სერია; 16. ტყეში ბინადარი ეკლიანი ცხოველი; 17. თეატრის ძველი ქართული სახელწოდება; 20. მელაზე, კურდღელზე სანადიროდ გამოყენებული ბრიტანული ძაღლის ჯიში.

**თარაზულად:** 6. მდინარე მადრიდში; 7. თაფლისაგან მომზადებული მათრობელა სითხე; 8. ქართველი სპორტული ტელეჟურნალისტი მამაკაცი; 9. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 13. საჭმელი სოკო; 14. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა; 18. ნიანგის ერთ-ერთი სახეობა; 19. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 21. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უნიკალური ქართული ჯიში; 22. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 23. ოსური ხაჭაპური; 24. კოსოვოს დედაქალაქი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბაიკალი; 2. დეპარდიე; 3. „მზეჭაბუკი“; 4. მორთული; 5. ნიშნიანიძე; 10. „ბინგი“; 11. კარტინგი; 12. არომატი; 13. დიონისე; 16. ბუკმეკერი; 17. ქობულეთი; 19. ალბანეთი; 21. ვიშნუ; 23. რეალი.

**თარაზულად:** 6. „მარსელიოზა“; 7. „როლექსი“; 8. ჯაფარა; 9. პაპირუსი; 14. პირსინგი; 15. შიომღვიმე; 18. დოგმა; 20. მოლუსკი; 22. ვერმუტი; 24. „სინხუა“; 25. ფეთხაინი; 26. გელათი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ფუკუსიმა; 2. გულჩორა; 3. უნაბი; 4. გუდვილი; 5. „სონღული“; 10. მოძახილი; 11. „ხარისთვალა“; 12. ესკადრა; 15. კლეპსიდრა; 16. სპაზმი; 17. „ქორწილი“; 20. სარკე.

**თარაზულად:** 6. წულრულაშენი; 7. ჰუდზონი; 8. ბაიდენი; 9. მიზერი; 13. კინო; 14. ნამუსი; 18. მარმელადი; 19. ფობია; 21. მარსი; 22. შირაქი; 23. სირაჯხანა; 24. სპარსეთი.

# მიწისძვრამ ირანში 12 სოფელი გაანადგურა, დაღუპულია 37 ადამიანი

ირანის სამხრეთ დასავლეთში ბუშერის ატომურ ელექტროსადგურთან ახლოს 6,3 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა. ბეთის გაერთიანებულ საემიროებში, ყატარში, ბაჰრეინსა და საუდის არაბეთშიც იგრძნობოდა.



გავრცელებული ინფორმაციით, სრულადაა დანგრეული 12 სოფელი. დაღუპულია 37 ადამიანი, 850-მა სხვადასხვა სახის დაზიანება მიღო. მიწისძვრის შემდეგ 80-მდე მიწისქვეშა ბიძგი დაფიქსირდა.

ირანის ხელისუფლების ინფორმაციით, ატომური ელექტროსადგური არ დაზიანებულა. მიწისძრის ეპიცენტრი სადგურიდან 90 კმ-ში მდებარეობდა.

მიწისქვეშა ბიძგების გამო, ირანში სატელეფონო კავშირიც შეფერხდა.

დაზარალებულ რაიონებში „წითელმა ნახევარმთვარემ" მაშველები გააგზავნა.

მიმდინარეობს სამაშველო სამუშაოები. მაშველები ნანგრევებში მოყოლილთა ამოყვანას ცდილობენ.

მიწისქვეშა ბიძგები არაირანის ხელისუფლებამ ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა გამო სამდღიანი გლოვა გამოაცხადა.

გაეროს გენერალური მდივნის ბან კი მუნის განცხადებით, ორგანიზაცია მზადაა ბუშერთან ახლოს მომხდარ მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციაში ირანს დაეხმაროს.

„აუცილებლობის შემთხვევაში, გაერო მზადაა ქვეყანას შესაფერისი დახმარება აღმოუჩინოს",-საუბარია ბან კი მუნის განცხადებაში.

როგორც ცნობილია ირანი ერთ-ერთ სეისმურად ყველაზე აქტიურ ზონაში მდებარეობს.

შეგახსენებთ, რომ 2003 წელს 6,5 ბალის სიმძლავრის მიწისძვრამ ირანში 25 ათასი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

# მარგარეტ ტეტჩერის დაკრძალვა 6 მლნ ფუნტი სტერლინგი დაჯდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ტური უმრავლესობა ტეტჩერის თაყვანისმცემელია, თუმცა მათ სტადიონებზე წუთიერი დუმილის შემოღება არ გარისკეს, რამდენადაც არ იციან, რა რეაქცია ექნება მაყურებელს", – აცხადებს რადიოსადგური „ბი-ბი-სი".

ინგლისის ერთ-ერთი ცნობილი საფეხბურთო მოღვაწემ, კლუბ „უიგან ატლეტიკის" თავმჯდომარე დევიდ უილანმა აღნიშნულ გადაწყვეტილებას შემაშფოთებელი უწოდა. მისი თქმით, ამით ასოციაციამ ტეტჩერსა და თითოეულ ბრიტანელს დიდი შეურაცხყოფა მიაყენა.

თავის მხრივ, ინგლისის ფეხნურთის ასოციაციის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ფეხბურთს პოლიტიკასთან არავითარი კავშირი არ აქვს.

„წინათ, ჩვენ წუთიერი დუმილით არასოდეს მიგვიგია პატივი სხვა პოლიტიკოსებისთვის. ამის აუცილებლობა არ არის", – განაცხადა მან და აღნიშნა, რომ ტეტჩერი სპორტით გატაცებული არასოდეს ყოფილა.

მარგარეტ ტეტჩერი ინსულტის შედეგად 8 აპრილს, 88 წლის ასაკში გარდაიცვალა.

# სირიაში გაეროს წარმომადგენლებს გამოძიების ჩატარების უფლებას არ აძლევენ

სირიის, ალ ასალ ინ ალეპოს პროვინციაში გასულ თვეს ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტზე, გაეროს წარმომადგენლებს გამოძიების უფლება არ ეძლევათ.



გაეროს ინსპექციის გუნდი კვიპროსში ქვეყანაში შესვლის ნებართვას ელოდება, რათა აღნიშნული ფაქტი სრულად იქნას გამოძიებული. თუმცა სახელმწიფო მედიის ცნობით, სირიას მხრიდან გაეროს წარმომადგენლებს ქვეყანაში გამოძიების უფლება არ მიეცემათ.

ამავდროულად, დამასკოს ცენტრში მანქანის აფეთქებას 15 ადამიანი ემსხერპლა, ხოლო რამდენიმე ათეული დაშავდა.

„სი-ენ-ენის" ცნობით, ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ხელი მოაწერა სირიელი ამბოხებულებისათვის დახმარების ახალი პაკეტის გაცემას.

„სი-ენ-ენის" წყაროს ცნობით, თეთრმა სახლმა ეს პაკეტი გასულ კვირას ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს შეხვედრაზე დაამტკიცა. თუ რა შედის დახმარებაში, დეტალების ამის შესახებ მომავალ კვირას გახდება ცნობილი.

გასულ თვეში ამერიკამ სირიელ ამბოხებულებს საკვები და მედიკამენტები გაუგზავნა, რაც პირდაპირ მიუთითებდა რომ ამერიკა ამბოხებულებს უჭერს მხარს.

ობამას ეროვნული უსაფრთხოების გუნდი და კონგრესმენები პრეზიდენტს მოუწოდებენ, გაზარდოს სირიის ოპოზიციის პირდაპირი დახმარება.

სოციალური ქსელებში კი გავრცელდა ვიდეო, სადაც მკვეთრად არის დაფიქსირებული სირიის მუფტის რამადან ალ-ბუტის მკვლელობა. ალ-ბუტი ბაშარ ასადს უჭერდა მხარს და მოჯაჰედების წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებდა.

ვიდეო, სადაც მისი მკვლელობაა ასახული, ალავიტების რეჟიმის ვერსიას უარყოფს. ოფიციალური ვერსიის გარდა, ვიდეოზე ასახულია სუსტი აფეთქება, რომელსაც პანიკა სულაც არ გამოუწვევია.

რამადან ბუტი აფეთქების შემდეგ, თავს იწესრიგებს, რა დროსაც მასთან მიდის მამაკაცი, რომელიც თითქოსდა მას თავში ესვრის, რის შემდეგაც ბუტი ეცემა. ამის შემდეგ მამაკაცი მიდის. ვიდეოზე მკვეთრად არის ასახული ჭრილობა, რომელიც ტყვიის ნაჭრილობევს ჰგავს.

# პოლონეთი კაჩინსკის თვითმფრინავის ნამსხვრევებს ელოდება



სმოლენსკთან მომხდარი ავიაკატასტროფის შემდეგ, სადაც პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი დაიღუპა, სამი წელი გავიდა. თუმცა, რუსეთს ამ დრომდე არ გადაუცია პოლონური მხარისთვის თვითმფრინავის ნაწილები.

პოლონეთი ამ ნამსხვრევების გადაცემის დაჩქარებას ითხოვს, თუმცა რუსეთი არ ჩქარობს, ვინაიდან, შესაძლოა, დამატებითი ექსპერტიზის ჩატარება გახდეს აუცილებელი.

ვარშავაში ოფიციალური პირები აღნიშნავენ, რომ ნამსხვრევების გადაცემის ამდენი ხნით გაჭიანურებამ, შესაძლოა ორი ქვეყნის ურთიერთობას ავნოს. რუსეთის ხელისუფლება თავის მხრივ აღნიშნავს, რომ ყველა ღონეს ხმარობენ, რათა გადაცემა რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს.

ტუ-154 ტიპის თვითმფრინავი სმოლენსკთან ახლოს 2010 წლის 10 აპრილს ჩამოვარდა. მიწაზე ძლიერი დაცემის შედეგად თვითმფრინავს კუდის ნაწილი მოტყდა, რის შემდეგაც ხანძარი გაჩნდა. პოლონეთის ტელევიზიის ცნობით, პრეზიდენტ კაჩინსკის თვითმფრინავი სამჯერ შეეცადა სმოლენსკის აეროპორტში დაჯდომას, მეოთხე მცდელობა კი ტრაგედიით დასრულდა. თვითმფრინავის ბორტზე, რომელიც ასრულებდა რეისს ვარშავიდან სმოლენსკში, ბოლო მონაცემებით იმყოფებოდა 96 ადამიანი, აქედან ოფიციალური დელეგაციის 88 წევრი. მათ შორის პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი მეუღლესთან ერთად, პოლონეთის ეროვნული ხსოვნის ინსტიტუტის პრეზიდენტი იანუშ კურტიკა, სამხედრო და სასულიერო პირები.

ლეხ კაჩინსკი პოლონეთის პრეზიდენტი იყო 2005 წლიდან გარდაცვალებამდე. 2002-2005 წლებში ვარშავის მერი.

# პან გი მუნი ჩრდილოეთ კორეას ტონის შეცვლისკენ მოუწოდებს



გაეროს გენერალური მდივნის პან გი მუნის განცხადებით, კორეის ნახევარკუნძულზე არსებული ვითარება შესაძლოა „უკონტროლო" გახდეს. მან კიდევ ერთხელ მოუწოდა ჩრდილოეთ კორეას „პროვოკაციული რიტორიკული" ტონი შეცვალოს.

„თუ რომელიმე მხრიდან, შეცდომით მცირე ინციდენტი მოხდება, ამან შეიძლება უკონტროლო სიტუაცია გამოიწვიოს", – განაცხადა რომში ჟურნალისტებთან საუბრისას პან კი მუნმა.

ამავდროულად, ჩრდილოეთ კორეამ საკუთარი ქვეყნის შემდეგ სამხრეთ კორეაში არსებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს უსაფრთხოების მიზნით ტერიტორიის დატოვება შესთავაზა. თავის მხრივ, იაპონიამ, სამხრეთ კორეამ და ამერიკამ სამხედრო ბაზებზე, ანტისარაკეტო დანადგარები მზადყოფნაში მოიყვანეს.

„მარტში ნიუ-იორკში, ჩრდილოეთ კორეისა და აშშ-ს წარმომადგენლებს შორის საიდუმლო შეხვედრა გაიმართა", – ამის შესახებ გამოცემა „ფორინ პოლისი" საკუთარ წყაროზე დაყრდნობით წერს.

გამოცემის თქმით, აშშ-ს შეხვედრაზე კლიფორდ ჰარტი წარმოადგენდა, ჩრდილოეთ კორეას კი, გაეროში ქვეყნის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე ჰან სონ რიოლი. გამოცემის ცნობით, პოლიტიკოსები ვერაფერზე შეთანხმდნენ. ჰარტმა ჩრდილოეთ კორეას პროვოკაციებზე უარის თქმისკენ მოუწოდა, რიოლმა და საუბრის შინაარსის ხელისუფლებისთვის გადაცემის პირობა დადო.

როგორც გამოცემა იუწყება, შეხვედრა აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეას შორის ურთიერთქმედების „ნიუ-იორკის არხის" ფარგლებში, ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის პირობებში გამართა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

კახა და ნანა კვიციანები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უკეთილშობილესი პიროვნების, ბიძის

**ბიძინა კვიციანის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა: 16 აპრილს, 15 საათზე.

მისამართი: მესტიის რაიონის სოფელი ბეჩო.

ლილი, ციალა და პაატა ონიანები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ბიძინა კვიციანის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

თამაზ და ნესტან გვასალიები, თეზო და ნუნუ ჩართოლანები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ბიძინა კვიციანის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს.

## სამგლოვიარო განცხადებები

ბიძა ლევან გოლოძე, ბიცოლა ფოთოლა ბოჭორიშვილი, ბიძაშვილები ლალი და რუსუდან გოლოძეები, სიძეები ბორის სოფრომაძე, სოსო ჩაფიძე, ბიძაშვილის შვილები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

**ზაზა ოთარის ძე გოლოძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ყოფილი „პნევმოტრანსმშენის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანამშრომლის

**ვაჟა ნადირაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე გულიკო, შვილები მანანა, ნანა, რეზო საბაშვილები, შვილიშვილები ეკა, გიორგი სალარაძეები, ხათუნა, ჯაბა ანიკაშვილები, ნინო, თამარ საბაშვილები, სიძეები გურამ სალარაძე, ზურაბ ანიკაშვილი, ნიკა ივანიშვილი, ბიჭი კიკაბიძე, ირაკლი გოგავა, რძლები მანანა ლატარია, ქეთი ჩხიკვაძე, თათა ახობაძე, შვილთაშვილები ზუკა კიკაბიძე, ბიჭი ივანიშვილი, რატი ივანიშვილი, ანა, სალომე ანიკაშვილები, ლიზა გოგავა, დისშვილი მამია გოგუაძე ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დავით ხარიტონის ძე საბაშვილი**

პანაშვიდი: 11, 12 აპრილს, აბაშიძის ქ. №64, III სადარბაზო.

გამოსვენება: შაბათს, 13 აპრილს, 14 საათზე, ვაკის სამების ეკლესიიდან.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**



## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 11 აპრილი**

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.00 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „როსელა„ 17.00 დ/ფ „ანტიკური მსოფლიო„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „დავქორწინდით„ 21.00 ტ/სერ „როსელა„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 სპორტული თოქ-შოუ: „არენა„ 00.00 მხ/ფ „ინტიმური ლექსიკონი„ (ჯ.ალბა) 02.20 ტ/სერ „ნაფიცი მსაჯულები„ (ტიტ.)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „ფერების სამყარო„ 14.00 დ/ფ „ბრინჯის მფლობელები„ 16.00 დ/ფ „პროფესორ ომიშენის წარმოუდგენელი მფრინავი მანქანები„ 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი„ 13 სერ. 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 7 სერ. 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 13.00 სერ. „24 – 6„ 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 15.35 რომ გადახვალ, გააჩერე (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 3 სერ. 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „მდევარი მოჩვენება„ (კ.ლამბერი) 00.15 მხ/ფ „წლის მამაკაცი„ (ქ.უოქენი) 02.25 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მხ/ფ „ამისტადი„ I ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „ერთი ოჯახის ისტორია„ 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის„ 13.30 კონცერტი - ნიჭიერთა ათწლედი რომში 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 მხ/ფ „მოზიდიკი„ II-III სერია 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „როცა აყვავდა ნუში„ 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.00 სიახლენი 22.20 შაბათის სახარების განმარტება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე„ II ნაწ. 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ამისტადი„ II ნაწ.

მაესტრო 7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 11.30, 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ- შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 1.40 თოქ—შოუ - „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**11 აპრილი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6498

ევრო — 2,1485

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5262

100 რუსული რუბლი — 5,2185

## ამინდის პროგნოზი 11 აპრილისთვის




# მარგარეტ ტეტჩერის დაკრძალვა 6 მლნ ფუნტი სტერლინგი დაჯდება



დიდი ბრიტანეთის ექს პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის დაკრძალვა 6 მლნ ფუნტი სტერლინგი დაჯდება. ამის შესახებ „დეილი ტელეგრაფი" წერს. თანხის ნაწილი ტეტჩერის ქონებიდან დაიხარჯება, ნაწილი კი – ბრიტანეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ტეტჩერის დაკრძალვა 17 აპრილს გაიმართება. დაკრძალვის მომზადების კომიტეტის სხდომაზე გადაწყდა, რომ ტეტჩერთან გამოსამშვიდობებელ ცერემონიალზე მონაწილეობას მიიღებს ბრიტანეთის არმიისა და ფლოტის ქვედანაყოფებები, რომლებიც მონაწილეობდნენ 1982 წელს არგენტინის წინააღმდეგ ფოლკლენდის ომში. დაკრძალვას დაესწრება ელისაბედ მეორე და მისი მეუღლე ედინბურგის ჰერცოგი ფილიპი.

დაკრძალვის დროს ლონდონში განსაკუთრებულ მზადყოდფნაში იქნებიან სამართალდამცავი ორგანოები, რომლებიც შიშობენ, რომ შესაძლოა პროვოკაცია მოაწყონ და ცერემონიის ჩაშლას შეეცადონ ტეტჩერის მოწინააღმდეგე პოლიტიკურმა ძალებმა.

სამთავრობო სცენარის თანახმად ცხედარს გადაასვენებენ წმინდა პავლეს ტაძარში, შემდეგ კი მოხდება მისი კრემაცია.

ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ კი უარი თქვა მიმდინარე შაბათ-კვირის განმავლობაში დაგეგმილ მატჩებზე ყოფილი პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის ხსოვნისადმი წუთიერი დუმილით მიეგოთ პატივი.

„მართალია ასოციაციის ხელმძღვანელობაში აბსოლუ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ყველამ გაითვალისწინეთ! ასტროპროგნოზი 11 აპრილისთვის

**უჩვეულო დღეა**

**ვერძი** – საჩუქარსა და ფულს მიიღებთ. **კურო** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** – თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **კირჩხიბი** – არ აყვეთ სხვებს, ისე მოიქეცით, როგორც გსურთ. **ლომი** – ახალ სამსახურში თავს კომფორტულად იგრძნობთ. **ქალწული** – მოაწყვეთ საღამო და მოიწვიეთ სტუმრები. **სასწორი** – ცხოვრება გეცვლებათ, ბედი გწყალობთ. **მორიელი** – შემოქმედებითი დღეა, თავს საუკეთესოდ წარმოაჩენთ. **მშვილდოსანი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **თხის რქა** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **მერწყული** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **თევზები** – უჩვეულო სიტუაციიდან კარგად გამოძვრებით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. საავადმყოფოს ძველებური სახელწოდება; 2. იარაღის გამოსაცდელი ტერიტორია; 3. საფოსტო მარკების შეგროვება; 4. ქართველი პოლიტიკოსი, დეპუტატი მამაკაცი; 5. ატლანტიკის ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 10. ფულის ერთეული ისრაელში; 11. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 12. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 13. რიცხვის მეათასედი ნაწილი; 16. ცის სფეროს დიდი წრე, რომელზედაც წარმოებს მზის ხილული მოძრაობა წლის განმავლობაში; 17. აკაკი წერეთლის მშობლიური სოფელი; 19. დიდი საკარმიდამო მამული ჩილესა და არგენტინაში; 21. მდინარე გურიაში; 23. ბნელი ღამე.

**თარაზულად:** 6. უცხოელების ან ყოველივე უცხოურის სიძულვილი; 7. ტბა გულრიფშის რაიონში; 8. მალაზია-სახელოსნო იტალიაში; 9. ფრანგ მწერალ ანრი ბეილის ფსევდონიმი; 14. მეტროს სადგური თბილისში; 15. ათასი წელი, ათასწლეული; 18. ჟორჟ სიმენონის ნაწარმოებთა მთავარი პერსონაჟი, დეტექტივი; 20. მიწაში ბინადარი ცხოველი; 22. ეგვიპტის ძველი დედაქალაქი; 24. ქალაქი საფრანგეთში, სადაც განთავსებულია კოსმოსური კვლევის ეროვნული ცენტრი; 25. ლიტვის დედაქალაქი; 26. აფრიკის და აზიის ტროპიკებში ბინადარი ნახევარმაიმუნი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




# ვის შეხვდება ოქროს ფეხი

**ცნობილია იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებიც „გოლდენ ფუტ" (ოქროს ფეხი) 2013-ისთვის იბრძოლებენ. შეგახსენებთ, რომ ეს ჯილდო 28 წელს გადაცილებულ ფეხბურთელებს გადაეცემათ.**

ნომინანტთა სიაში არიან: კრიშტიანუ რონალდუ (რეალი), ანდრეს ინიესტა (ბარსელონა), დავიდ ტრეზეგე (რივერ პლეიტი), ფრენკ ლამპარდი (ჩელსი), სამუელ ეტოო (ანჟი), იკერ კასილიასი (რეალი), ანდრეა პირლო (იუვენტუსი), მიროსლავ კლოზე (ლაციო), დიდიე დროგბა (გალათასარაი) და დევიდ ბექჰემი (პსჟ).

გეტყვით იმასაც, რომ „გოლდენ ფუტი" საერთაშორისო ჯილდოა, რომელიც 2003 წელს დაწესდა. თავდაპირველად, ამ პრიზისთვის 29 წელს გადაცილებული ფეხბურთელები იბრძოდნენ, ახლა ზღვარი 28 წლამდე შემცირდა.

გასულ წელს პრიზი შვედ ზლატან იბრაჰიმოვიჩს ხვდა წილად.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა




# ექვთიმე თაყაიშვილს კონსერვატორიაში გაიხსენებენ




წმიდა ექვთიმე ღვთისკაცად წოდებულ ექვთიმე თაყაიშვილს 11 აპრილს კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიხსენებენ. ხსოვნის საღამო ეძღვნება ექვთიმე ღვთისკაცის დაბადებიდან 150 და გარდაცვალებიდან 60 წელს.

ექვთიმე თაყაიშვილს ქართული საგანძურის მცველს უწოდებენ. ის ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე იყო. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და პროფესორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელია. ბავშვობაში მიღებულმა ტრავმამ მთელი ცხოვრება ხელჯოხით სიარული დაუწესა, თუმცა ეს სულაც არ უშლიდა ხელს, ჩქარა ევლო. ხელმოკლეობის მიუხედავად, მან ვერცხლის მედლით დაამთავრა გიმნაზია. პეტერბურგში სასწავლებლად წასული ექვთიმე სამშობლოს არასოდეს ივიწყებდა. მან პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა ბერძნულ-ლათინურ ენათა განხრით და მთელი ეს პერიოდი ნაყოფიერად გამოიყენა. სამშობლოში დაბრუნებული თბილისის ქართულ სათავადაზნაურო სკოლასა და კლასიკურ გიმნაზიაში ბერძნულ და ლათინურ ენებს ასწავლიდა. იგი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში გამგეობის წევრად შეიყვანეს. პარალელურად აქვეყნებდა ძველ ხელნაწერთა აღწერილობებს. მის პირველ სამეცნიერო ნაბიჯებს მტკიცე ნიადაგი მოუმზადა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ. ისინი ხშირად ერთად მოგზაურობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, ერთად ეძებდნენ, კრებდნენ ძველ ქართულ ხელნაწერებს, სწავლობდნენ და აბინავებდნენ მუზეუმში.

ექვთიმე თაყაიშვილმა შეისწავლა და გამოიკვლია „პარხლის სახარება". ამას მოჰყვა შატბერდული „მოქცევაი ქართლისაის" ახლებური წაკითხვა და დათარიღება. მან გამოსცა „ახალი ვარიანტი წმიდა ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა". უმნიშვნელოვანესი იყო მის მიერ აღმოჩენილი „ხელმწიფის კარის გარიგების" ხელნაწერი, რომელიც ექვთიმემ ქართლში მოგზაურობის დროს გაპარტახებულ სახლში იპოვა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ „ხელმწიფის კარის გარიგება" მისი გამოკვლევით და წინასიტყვაობით გამოსცა. ექვთიმე თაყაიშვილს გამოკვლეული აქვს „აბდულმესიანის", „თამარიანის", „ვისრამიანის", „ამირანდარეჯანიანის", „როსტომიანის", „ქილილა და დამანას", „რუსუდანიანის", „ომანიანის", თეიმურაზ I თხზულებათა, თეიმურაზ ბატონიშვილის რუსთველოლოგიური შენიშვნებისა და სხვათა მრავალთა ხელნაწერები. არანაკლებ მნიშვნელოვანია მის მიერ აღმოჩენილი „ვეფხისტყაოსნის" ძველი ხელნაწერები. მან თავი მოუყარა 17 ხელნაწერს, რომელთა შორის ზოგი მეტად საყურადღებო იყო, როგორც ვარიანტებით, ისე მხატვრობით, მთლიანობაში კი 24 ხელნაწერის შესახებ მოკრიბა ცნობები. „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერთა შორის უძველესი იყო 1646 წლის, რომელიც ვინმე კორინთელისაგან შეიძინა, ასევე მეფე გიორგი XI-ისათვის 1680 წელს მისი მდივნის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი". ეს ხელნაწერი გამოირჩევა თავისი მოხატულობით. ექვთიმე თაყაიშვილის დიდი დამსახურებაა გადარჩენა პელაგია წერეთლისეული „ვეფხისტყაოსნისა", რომელიც სიუჟეტური მინიატურებით იყო დასურათებული.

ექვთიმე თაყაიშვილი ილია ჭავჭავაძეს განჯიდან თბილისში ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაში ეხ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ოქროს ფრთა საუკეთესოებს დააჯილდოვებს

ეკა ირემაშვილი

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდი „ოქროს ფრთა" წელს უკვე მე-11-ედ დააჯილდოვებს საუკეთესო ჟურნალისტებს და საზეიმო ვითარებაში მათ ვინაობას „ექსპო-ჯორჯიას" საგამოფენო პავილიონში შეკრებილ საზოგადოებას გააცნობს.

საუკეთესო ჟურნალისტებს კი სპეციალური ჟიური გამოავლენს, რომლის შემადგენლობაში არიან ნოდარ ტაბიძე, გია ბუღაძე, გოჩა კაპანაძე და მარიკა დარჩია, ხოლო ჟიურის ტრადიციულად ნუგზარ რუხაძე უხელმძღვანელებს. როგორც საგანგებო პრესკონფერენციაზე ითქვა, წლევანდელი დაჯილდოებაც გამორჩეული და მრავალფეროვანი იქნება.

– მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ ეთერ ჯიშკარიანს, რომელმაც ეს ფონდი დააარსა და ამდენი წელია ჟურნალისტების შრომას აფასებს. ჩვენ შარშანვე დავაანონსეთ, რომ ეს წელი იქნებოდა რეგიონალური მედიის. აქ მთელი საქართველოს ჟურნალისტიკა იქნება წარმოდგენილი. წელს უკვე ვაანონსებთ, რომ მომავალი წელი უკვე პრესის წელი იქნება. როგორც წინა წლებში, წლევანდელი დაჯილდოებაც განსაკუთრებული და გრანდიოზული იქნება. წითელი ხალიჩით, როცა ქართული საზოგადოება მადლობას ეტყვის ჟურნალისტებს გაწეული სამუშაოსთვის. ჟიურიმ უკვე შეარჩია 20 ჟურნალისტი, რომელთა შორისაც, წინა წლებისგან განსხვავებით, რეგიონალური მედიის წარმომადგენლებიც მოხვდნენ. ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდი „ოქროს ფრთა" საქართველოში ერთადერთი ფონდია, რომელიც მედიადაჯილდოებას უკეთებს ორგანიზებას, – განაცხადა ფონდის პრეზიდენტმა თამარ ფხაკაძემ.

ეს დაჯილდოების ცერემონიალი 2002 წელს ეთერ ჯიშკარიანმა დააფუძნა, ამჟამად კი ფონდის პრეზიდენტი თამარ ფხაკაძეა. ის უკვე მეორე წელია ამ ფონდს ხელმძღვანელობს.

„ექსპო ჯორჯიას" პავილიონში შეიკრიბებიან ჟურნალისტები მთელი საქართველოდან. ღონისძიება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდება. გასულ წელს დაჯილდოების ცერემონიალს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ უმასპინძლა, წელს მასმედიის წარმომადგენლები უკვე „ექსპო ჯორჯიას" პავილიონში შეიკრიბებიან. ღონისძიების ორგანიზატორთა თქმით, ისინი ყოველ წელს ჟურნალისტებს სასიამოვნო სიურპრიზებს უმზადებენ და ცდილობენ მათი შრომა საკადრისად დააფასონ.

– წლევანდელი დაჯილდოება განსხვავებულია იმით,



რომ ნომინანტების ნახევარზე მეტი იქნება რეგიონიდან წარმოდგენილი. ამ 20 ნომინანტის სახელები და გვარები, რომელიც ჟიურიმ შეარჩია, 15 აპრილს საღამოს დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე გახდება ცნობილი. ვფიქრობ, ეს იქნება საინტერესო საღამო თავისი წითელი ხალიჩით, სადაც გაივლიან ჟურნალისტები. ეს ჯილდო ნამდვილად არის პრესტიჟული და ყველას, ვინც მას მიიღებს, მათთვის უნდა იყოს სასიხარულო, – განმარტა დაჯილდოების ორგანიზატორმა.

პრესკონფერენციაზე შეკრებილ ჟურნალისტებს ესაუბრნენ ჟიურის სხვა წევრებიც.

***ნუგზარ რუხაძე, ჟიურის თავმჯდომარე:***

– ეს ფონდი არის ერთადერთი, რომელიც აჯილდოვებს ჟურნალისტებს საქართველოში. ეს კი აძლევს მათ სტიმულს, რომ მეტი და მეტი იმუშაონ. ჩვენ ვცდილობთ ობიექტურნი და სწორნი ვიყოთ ადამიანების შეფასებისას. მაქსიმალურად ვფრთხილობთ ხოლმე, რომ არ დაგვაბრალოთ ობიექტურობა. ეს არის ჩემთვის შანსი, რომ ქართულ ჟურნალისტიკაში მეც რაღაც განვსაზღვრო. აი, კიდევ ერთი წელი დადგა იმისთვის, რომ ჩვენ გამორჩეული და ღირსეული ჟურნალისტები დავაჯილდოვოთ. ეს ფონდი საქართველოსთვის არის კეთილი და საჭირო მოვლენა. ის არის სტიმულატორი ქვეყანაში ჟურნალისტური საქმიანობისა. დავფიქრდით და აღმოვაჩინეთ, რომ რეგიონები გამოგვრჩა, ამიტომ წელს კანდიდატთა უმრავლესობა არის რეგიონებიდან. თავიდან ცოტა მებევრებოდა ამდენი კანდიდატი, მაგრამ საბოლოოდ დამარწმუნეს, რომ 20 კანდიდატი სულაც არ არის ბევრი. გვინდა რომ რაოდენობა აისახოს ჟურნალისტურ ხარისხში და

გაგრძელება მე-8 გვერდზე